ლიტერატურული გაზეთი

№2 (258) 31 იანვარი - 13 თებერვალი 2020 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



ბესიკ ხარანაული

ახალწლისა...

ადამიანს თუ უნდა თავის თავი წინ დაიყენოს —
საუკეთესო დრო ახალწლის ღამეა.

ვინღა იცინოს, თუ არა ტიტველმა?
ვინღა გაიხაროს, თუ არა მშიერმა?
ახალი წელია,
— ვინღა!
დედამიწას მილოცვა სწყურია,
— ვინღა!

მდიდრები გლოვობენ,
მაძღრები წუხან,

სიხარული ეძებს პატრონს და ვერ უპოვნია,
სიცილს არ იწებებს არავის ბაგე,
ყველას თავის წაქცეული ღიმილი ურჩევნია.

ტიტვლებმა იცინონ,
მშივრებმა იხარონ,
ტიტვლებმა მშივრებს უთხრან — გილოცავ!

წაყვანილი ჰყავს ახალწელს ხალხი —
გასაჭირის გაყოფა შეუძლიათ, განძისა — არა.

ვინღა იცინოს, თუ არა ტიტველმა,
ვინღა გაიხაროს, თუ არა მშიერმა?

ახალწლის ღამე
დედამიწას ვინღა მიულოცოს.

მშიერმა, ტიტველმა.

IV-VI

აბრაამ, ნუ წახვალ ისრაელში!

ვასილ ბესელია

ელექტრომატარებელი ზუსტად ათის ოც წუთზე ჩამოდგებოდა ბაქანზე. იქედან სკოლამდე ხუთი წუთის სავალი იყო. ასე რომ, ათის ნახევარზე აბრაამკა უკვე სკოლაში ბრძანდებოდა თავისი გრძელი, სახელურიანი, პონჩიკებით გატენილი კალათით. „მეპონჩიკე ურიას“ ეძახდნენ ბავშვები.

სკოლის ეზოში ხის ორი ოდა იდგა. ოდებს შორის მრგვალი სახანძრო აუზი მინიდან ამოდიოდა და ერთი მეტრის სიმაღლეზე განიერი ცოკოლით მთავრდებოდა. ღვთის წყალობით, აუზი დანიშნულებისამებრ არასოდეს გამოყენებულა, უნდა ითქვას, რომ შიგ წყალიც არასოდეს მდგარა. ერთადერთი — აბრააშკა იყენებდა დახლად. ჩამოდებდა მარლაგადაფარებულ კალათას ცოკოლზე და ვაჭრობდა.

ათს რომ თხუთმეტი წუთი დააკლდებოდა, დაირეკებოდა ზარი, გამოცვივდებოდნენ მშიერი ბავშვები და მიესეოდნენ აუზს. იყო ერთი ჯგლეთა და გაძრომ-გამოძრომა...

ათეულობით ხურდა ფულიანი ხელი ელოდა პონჩიკს.

აბრააშკას არასოდეს შეშლია და ზეთში შებრაწულ კრემიან ცომს ყოველთვის იმ ხელს აძლევდა, რომელსაც ფულს გამოართმევდა. მეორე შემოტევა მეორე გაკვეთილის გამოსვლის შემდეგ იწყებოდა... მორჩა, მერე კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდნენ პონჩიკის მსურველები. არა, მსურველების მეტი რა იყო, მაგრამ ფული არ იყო — ათი კაპიკი მაშინ რამეს ნიშნავდა.

აბრააშკა სენაკელი ებრაელი აბრაამ ბინიაშვილი გახლდათ — დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი ახალგაზრდა კაცი — ასე 35 წლის. სკოლაში მუდამ თეთრ, ქამრიან სატინის ხალათში გამოწყობილი მოდიოდა. ულამაზო სახე ჰქონდა — მსხვილი, გადმობრუნებული ტუჩები, დიდი თავი და ტანთან შედარებით მოკლე ხელები. ჩვენ ისე გვიყვარდა ეს შეუხედავი კაცი, უიმისოდ სკოლა ვერ წარმოგვედგინა.

მეოთხე დასვენებაზე აუზის შორიახლო ვიდექი.

— მოდი აქ შენ! — დამიძახა აბრააშკამ, — პონჩიკს რატომ არ ყიდულობ, არ გიყვარს?

— კი მიყვარს, მაგრამ ფული არ მაქვს და რაფერ ვიყიდი.

— ნისიად მოგცემ!

— არა, ნისიად უკვე მაქვს აღებული და სახლში მითხრეს, მეტი არ აიღოო.

— კაი, ბატონო, ისე მოგცემ, უფულოდ. მოდი და ჭამე, რამდენიც გინდა!

კი მერიდებოდა, მაგრამ ისე მშიოდა და ისე მიყვარდა პონჩიკი, მაინცდამაინც თავპატიჟი არ გამომიდია, მივედი და ორი ცალი ავიღე.

— კიდევ აიღე, ეს რას გეყოფა!

კიდევ ორი ავიღე და მეტი მართლა არ მინდოდა.

— ამის ფულს მოგიტან, აბრააშკა, ბაბუას პენსიაზე.

— ბიჭო, დაგპატიჟე და ფულზე მელაპარაკები? ამას გასწავლიან სკოლაში?

შევატყვე, მართლა გაბრაზდა. ცოტა შემრცხვა კიდეც...

მოულოდნელად აბრაამკა ხელკავს მიკეთებს და ხმადაბლა მეკითხება:

— შენი მასწავლებელი რომაა, დაბდა გუგუჩია, რას გასწავლის?

— რას მასწავლის და ბიოლოგიას.

— სუ, მატყუებ ახლა, ასტრონომიას და ფიზიკას ასწავლის მაგი.

— კი გცოდნია, აბრიაშკა, და რატომ მკითხე, აბა?

— ბიჭო, მართლა შენი კარის მეზობელია?

— კი, მავთულის ერთი ღობე გვყოფს, შორიდან არც კი ჩანს, ერთი ეზო გეგონება.

— დედა ჰყავს ხომ ავად? — არ მეშვება მეპონჩიკე, — და რატომ არ თხოვდება, თუ იცი?

— არ ჰყავს შეყვარებული და რაფერ გათხოვდება.

— რა იცი, რომ არ ჰყავს?

— სკოლასა და სახლს შუა ვინ შეუყვარდება და სხვაგან მაგი არ დადის, ერთადერთი, ბაზარში თუ წავა ყოველ კვირას... რატომ მეკითხები, აბრააშკა?

— შენი მეზობელი რომაა, იმიტომ... კაი გოგოა... გადმოდის თქვენთან?

— კი, როცა სცალია. ტელევიზორს უყურებს, დედამისი რომ დაიძინებს მერე.

— კარგი, კაი ბიჭი ხარ შენ. წავედი ახლა, მოვა აწი „ქუთაისი-ფოთი“...

დაბდა გუგუჩია ბებიაჩემის ნათლული გახლდათ. მაღალი, ლამაზი გოგო იყო. დედა ჰყავდა ლოგინად ჩავარდნილი. ბებია ამბობდა, სანამ დედამისი ცოცხალია, დაბდა ვერ გათხოვდება, ჩააბერა დედამისმაო.

აბრააშკას დაინტერესება დაბდათი გამიკვირდა.

კი მიყვარდა აბრაამი, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგინე ამსიმაღლე, ლამაზი ქალის ქმრად თავგასიებული სენაკელი მეპონჩიკე...

თითქმის ყოველდღე, მესამე-მეოთხე დასვენებაზე დაბდაზე მელაპარაკებოდა აბრააშკა. რაზეც არ უნდა დაეწყო საუბარი, მაინც დაბდამდე მივიდოდა.

მე დაწვრილებით ვუყვებოდი, როგორ მუშაობდა ბოსტანში, როგორ უვლიდა ძროხებს და რა გადასარევ ხაჭაპურებს აცხობდა. თან კალათიდან თითო-თითოდ ვიღებდი პონჩიკს და ვილუკმებოდი.

კვირასო, მეუბნება აბრააშკა, დილის ცხრა საათზე შენთან მოვალ, ვითომ საქმე მაქვს... და დაბდა ბაზარში წავიყვანოთო.

— ოღონდ შენც წამოდი, თორემ არ ჩამიჯდება!

— ტაქსით მოხვალ?

— არა, კაცო, რად მინდა ტაქსი...

დილით ჭიშკარს ცისფერი „ვოლგა“ მოადგა — კაპოტზე მონიკელებული, გაფრენილი ირმის ემბლემიანი...

მანქანიდან თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი აბრააშკა გადმოვიდა. თვალს არ დავუჯერე. შავი, „პასილოჩნი“ პერანგი ეცვა. გაპრიალებული „ტოპმანის“ ფირმის ფეხსაცმელი, თეთრი, წინწკლებიანი, „ტრევერას“ ჰალსტუხი ეკეთა. კოსტიუმის გარეთა გულჯიბეში ასევე დაწინწკლული ცხვირსახოცი ედო.

მისი ელეგანტური სამოსი მერე გავაცნობიერე, თორემ მაშინ აზრზე არ ვიყავი, რას ნიშნავდა მოდა და პრესტიჟი...

ბაბუას გაფრთხილებული ვყავდი, რომ მოვა, აუცილებლად შემოიპატიჟეო. არც გამძალიანებია, თამამად შემოვიდა და ბაბუას მიესალმა.

— „ვოლგა“ შენია, აბრააშკა? — ვკითხე მე.

— კი, ჩემია. აბა, ვისი იქნება?!

მინდოდა, მეკითხა, პონჩიკით ამხელა მანქანა რაფერ იყიდე-მეთქი, მაგრამ ბაბუამ თვალები დამიბრიალა და გავჩერდი.

— ე, ქალო, გამოიტანე კვერიები და გადაგვარჩინე, სანამ კიდევ რამე სისულელე არ უკითხავს ამ ბაღანას.

ქაფქირით ამოყარა ბებიამ მოხარშული კვერიები და სინით დაგვიდგა. ბაბუამ არაყი ჩამოასხა და სად მიხვალთ ახლაო, ყასიდად იკითხა.

— ერთ საათში მოვალთ, — ვუთხარი მე, — სენაკში მივყვები აბრაამს.

დაბდას გზაზე წამოვეწიეთ. დაბრძანდითო, უთხრა აბრააშკამ.

ქალმა მანქანაში შემოიხედა, მე რომ დამინახა, კარი გააღო და გვერდით მომიჯდა. არ ჩაჯდა წინ. არ გაახარა მეპონჩიკე. აშკარად ეტყობოდა დაბნეულობა. სენაკში ხომ მიდიხართო, უადგილოდ იკითხა. კი, ბაზარში მივდივართო, უპასუხა აბრაამმა.

— მეც ბაზარში მივდივარ...

— ჩვენ ერთ საათში უკან ვბრუნდებით, — ჩავამატე მე.

— უი, რა კაია, უკანაც გამოგყვებით, აბა!

თითქმის ნახევარი წელიწადი, ყოველ კვირა დღეს, დავდიოდით ასე ბაზარსა და სახლს შუა. ჩავიჯენდით დაბდას, ველოდებოდით ერთი საათი და ისევ მოვიყვანდით სახლში.

მე აბრაამს ხათრს ვერ ვუტეხდი, თორემ სულ არ მეპიტნავებოდა კვირას ადრე ადგომა. ბაბუა ისე შეეჩვია აბრააშკას, ერთ ფაციფუცში იყო და როგორც ბებია ამბობდა, ორი ბოცა არაყი იმ ურიას ჩააწრიტა.

ბაზრიდან მობრუნებულზე წრუპავდნენ არაყს ბაბუა და აბრაამი. სულო ცოდვილო, მანქანით ვარო, ხშირხშირად კი იმეორებდა...

ბაბუას მოსწონდა ეს კაცი. ცოტა სიმაღლე რომ მისცა, რა უჭირს, კაცია, არც ულამაზო არ არისო...

— ცოტა სიმაღლე რამდენია მაინც, — არ აცლიდა ბებია — აშკარა იყო, ბებია ჩვენს სტუმარს არ სწყალობდა.

მაისის ბოლოს დაბდას დედა გარდაიცვალა. დასაფლავების ორგანიზება ბაბუას დაევალა. მას ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა, ცნობილი „თავიკაცი“ გახლდათ.

— კაცო, — ლაპარაკით შემოვიდა ბაბუა, — ღვინო, ლიმონათი და ლობიო აბრაამმა გამოგზავნა, სეფასაც მე ვიშოვიო, სასახლეც შევუკვეთეო და დასაფლავების დღეს პურსაც მოვიტანო... რა დარჩა მეტი... მარტო მკვდარია ჩვენი, სხვა ყველაფერი აბრააშკასია!..

მთელი ზაფხული დაბდა ეზოდან არ გადასულა. ჩვენთანაც იშვიათად შემოდიოდა.

აბრაამი ყოველ კვირას დადიოდა. ისე შევაჩვიე თვალი, ახლა ის არ მემეტებოდა დაბდასთვის.

— სადაა ის ბიჭი ამდენ ხანს, გაცივდა საჭმელი! — ბუზღუნებდა ბაბუა.

არასოდეს მოსულა ხელცარიელი.

მე უკვე მქონდა ორი წყვილი „დვამიაჩა“ ჩინური კედი, ორი ნეილონის „საროჩკა“ — ერთი თეთრი და მეორე კვამლისფერი...

პირველი სექტემბერი კვირა დღეს დაემთხვა. ადრე მოვიდა აბრაამი.

ამერიკული ჯინსი და ბაილონის მოკლესახელოიანი „ჯემპრ-საროჩკა“ ეცვა ცალ გვერდზე ორი ფერადი ზოლით. ბოტასი იმ დღეს პირველად ვნახე ცხოვრებაში.

ბაბუა ლამის ჭიშკართან შეეგება.

— წავა ვითომ დღეს? — შიშნარევი ხმით იკითხა აბრაამმა.

— მგონი. გუშინ ამბობდა, ხვალ დილას ბაზარში უნდა წავიდეო...

ცხრა საათზე დაბდა საბაზრო ჩანთით სახლიდან გამოვიდა.

— ბიჭო, — მითხრა ბაბუამ, — სანამ უნდა უჯდე ამ კაცს, არ უნდა ეგებ შენი პრავადნიკობა, აცალე, დაანებე თავი...

არაო, აბრაამმა, ვაითუ, არ ჩამიჯდესო...

წესით, უნდა ჩაგიჯდესო, ბაბუამ, არადა, იარეთ სამივემ, სანამ ივლითო.

გადაწყდა — მე არ უნდა გავყოლოდი და დროც დადგა, აბრაამი სიყვარულში გამოტყდომოდა.

დაქოქა „ვოლგა“ და წამოეწია დაბდას.

ჭიშკრიდან ვუყურებდი, როგორ გამოაღო ქალმა უკანა კარი, მე რომ ვერ დამინახა, ნერვიულად მიხურა და გზა განაგრძო. არც აბრაამი გაჩერებულა, ბღუილით მოწყვიტა მანქანა და თვალს მიეფარა.

ორი სექტემბრიდან მთელი კვირა მეპონჩიკე არ გამოჩენილა.

არც ჩვენთან მოსულა.

ორშაბათს სკოლის ეზოში მანქანით შემოვიდა. საბარგულიდან პონჩიკებით მოპიპინებული ორი კალათა გადმოიღო და აუზზე დააწყო.

თეთრი ხალათი არ ეცვა.

დაირეკა თუ არა, კალათებს მარლა გადახადა და შორიახლო დადგა.

გამოცვივდნენ გახარებული ბავშვები და გამყიდველი რომ ვერ ნახეს,

უხერხულად გაჩერდნენ.

— მიდით, ბავშვებო, მიდით. მიირთვით, რამდენიც გინდათ, უფასოა დღეს. მიდით, ნუ გერიდებათ.

თითო-თითოდ მიდიოდნენ დაბნეული ბავშვები და მორიდებით იღებდნენ ორ-ორ ცალ პონჩიკს.

მეორე შესვენებაზე კალათები დაიცალა.

— ბაბუაშენთან ვერ გამომყვები? რა გაკვეთილი გაქვს ახლა?

— ფიზიკა. დაბდას გაკვეთილი.

— ჰოდა, გააცდინე, არ დაიქცევა ქვეყანა. წამო, ჩამიჯექი მანქანაში.

ცარიელი კალათები ისევ საბარგულში ჩააწყო.

ბაბუა დიდი სიხარულით შეხვდა. აგაშენა ღმერთმა, ახლა სწორედ შენზე ვლაპარაკობდი, სად ხარ, სად დაიკარგეო.

აბრაამმა სალონიდან ჩანთა გადმოიღო — ეს ამერიკული ჯინსია, „ლიი“, ეს კიდევ „ინსპექტორებიო“... ჯინსი და ფეხსაცმლის ყუთი მომაწოდა, შენი ზომაა ორივეო. ეს „ნაპოლეონი“ სისოევიჩსო, ბაბუას გაუღიმა და სამი ბოთლი კონიაკი მაგიდაზე დადგა. ესო, ბაბუას ეუბნება, დაბდას გადაეცითო — პატარა, ხავერდგადაკრული შინდისფერი კოლოფი მიაწოდა.

— ხომ მშვიდობაა, აბრაამ, გვემშვიდობები, თუ რა ხდება?

სკოლას ვემშვიდობები, სისოევიჩ, აწი მე იქ არ მივალ. არც თქვენ შეგაწუხებთ.

— რას ამბობ, კაცო, გვტოვებ?

— რა ვქნა, სისოევიჩ, დავამთავრე მოღვაწეობა!

— კი, მარა დაბდა?

— დაბდამ ისე მიმიჯახუნა კარი, დავიწვი სირცხვილით, გახედვა არ მინდა მისკენ...

წასვლისას ის ორი ცარიელი კალათი მე დამიტოვა, აგი პონჩიკებს გაგახსენებსო, ეს ნისიების ბლოკნოტიც შენ გქონდეს სუვენირადო...

...და წავიდა!

იმ საღამოს გვიან მოვიდა დაბდა.

ბაბუა გაბრაზებული იყო. აქ არ დავინახო, აიღე ეგ კოლოფი და მიუთრიეო!

წავუღე. გზაში გულმა არ მიქნა და გავხსენი. ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი იდო. როგორც შემდეგ გაირკვა, უნიკალური საგვარეულო რელიკვია.

...ფოთი-ქუთაისის „ელექტრიჩკას“ თეთრხალათიანი მეპონჩიკე ჩამოჰყვა. ჩანდა, ახალმოსულმა იცოდა სკოლის აუზის ფუნქცია და პონჩიკებით სავსე კალათა ზუსტად იმ ადგილას დადო, სადაც აბრაამკა იდგა ხოლმე.

პირველ დასვენებაზე ჟივილ-ხივილით გამოცვივდნენ ბავშვები და დაბნეულები მიაჩერდნენ მეპონჩიკეს...

არავინ მიახლოებია...

ერთი პონჩიკიც არავის უყიდია...

მეორე დასვენებაზეც ასე მოხდა...

მეორე დღესაც!

...მერე ის კაცი არ გამოჩენილა.

დარჩა სკოლა უპონჩიკოდ.

მთელი თვე გავიდა. მოიწყინეს ბავშვებმა.

ყოველდღე ვაკვირდებოდი, როგორ იდგა სამასწავლებლოს ფანჯარასთან დაბდა და ნაღვლიანი შესცქეროდა აუზს.

იმ დღეს ასტრონომია გავაცდინე.

მეორე დღეს ფიზიკის გაკვეთილზე არ შევედი!

საღამოს, რომ მეგონა, დაბდა სახლში შემომივარდებოდა და ბაბუას თვალწინ ტყავს გამაძრობდა, შემოვიდა და ორი საათი ისე უყურა ტელევიზორს, ხმა არ ამოუღია. თითქოს არც უყურებდა, ეკრანს იყო მიშტერებული. წასვლისას — ძალიან ბნელა, სახლამდე გამაცილეო.

გავყევი.

— ბიჭო, რა გინდა, რა ვქნა, არ მიყვარს ის კაცი!.. ვერ ხედავ, დაბნეული რომ ვარ?!

მეტი არაფერი უთქვამს.

ამის შემდეგ მისი გაკვეთილი არ გამიცდენია.

* * *

მეხივით გავარდა — აბრააშკა დაიჭირესო!

„ობეხეესი“ დაეცა, თბილისის ჯგუფი, და წაიყვანესო! გუბერსკი ციხეში ზისო!

ათასნაირი ჭორი დადიოდა სენაკში:

— 10 წელი ემუქრება, დიდი ქონება უნახესო!

— აკი მეპონჩიკე იყოო?!

— ფული ეზოში ჰქონია დამარხული და მიაგნესო!

— სასამართლოს აჯანჯლებენ, დიდ ფულს ელოდებიანო!

— ვინაა აბრამას პატრონი, სენაკში ებრაელი არ დარჩა, ყველა ისრაელში გაიკრიფაო!

მთელი უბედურება ის იყო, რომ ყველა ჭორი მართალს ჰგავდა.

* * *

ათონელზე, სადაც ჩემი ბავშვობის ზაფხულის თვეებს ვატარებდი, დეიდაჩემის კარის მეზობლად ერთი მუნჯი ცხოვრობდა.

ეს კაცი მუდამ „სემიჩკას“ ყიდდა. ედგა ტროტუარზე ტომრით მოხალული მზესუმზირა, ტაბურეტი და ასგრამიანი ჭიქა.

ყოველდღე ვყიდულობდი მისგან ამ აბეზარ საკნატუნოს.

ბიძაჩემი ამბობდა, რომ ეს პერსონა ძალიან ცნობილი იუველირი იყო და ამ სფეროში დიდი კომპეტენცია ჰქონდა. ოქროს ბირჟის შავ სამყაროშიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობსო. ყურში კი ესმის, მეტყველება ინსულტის მერე დაკარგაო.

დილიდან შუადღემდე მუნჯი ტაბურეტზე იჯდა და წიგნის ფურცლების „კულოკებით“ მზესუმზირას არიგებდა. შუადღის შემდეგ აალაგებდა თავის სავაჭრო ინვენტარს და შუაღამემდე სახელოსნოში იკეტებოდა. ბიძაჩემი ტუჩების მოძრაობით მას ყველაფერს უგებდა.

ეს კაცი იმან გამახსენა, რომ ერთ დილას თვალებდასიებული დაბდა ჩვენთან შემოვიდა და ჩემს მშობლებს ჰკითხა, ხომ არ იცნობთ ოქროს ნაკეთობების შემსყიდველსო.

იმ საღამოს დედაჩემი, მედა დაბდა „თბილისი-ფოთის“ მატარებლით დედაქალაქში წავედით.

არასოდეს დამავიწყდება მუნჯის გაფართოებული თვალები და გაოცებული გამოხედვა, როცა აბრააშკას ნაჩუქარ ბეჭედს გამადიდებელი შუშით ათვალიერებდა.

„ეს ფანტასტიკაა“ — ტუჩების მოძრაობით მეც მივხვდი.

უინძორების დინასტიის რელიკვია ყოფილაო — ეს ბიძაჩემმა გადმოგვითარგმნა — მეფე ედუარდმა ოცდაათიან წლებში ლონდონის ძალიან ცნობილ იუველირს დაამზადებინა თავისი საყვარლისთვისო. ბეჭედი დღემდე იძებნება, იგი კულტურული მემკვიდრეობის ყველა კატალოგშია შესულიო. ამას მხოლოდ იატაკქვეშეთში თუ გაყიდით, სხვაგან ვერ გამოაჩენთო.

მეორე დღეს ავლაბრელმა შავმა მაგნატმა ერთი ჩანთა ფული მზესუმზირის გამყიდველს მოუტანა.

კაპიკი არ აუღია მუნჯს, ჩანთა დაბდას მიაწოდა, დათვლა არ უნდაო, დააყოლა.

არც სენაკელ ქურდს დაუთვლიაო — ასე თქვა დაბდამ — გამომართვა და ვისთან მიჰქონდა, არ უთქვამსო.

დაჭერიდან ოთხმოცდამეოთხე დღეს აბრააშკა ციხიდან გამოუშვეს.

კვირა დღე იყო. ჩვენთან მოვიდა.

გამომიშვესო. ჯერ უზარმაზარ ფულს მთხოვდნენ და მერე ისე გამომიშვესო... გადარეული ვარ კაციო.

სუფრა გაიშალა.

— წადი, დაბდას დაუძახე! — მითხრა ბაბუამ.

აბრააშკა შეიშმუშნა.

— დაუძახე! — გამიმეორა.

წავედი და დაბდა მოვიყვანე.

ცივად შეხვდა აბრაამი. არც დაბდა დამტკბარა.

კარგა ბლომად სვეს კაცებმა...

— ხვალიდან საბუთები უნდა შევაგროვო, ისრაელში ვაპირებ წასვლას, აქ არავინ მყავს და არც არაფერი გამაჩნია! — გამოგვიცხადა აბრაამმა.

ბაბუა გაჩუმდა.

ყველანი გავიყინეთ!

უცებ დაბდამ მუდარაშერეული ხმით წამოიძახა:

— აბრაამ, ნუ წახვალ ისრაელში!

* * *

ეჰ, როდინდელ ამბებს ვყვები.

ეს ყველაფერი ახლა ამ ნისიების ბლოკნოტმა გამახსენა...

მთელი ჩემი თაობა აქ წერია. ყველას გასწვრივ მინუსია დასმული, ერთ პლუსსაც ვერ ნახავთ!

იმდროინდელ ახალგაზრდებს სამუდამოდ გაგვყვა აბრააშკა ურიის ვალი, ყველაზე უწყინარი და საყვარელი ვალი მთელი ჩვენი ცხოვრების გზაზე!

მაშინ თუ რამე კარგი და ძვირფასი გინდოდა, ებრაელებში უნდა გეძებნა... სულიერებაზეც ვრცელდებოდა ეს პოსტულატი...

დაბდა ამას გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა...

ახლა ოთხმოცს გადაცილებულები არიან, თელავივში ცხოვრობენ...

კარლოია მაკასინა

ჩემზე კაი ათი წლით უფროსი იყო.

ერთი პატარა „ბუტკა“ ედგა. წარწერა ოდნავ აჩნდა — „ფეხსაცმლის შეკეთება“.

ამბობდნენ, ადრე რუსეთში ფეხსაცმელების დიდი ატელიე ჰქონდაო. ჩვენში პირველი მაკასინები მაგან შეკერაო.

ახალგაზრდობაში მეც მეცვა მისი შეკერილი გრძელწვეტიანი ფეხსაცმელი.

კარლო ერქვა. კარლოია.

როგორც ჩანს, იმ მაკასინების შემდეგ შეარქვეს „მაკასინა“.

„ბუტკა“ არ იყო რეგისტრირებული. მოვიდოდნენ მთავრობიდან, შეუყენებდნენ აქტს და გადაიტანდა მაკასინა ამ ფიცრულს რკინიგზის გაღმა. მიაგნებდნენ იქაც და გადმოათრევდა ისევ და მოაფარებდა კლუბს. აქაც რომ ნახავდნენ — მიმალავდა მგზავრების მოსაცდელის უკან. მოკლედ, ყოველდღე საძებარი იყო თავისი ბუტკიანად.

დილით თუ დაადგებოდით თავზე, თორემ შუადღის მერე ვერ ნახავდით...

შუადღით სასაფლაოზე მიდიოდა... დღეს არ გამოტოვებდა! რა წვიმა და რა თოვლი — კარლოსთვის სულერთი იყო.

დადიოდა საფლავ-საფლავ და სვამდა მიცვალებულის სახელზე დატოვებულ სასმელს... საჭმელსაც შოულობდა, თუმცა ჭამისთვის თავს არ იკლავდა... ქეც იყო გაძვალტყავებული და გაყვითლებული! საღამოს გამოჩნდებოდა. ფეხარეული. ცოტა ხანს ბიბლიოთეკის კიბეზე ჩამოჯდებოდა და მერე ბანცალ-ბანცალით გაუდგებოდა გზას შინისკენ.

ჩავარდნებიც ჰქონდა — ზოგჯერ ვერაფერს იშოვიდა სასაფლაოზე, თუმცა არც ამაზე წუხდა დიდად.

ბუტკას არასოდეს კეტავდა, ვის უნდა ჩემი ჩაქუჩი და სადგისი, მეტი იქ არაფერიაო. არც არავის, არასდროს, არაფერი მოუპარავს.

თაროზე ორი რვეული ედო, ერთს ყდაზე ფლომასტერით შავი ჯვარი ეხატა, მეორე ჩვეულებრივი, უჯვრო, იყო. ესო, ნისიების რვეულებიაო. ადრე ერთი მქონდა, მერე ავდექი და მკვდრები ცალკე გამოვყავიო, ერთი რვეულიდან მეორეში გადავიტანეო. ა, ნახე, აქ ამოვშალე და იქ ჩავწერეო. ეს ჯვარი მკვდრებს დავახატეო. ოცდახუთი წელია, ამ გადაწერა-გადმოწერაში ვარო...

— კაციშვილი ფულს არ მაძლევს, ნიკოლოზის დროს ერთი კონტეინერი მასალა რომ ჩამოვიტანე რუსეთიდან, საცაა გამომელევა და მეყოლონ კარგად, ორი ჩემოდანი მარტო ნალი მქონდა ჩამოტანილი. ამ მკვდრებიდან უფრო ამოიღებ ფულს, ვიდრე ცოცხლებიდან! — ჯვრიან რვეულს ხელი დაარტყა კარლოიამ.

მკვდრებიდან რაფერ-მეთქი, ისე ვიკითხე, პასუხს არც ველოდი.

— ა, ასე, უყურე: დარასელია სისო ივლიანეს ძე, ოცი წლის წინ ტყავის აზიაცკებზე დავურტყი პადმეტკა-ნაბოიკა თავისი ოთხი ნალით. მეწერა ჩვეულებრივ რვეულში და შარშან გადავიტანე ჯვრიანში.

ხომ ხედავ, აგერ ამოშლილია და აგერ წერია. მთელი წელია, მაგის საფლავზე დავდივარ და ვთვრები, ათმაგად აქვს გადახდილი. აგერ ჩაჩუა ევპრაქსია, შარშან გავუწებე ვალინკები. იქ მეწერა, მაგრამ ერთ თვეში გამიხდა ჯვრიანში გადასატანი. გასტუმრებული აქვს მაგასაც — შვილი რომ ჩამოუვიდა იტალიიდან და საფლავზე პურმარილი დაყარა, ას წყვილ ვალინკს იყიდდი!

— კი, მაგრამ ფული საერთოდ არ გჭირდება, კარლო?

— ვინ მაძლევს ფულს, თუმცა წამალს მე არ ვყიდულობ და ტანსაცმელს, მტერი მე არ მყავს და მოყვარე, არსად დავდივარ, საჭმელ-სასმელს კი ვშოულობ და მეტი რა მინდა?!. ამდენ მკვდარს ინახავს სასაფლაო და ერთი ცოცხალიც რომ შეინახოს, ვითომ რა ქვეყანა დაიქცევა?!

— რისთვის მუშაობ, აბა, კარლოია, სასაფლაოზე ხეტიალს ისედაც ვინ დაგიშლის, — შევაპარე მე.

ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია.

— მასალის გათავებით კი ვაშინებ ამ ხალხს, ჩემო ძმაო, მაგრამ გამოგიტყდები, მე უფრო მეშინია. სხვანაირად ვინ მომიკითხავს, შენ მაინც ხომ იცი, რა კაია, როცა ვიღაც გეძებს. იმ დღეს გენადი სიგუა ფეხშიშველა მოვიდა და შემორღვეული ფეხსაცმელები ხელით მოიტანა... მთელი დღე მეძებდა. რისი გადამხდელია გენადია, ისიც მაგერ მიწერია! ა, ხომ ხედავ, ჩემი ფეხსაცმლის შემოსაკერად ძლივს მოვიცალე... — მელაპარაკება მაკასინა, თან ცალ ფეხზე იხდის და კაპრონის ძაფს სანთლავს, — ახლა ჩემს სახელსაც ჩავწერ ცოცხლების რვეულში და რომ მოვკვდები, შენ გიბარებ, ჯვრიანში გადამიტანე...

იცინის...

მეც ვიცინი...

— კაი კაცი ხარ შენ, კარლოია, მარა აგერ, ორივე რვეულში, პირველ ნომრად მაკალათია თებრონე რომ გიწერია, რაფერაა ეს?

წამძვრალ ფეხსაცმელზე დააბიჯა და ისე წამოდგა. წინსაფარი ჩამოიფერთხა. ღვედებიანი სკამი უკან შიშველი ფეხით მისწია.

— თებრონე არ გახსოვს? – მკითხა, — თუმცა საიდან გეხსომება, შენ ბავშვი ხარ, — თვალები გაუშეშდა კარლოს, — ბიბლიოთეკაში მუშაობდა აქ. მიყვარდა თებრო. ვერ ვუთხარი... ვერ გავბედე... შემეშინდა... თბილისში გათხოვდა, ქორწილში ჩემი შეკერილი ფრანცუზკები ეცვა. მშობიარობას გადაყვა, მშობლებმა აქ ჩამოასვენეს და ახლა ერთად წვანან ჩვენს სასაფლაოზე... ვაკითხავ ყოველდღე... ვუვლი. აღდგომას პასკა მიმაქვს და კვერცხსაც ვაგორებ!

კარლო დაჯდა. შევატყვე, ხელები უკანკალებდა.

კაი კაცი ხარ შენ, კარლოია-მეთქი, ისევ გავუმეორე და გავეცალე.

გადავქექე ძველმანები და ერთი შემოხსნილი ბოტასი შევარჩიე. მივუტანე კარლოიას დილაადრიანად. ათვალიერა, ატრიალა ხელში და არ ღირს ამის რემონტიო, ალალად მითხრა, მაგრამ ვცდი მაინცო.

ფული გავუწოდე... ფული მერე, როცა წაიღებო.

მეორე დღეს მოულოდნელად თბილისში მომიწია გამგზავრებამ და ერთი თვის მერე დავბრუნდი.

შუადღე გადასული იყო. ბიჭებთან კარლოია მოვიკითხე. მაკასინა მეორე დღეა, არ გამოჩენილა, ვეძებეთ და არსად არაა, სასაფლაოზეც ვიყავითო!..

გულმა რეჩხი მიყო და სასაფლაოსკენ მაინც გავწიე. კარგა ხანი ვეძებე მაკალათიების საფლავი და მივაგენი თებრონეს სურათთან ჩაცუცქულ გაციებულ კარლოიას...

ცრემლიანმა შევაღე „ბუტკის“ კარი... თაროზე კოხტად შემოეწყო ჩემი ბოტასები — ახლებს გავდა.

რვეულები ჩამოვიღე და თებრონე მაკალათიას გასწვრივ ორივეში კარლოია-მაკასინა ჩავწერე... ხოლო ცოცხლების რვეულში მოვალეთა სიას ჩემი სახელი და გვარი მივამატე...

VII

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბესიკ ხარანაული

ადამიანი: ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

1
ბუნებაში ცხოველი ცხოველს ჰგავს,
ფრინველი ფრინველს,
ადამიანი კი გამოიცნობა.

ხომ ამდენი დაწერილა ადამიანზე,
ხომ ლაქებივით შერჩა მთვარესავით,
მაგრამ მოვა ახალ სილაშემოკრული
და წიგნს მოიკითხავს:
— ადამიანი? — არაა აქ ასეთი წიგნი.

ხომ ნახა ღმერთმა წყლის პირას მჯდარი,
ხომ ჰქონდა შუქი ტანზე ჩამოღვრილი,
ხომ მოეწონა, ხომ ჩაუდო გულში სიყვარული,
ხომ გზაზე გაუშვა,
ხომ იყო დრო ფიფქთ გადავლისა
და მწვანის ამოსვლის,
დრო, მიწის საფუარად მოსული წვიმისა,
დრო პირუტყვთა ხურაობისა,
დრო ბატკნისა და ნამიან ბალახის პირველ შეხვედრისა,
— მე რაღას მერჩით?
რომელსაც მინდა ვიყო — არა ჩემსავით.

2
შორიდან ადამიანი საშიში არ არის, — ჩემსავით.
ვინც მარტოა, წრიალებს, — ჩემსავით.
ახლოდან ადამიანი — როგორც ვეფხვს ეწვიო გალიაში,
მგონია, რომ ტურაც დაგიმადლის,
მგელი, ფარშევანგი...
კოცონი გაგათბობს, არ შემოგახტება,
მგელი არ შეგჭამს, თუ ზამთრის ღამემ
ტყეში არ მიგიხმო.
ადამიანები მიგიწებებენ, ლურსმანივით ვერ დაეხსნები,
სათაგურისხელა სოფელშიც ის ხდება,
რაც სამხეცისხელა ქალაქში.

ასე არ იყოთ: მკვდარს მკვდრისა აცალეთ,
ნერვები ადამიანს ძირს ეწევიან, დახრიან, დახრიან,
თავს ვეღარ აწევს,
რომ დაუძახონ, ეტყვის — დაბლა ვარ,
მაღლა ნუ მეძებთ...
შერცხვება, შესცივა, ვერაფერი გაათბობს.

მკვდარს არ უჭირს თავი.
ცოცხალი მკვდარი ვერ იქნება, ვერცკი ითამაშებს.
ცოცხლები ერთმანეთს მეტობას ეჯიბრებიან,
— მეტი კი წინ უწევთ.

სხვა გამოსავალი ვერ ვნახე: —
ცოცხალმა თავისში მოაწყოს თეატრი.
მაყურებელი სულ ეყოლება, დასიც მრავალი,
ადამიანის აზრი მიდის დიდი პირობითობისკენ,
თუ წამია საუკუნე და ერთი — ათასი,
ასეთია ადამიანიც,
მდუღარე, მდუღარე,
სანამ მკვდრის გვამში არ ჩაასხავენ.

ადამიანი არ იჩერებს არაფერს,
რომ შიგ თვალთმაქცობა არ ჩააქსოვოს.

ადამიანი: ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

3
ადამიანის თვალს არ ენდობა ცხოველი,
ადამიანის თვალებიან თავზე დაფრინავს ფრინველი,
ადამიანი ბუნებაში არაფერს არ უყვარს,
ადამიანის თვალი ბუნებაში ყველაზე დიდი მხეცია,
ყველა გაურბის...

ადამიანი უარყოფის ნიჭით განვითარდა,
ამიტომაც ბუნების ცოდნა კვანძებითა აქვს გადაბმული,
ადამიანში არაა უწყვეტობის ნიჭი,
ასო-იოგებივით ყველაფერი გადაბმული აქვს.

ბუნებაში არაფერია ადამიანისა,
ესაა, რითიც ვითარდება ადამიანი,
რომ ბუნებაში არაფერს არ უყვარს.

ადამიანმა თუ მეტაფორა დაკარგა,
ისე დაეცემა, რომ ვეღარ ადგება.
ადამიანი კიდევ იმითაა,
რომ ცოდნა და არცოდნა
ერთმანეთის მჯობინობაზე აქვს —
ორივე კი ღვთისგან.

მელია ხეს არ აფსამს, თავისი ბუნებით.
კვალს უფრთხილდება.
კაცი ხეს აფსამს და კვალს არ ტოვებს, თავის ბუნებით.

4
მიცვალებული ისეა, თითქოს ჯერ არ დაბადებულა,
თითქოს ჯერ არ შემოუტყაპუნა ჩვილის ამხმელმა,
რას აღარ უკრავს შიგნით და გარეთ კი რა სიწყნარეა,
ცხოვრების რიტმში,
ხელ-ფეხის ტრიალში რომ ხედავენ ამაოებას
და კაცისგან გამოტანილი კი,
მხოლოდ — სულისკვეთებაა,
დახურულში, თავის შიგნით,
არც აწვიმს და არც რომ ქარია —
ადამიანი არაკონკრეტულისადმი გულგრილი არის,
სახლი რომ დაინგრევა, იკითხავს მერე — ვისია სახლი?

მიწაში მარცვალს პირი გაეხსნება და ღივი ამოვა.
ამიტომაც ახსენეთ:
— ცოცხალი ნაჭუჭში და მკვდარი — ღივში.

ცხოვრების რიტმში კაცი შიგნით უკრავს,
ხელ-ფეხი, მუსიკა კაცს შიგნით შეაქვს,
ყოველი წამი ეუბნება, რომ ცოცხალია,
ყოველი დილა ისე მნიშვნელოვანია, თითქოს დაბრუნდა,
ჯოხს აიღებს, გაიხედავს და სიტყვას დაძრავს:
— ჭაღს რა უნდა ჭერზე, ჯოხი სად წავიდეს?

ადამიანი არაკონკურენტულისადმი გულგრილი არის,
სახლი რომ დაინგრევა, მერე იკითხავს:
— ვისია სახლი?

5
უფრო დიდ სახლში ვერ დავეტეოდი,
უფრო დიდი სახლი ვიწრო მექნებოდა.
ჩემი სახლი ტანზე მაცვია,
თავზე მახურავს,
ვის უნდა სხვის ტანში?
სხვის ქუდში ვის უნდა?
სიყვარულში ადამიანი სუსტია,
სიძულვილში არის მაგარი.
ბრმა ეძებს ხედვას,
ბრმას თავისი თავი სულ წინ მიუძღვის...

მკითხავი ქალი არც ლამაზი იყო, არც უხეში,
სამაგიეროდ იყო ხუთ-ნაქმარევი და,
მითუფრო მკითხავი,
მითუფრო უმანკო და ზნეკეთილი.
ასე რომ, გარეთ რომ არ ახედებენ ქალებს,
ბრიყვების მოდგმაა.

ამ ქალისკენ რომ მივდიოდი,
გზაზე ვიღაც ნაცნობმა თვალი ამარიდა,
ამ გრძნობით ვიყავ, მოკრძალებით რომ წარვუდექი...
— აბა, რა ხდება?
მკითხა და მიყურა...
— ადამიანები თვალს მარიდებენ, თითქოს ეშინიათ!
— ეგ იმიტომ, რომ, ადამიანს გამჭოლად ხედავ.
— პირიქით, ბრმასავით ვარ ადამიანზე.
— ბრმა სულ ხილვაშია,
ის ჩვენსავით თვალის ჩინს არ იყრის,
არ დგაფუნობს, ტაშტივით არ ღვრის,
უქმად არ ხარჯავს.
ამიტომაც ღრმად აღწევს კაცში...

— უხეშ ქვეყანაში წესიერმა
უძლურის ჯავშანი უნდა ატარო,
მხედველმა — ბრმისა.

6
რაზე უნდა დადგეს კაცი გაღვიძებული?
ფეხები ძირს გადმოუყრია,
იყურება,
რას დაენაბროს?
იატაკი აყრილია, მიწა გადათხრილი,
გარშემო ზღვაა, ამისი კარგიც!..
კაცისთვის კი მიწა, სწორედ რომ ზღვამდეა!

ეს ბრაზიც რომ საძებარია!
ეშმაკი მიმალავს,
ეშმაკს აშინებს კაცის ბრაზი, იცის, რომ დაუღრენს...
უბრაზოდ კაცმა რა უნდა დაწეროს!

რა კითხვაზე უნდა შედგეს კაცი,
ძველები რომ ნაპასუხებია!
რაზე აშენდეს,
ძველი მიწა რომ ნაძრავია?
არადა, რომ ენდო რამეს,
მყარიც უნდა იყოს და, მშვენიერიც.
სანდო ყოველი — კაცისთვის — ქალწულებრივია,
გახეული ფარდიდან ვიღაც იყურება.

მაგრამ რაზე დადგეს კაცი გაღვიძებული,
მოტყუებული, ძალაწართმეული?
— უბრაზოდ კაცმა რა უნდა დაწეროს!
ნამდვილი რომ თქვას, ვერავინ გაიგებს:
სინამდვილეში, კაცის აზრი სრულიად გაუგებარია —
ასეც უნდა იყოს,
გასაგები გაკიდულ სარეცხივითაა...

საიდან უნდა დაიწყოს კაცმა,
გათენდა და მზემ ხაზი გაუვლო,
განათდა და დღემ მისცა ნიშანი. —
— აბა, კაცო,
აზრებს ნუ ეძებ,
ცხოვრებას ჰყავს ლაჯებში მომხრჩვალი...

წითელი წყლით მთვრალია მიწა.

სად დადგეს კაცი,
თუ ცაშია, სად ჩამოვიდეს,
კიბე — წყალში, წყალი განავლისა —
როგორ იკადროს...
არც ბრაზი აქვს, არც საფურთხალი...

არც მართა იყო ვინმეს ქალი, არც მარიამი,
მიწის საყვირი ღრუბლებში ჩანდა,
ცის თავში ჩანდა მათი მიჯნური.
მასუკანაა,
ქალს თუ სურვილი აქვს,
გველის ღობეც კი ვერ დაიჭერს.

აბა, სცადეთ და ჩემსავით ტიტველმა იარეთ...

— შეიმოსეთ, შეიმოსეთ, რომ არ შეგაფურთხონ!

ფეხშიშველიც ბოლს ვადენ მიწას.

მღვდელზე წმინდა რომ იქნები და
ბერზე დახშული,
ხოა ფოკუსი!

შაშვივით პირს რომ არ ვაჩერებ,
— სხვა ვინ გინახავთ...

მკვდრის გაგრძელება ცოცხალი ვარ,
ხაზს არ გავწყვიტავ!

ნუ იტყვით — საიდან?

იმიტომ ვწერ, რომ ვინმეს გაუხარდეს...

მყოფს შეუძლია არმყოფში შევიდეს
და არმყოფი მყოფში შეიყვანოს,
მკვდარი — ცოცხალში.
გეუცხოვებათ ეს სიტყვათწყობა?
მეც ვიცინოდი, ბებოჩემი რომ შემილოცავდა.

დიდი ძალა მსუბუქს ვერ აწევს,
მსუბუქთან ყველა ძალა — ცოტაა,
ადამიანს უჯობს მწერს დაეტოლოს.

ნამდვილად არ არის ადამიანი მეხუთე სტიქია,
— ადამიანი
სრული ანტიპოდია სტიქიებისა:
სტიქიები არ იცნობენ ადამიანს,
ასეთია, ისეთია, არ აინტერესებთ,
სტიქიებს მხოლოდ ერთმანეთის მოსპობა უნდათ.

არხეინია ბუზიც ცხენის კუდქვეშ,
სანამ ცხენი ძუას არ შეაშლის,
ადამიანს უნდა რომ დედამიწის სიშიშვლე იხილოს,
უნდა, საბანი გადახადოს და შიგ შეუწვეს —
ადამიანი ესწრაფვის ჯოჯოხეთს.
თქვენ არ გინახავთ ზამთარში ჩვენი ტყეები —
როგორც საერთო აბანოში: მუხები და წიფლები დგანან,
მიწას კი რკოსა და წიწიბოს მძებნელი ღორები თხრიან —
ასე თავჩარგულს ადამიანს წიგნშიც ვერ ნახავთ,
ისევ და ისევ პირუტყვში მეტია გულმოდგინება,
ისევ და ისევ პირუტყვია ნიჭის ერთგული...

დედამიწა მდედრია,
რას შობს, ვინ იცის, ალბათ ჩვენთვის წარმოუდგენელს,
ხოცვა-ჟლეტვით, ცეცხლის ბუგვით,
წყლის წარღვნებით —
ადამიანს ვერ გააკვირვებს,
მაგრამ რა იქნება,
ხალხები რომ ტაშტებივით ერთმანეთში გადაიღვრება,
ოთხივე სტიქიას რომ აუტყდება ერთურთში ჭიდილი
და, მერე თქვენც იცით, —
აღარ ვიდგები მეც ჩემს გორაზე,
არც საყვირი შემრჩება ხელში,
ბაგეზე სიტყვა გამიქრება,
რადგან აღარ შემრჩება აზრი...
მოვერიდები მეც თავის გამასხრებას
და ვიფიქრებ გადარჩენაზე...

სხვას არ უთხრა შენი სიზმარი, თავს შევულოცავ.

7
დაე, შვილმა გალანძღოს მამა,
დაე, იყოს მამა საძულველი,
მაგრამ, მამას მაინც ნუღა დაუძახებს.

თუ ღმერთს მოვწონვარ, მიზეზს ვერ ვკითხავ,
თუ არ მოვწონვარ,
მაშინ მამას ნუღა დავუძახებ,
ვიყო ასე, არიარეზე,
ადამიანობას მივყვე უკან და ვიცოდე
მხოლოდ ჩემნაირი...

ყველაფრამდე ცოტაა კაცი,
სათქმელი ბევრი აქვს.
გზა გრძელი აქვს დასახული —
საქცევიანი, მიწის გოროხიდან ცის კივკავებამდე —
და, საგზლად კი ადამიანობა აქვს წამოღებული:
მარილის კვნიწი ვაცის ყვერის ქისაში...
ადამიანობა საკმაოა ცხოვრების საგზლად?
თუნდაც ერთი ნაბიჯისათვის?

ციდან დაშვებული სატყუარაა ადამიანი,
თუ მიწიდან ასული ორთქლი?
ადამიანი...
ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

— იქნებ მოვეშვა შეუძლებელს
და ვარჩიო ჩემი გამოცნობა...

8
კაცის სავნოდ და საზიანოდ ღმერთს გუნება ჩაუბერია,
მასმერე კაციც ისაა, რამდენსაც რომ მისდებ-მოსდებია,
რამდენიც უტირია, რამდენიც უმღერია...
რაც გინდა მწურთნონ, მე მსაჯულად ვერ გამოვდგები,
რაც ჩემშია, ყველაფერი ცოდვა მგონია:
რადგან, ცუდი სტუმარი ვარ, არსაითი ქალთ-მადევარი
და ეს ყოველთვის ართულებდა ჩემს არსებობას —
გარეთ, მიწაზე აგრესია ისე იზრდება,
რომ ვეღარც სიტყვაში ეტევა და ვეღარც საქმეში —
სამწუხაროდ, „სხვისი ცოდვა“ არ არსებობს,
სხვისი მხოლოდ გისოსებია —
ვითომ სამოთხეა და იქ ბევრი ადამ-ევები...

რადგან:
შვიდჯერშვიდი თაობის მერეც ადამიანი იგივე იქნება.
რაც რომ იყო ცხრაჯერცხრა თაობის უწინ —
ამიტომაც, თუ გსურს კაცი ძველს გადააჩვიო,
გემო წაართვი, რასაც კაცი მიჩვეულია,
ადამიანმა უკვე ზღო გემოსთვის,
უდაბნოში დასვი, შორს ბალახისგან...

9
ცოცხალი კაცი ნაჭუჭშია, მკვდარი კი — ღივში,
ღივი მკვდრის სულის ანტენაა, — ახსენე მკვდარი,
გეხვეწები, ახსენე მკვდარი,
მოგისმენს ღმერთი და უპატრონო არ ეგონება.

ცოცხალიც ახსენე, გეხვეწები,
მოგისმენს ღმერთი და მოიკითხავს.

10
შენი ნება შენზე უწინ იყო,
სწავლება გქონდა, ვიდრე გაჩნდებოდი,
მაგრამ შენი ნაჭუჭის წიბოებზე მაინც იზრუნე,
რა არწივი ხარ, როცა ყველა გატყაულ ჩიტს
შეუძლია ბუმბული წაგაძროს,
რა მოწმიდარი ხარ,
ქალი დაწვეს შენს ლოგინში და არ დაიწვას...

11
ადამიანი, რომელიც კანონებს იხურავს,
წვიმა არ ჩაუვა,
ერთი კანონი — ერთი მგელია,
კანონები — მგლების ხროვაა.
ერთ მგელს კაცი მოიგერიებს,
მგლის ჯოგში კი თოფიც ვერ უშველის,
ხანჯალი არ გამოადგება,
შემოეხვევა მგლების როტო და
ფოლაქსაც არ დაუტოვებს
რას გავანათხოვრე, მე სულელმა, ჩემი გრძელი პალტო,
ვეღარც ვის გავუშლი, ვეღარც დავუქოხებ,
ქალი დასველდება...

12
ისე მძლავრია ეგოიზმი ადამიანში,
რომ მკვდარი მშობელი შვილს საიქიოს არ
გაუმჟღავნებს,
არ უამბობს ის რა ხილია.

ნეტა რით არის წარმტაცი სიკვდილი?
— ნუთუ სიცოცხლით, მის ღივში როა?

13
კაცში ორნაირია პირისკალაპოტი,
რასაც სხვანაირად ნიღაბი ჰქვია.
ისედაც არაფერია ადამიანში, რომ ერთი იყოს —

ტანსაცმელიც ორია კაცისა — საშინაო და საგარეო,
საგარეო, თავის წესით, ჩამოიხევა,
საშინაო კი ვეღარასდროს ამაღლდება საგარეომდე.
მაღალყელიანი წუღებიც კაცს საქმეს გაუჩენს —
ერთს ჩაიცვამს, სულს მოითქვამს და მეორეს შეეჭიდება,
მით უფრო, თუ მიწის მბარავის წვივები აქვს
და არა გლეხ-აზნაურისა...

არც ერთი არ უნდა გააქილიკო, არ უნდა განსაჯო,
რას ერჩი, მაყურებელი თუ შეიქცია...
შიგნიდან გააქვს, გარედან შემოაქვს,
შეტანილ-გატანილით არც აკლდება და არც ემატება.
ასევეა სისულელე და სიჭკვიანე:
სისულელეები რომ არ ჰქონდეს კაცს,
მახსოვრობაც არ ექნებოდა.
თუ გადაბრუნებულიც გცმია პალტო
და გადმობრუნებულიც,
მაშინ ჯამს ისე მოაკრიალებ,
რომ გამკეთებელი თვალს ჩაგიჭუტავს.

როგორც კი თეფშს კოვზი მომიხვდება,
მთელი წარსული ამიხმიანდება...





ბესიკ ხარანაული

ადამიანი: ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

14

ნაცარზე დაწერ თუ ფურცელზე,
სულ ერთია, ფიქრს იგერიებ.
წერა არის მ ო გ ე რ ი ე ბ ა...

მატყლის წინდასავით,
ადამიანიც წაღმა-უკუღმა ნაქსოვია:
ასჯერ ააგებს, ასჯერ დაარღვევს,
მაგრამ თავის ამბავს ვერ იგებს.

თითო ჯერზე ბედიც გცემს პატივს და კაცი გეგონება.

ადამიანი მომავალში ვერ იყურება, ვერც წარსულში,
არც გუბეებზე ხტომა იტაცებს: ჩაარჭობს ჯოხს
წყალში, შეკრავს კამარას და გადაევლება...
მეტი რა უნდა!
ადამიანი ზღვაზე ცხენს ვერ გააჭენებს, იმიტომ, რომ
ბავშვობაში მუმლზე არ მჯდარა.
ადამიანი ვერც ოკეანეს გადაღვრის ტაშტივით.
სამყაროში რომ გაუშვა, დაიკარგება.
— რა ქნას?
— იყოს აქ?

— ადამიანი!.. ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

პალტოს კალთების გარდა მე სხვა ფრთები არ გამაჩნია,
ცხვირის გარდა არ მაქვს ნისკარტი.
გზა გოროხია, ბალახია, მწვერავალიც კია...
თვალები გამომებურცა, ყურები გამეძაბრა —
ალაბლობისაგან.
თავი დოლისა, ტანი გარმონისა,
გაწიე, ცხოვრებავ, ქალ-კაც-ბავშვიანო,
თმა-სავარცხლიანო, თვალ-სათვალიანო, ლამაზო,
ჭკვიანო, დაუკა, მოვდივარ მე, ცის კალთებიანი,
ფეხ-ფეხსაცმლიანი, ნალ-ლურსმანიანი...

— ადამიანი? ხომ არა ვარ მეც ისეთივე.

ნეტა სიცოცხლეს სიყვარულით გამოვეთხოვო,
ვიდრე ვმალავდე.

სიკვდილია ერთადერთი, ვისაც უყვარს ადამიანი.
განა უხეშია, განა აღრჩობს, განა ტყვიას ასობს...
რაც ადამიანის ხელიდან გამოდის,
იმას სიკვდილს ნუ დააბრალებთ.
ის კლავს ადამიანს თავის კულმინაციაში, მწვერვალზე
რომ ავა, აღმართს რომ აივლის... სიკვდილი დაჰკრებს
მას თაიგულად, სიკვდილს მიჰყავს ის სიცარიელეში.
მე მიყვარს სიცოცხლე, მაგრამ მწერიც ხომ ასე არის...
ღმერთო, შენ, კურთხეული ხარ:
დაადუმე ჩემი საძაგელი ენა,
შემიკარ ხელ-ფეხი.

არასერიოზულობა ხელოვნებაა.

გავდიოდი ეზოდან მარტოსული ბავშვი,
გავყურებდი გზას ჯვარედინამდე,
რამე ხორციელი რომ დამენახა,
დედაჩემი თუ შემოუხვევდა, ბრჭყვიალზე ვიცნობდი.
დედაჩემი ბრჭყვიალა იყო.
მივეგებებოდი, წამოვუძღვებოდი,
პატარძალივით შემყავდა სახლში.
დედაჩემი ბრჭყვიალა იყო.
ყველგან ბრჭყვიალებდა და არ ელეოდა.
მას მერე ვიცი:
ისეთი არ დავწერო,
რომ ცრემლებისგან ვეღარ დავინახო.

15

ყველაფერზეა წიგნი,
მაგრამ თაროებზე არსადაა — „ადამიანი,“
ვიცით უცოდნელად!
ამიტომაც არვინ ეძებს.

მე არ მინახავს ბიბლიოთეკაში ვინმეს მოეკითხა
„ადამიანი.“
ვეფხვზე არის წიგნი, მგელზე არის, ბალახებზეა,
ადამიანს კი ვერაფერი ვერ დაეწია,
რადგან პირველი აქტიორია მთელ სამყაროში
და მგორიალე ქვას, მითხარი, აბა, რომელი მიჰყვა?
ვინ მოუყრის თავს კაცის სურვილებს,
ვინ დაადგენს იმის ბუნებას —
ვეფხვი ხომ არ არის, მგელი ხომ არ არის,
ბალახი ხომ არა...
ადამიანი ყველაფერშია, რაც კი დაწერილა
და არაფერია მასზე დაწერილი,
იმიტომ, რომ „ერთი“ არის მისი ნამდვილი სახელი...
ერთი — მწვერვალია,
ერთი არის მშვენიერება,
ერთია სიკვდილი...

ყველამ იცის მისი სახელი,
ყველამ იცის, რომ თვითონაა,
მაგრამ, ვინც პირველი ცოდვა დაიდო —
გაგდებული ჰყავს ყველას თავიდან,
დაწანწალებს და არავინ იწებებს
და წინაც რომ დაუყენო, თვითონ არ იქნება.
არავინ იტყვის:
— ადამიანი: — ხომ არა ვარ მეც ისეთივე?...
ხომ არ მკუზავს მეც იგივ ცოდვა?
რადგან ყველა იმ სახით კვდება, რითიც იცოცხლა.

ციდინ დაშვებული ეტრატი არავის უნახავს,
ამბობენ, რომ ტატუირებული ენასავითაა
და ვერაფერს ვერ წაიკითხავ —
რა აზრი აქვთ ჩვენზე ცაში,
ვერასდროს გავიგებთ,
ვერ გავიგებთ, რას ფიქრობენ,
საითკენაც თვალს მივაპყრობთ ხოლმე ლოცვისას.
ადამიანს ყველაზე აზრი აქვს,
მაგრამ არ იცის, სხვები მასზე რასა ფიქრობენ,
არ იცის კურდღლის აზრი, არც მგლის, არც ვეფხვის,
ტანზე მიკრული მწერისაც, მათ შორის
და მელიაც ხომ თავს დაუმალავს...

16

კაცმა, თუ არ გაიხსენა თავის ასაკი, სულ ახალია!
სჯობს, ასაკი ახსოვდეს სხეულს,
თავი კი, დაე, ღრუბლებში დარჩეს.

კაცს, სადაც უნდა, მიწა უმალ ამოეკუზება
და საძახებელ გორად ექცევა,
კენჭზეც რომ შედგეს, ლოგინშიც რომ წამოიმართოს,
ნაფოტზეც რომ ირწეოდეს —
საძახებელი გორა იქნება...
ამიტომაც ძახილს ნუ მოიშლი,
კბილს ნუ ადგამ, ამოთქვი,
სხვანაირად სისხლი ჩაგექცევა...

სათქმელით კაცმა ცას და მიწას რა უნდა აწყინო,
ზეცა უფრო გაგშორდება, მიწა მოგითმენს.

ადამიანი, სადაც იტყვის, მიწა ამოეკუზება,
თუ სიტყვები ბაგეებს აწყდება
ამარილებულ ცხვრის ფარასავით...

17

ასჯერ ავაგე, ასჯერ დავარღვიე,
მაგრამ ჩემი თავისა ვერაფერი გავიგე.
აი, ეხლაც, ნემსი და ძაფი ხელთ მიჭირავს:
ნემსი — რკინისა, ძაფი — კანაფისა —
ავაგებ ზედ სხვადასხვაგვარ პირისკალაპოტებს —
გამომშრალ ხილივით,
ზოგს — გაღიმებულს,
ახალმთვარესავით ზემოთკენ პირართხმულს,
ზოგს — მოწყენილს, ჩამოლატკულ ბაგის კიდეებით
და პირველ რიგში მოვიკითხავ:
ადამიანი, როცა გარბის, სახლიდან და, თუნდაც
სიცოცხლიდან,
ვისთან ერთად გარბის?
— თავის თავთან ერთად.
ვისგან გარბის?
— თავის თავისგან.

ვინც გარბის და ვისგანაც გარბიან, კაცი თვითონაა...

— ადამიანი? — ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

ხშირად, ერთუბრალოსაც სასწაული ჰქვია.

პირველი სასწაულია — რომ ჩვენ ვართ,
აგრეთვე,
სასწაულია — კაცის სწორი საქციელობა...

ადამიანი ხანდახან ისეთ დანაშაულს სჩადის,
დედამიწაზე ვერ ეტევა, დადის, დადის,
რისხვის შემყრელ ხეებს ერიდება, ჯაგებში ტრიალებს...

— ჰეი, მოციქულო, ნუ ხარ ასე წმინდა, ლუკმა შემარგე!
ნუ იქნება ისე ადამიანი...

ადამიანი არაა ხე, ან ქვა, რომ მასში ბუნება ეძებო,
ადამიანი თავის ხელით აშენებულია,
თვითონ ეძებე...

დილას, რომ გავაღე ჩემი ქვიტკირის კარი,
ნატერფალი დამხვდა კაცისა,
თითქოს მგზავრი ჩემს წინ ამაღლდა.
— ვინ იყო ის, ვინც ამაღლდა?
— ადამიანი?
— ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

სიმხდალეს რა ვუთხარ,
თორემ, ადამიანიც კარგი მისაფურთხებელია,
მაგრამ, მერე ძებნა დაგჭირდება —
სხვა ვინაა ბუნებაში,
ვინაც რომ გტანჯა.

ნუ დაწყევლი, ვინაც გტანჯა,
დაწყევლილზე ვერ ამაღლდები.

— ადამიანი!
— ხომ არა ვარ მეც ისეთივე?

ვასილ ბესელია

ბუკინისტი

სასაფლაოს შესახვევში ცხოვრობდა.

ბოლო სახლი მისი იყო.

თუმცა რაღა ბოლო, სულ ორი ოჯახი ცხოვრობდა ამ ქუჩაზე.

ეზოში კარალიოკები ედგა. შემოდგომაზე, ხეებს რომ ფოთლები დასცვივდებოდა, ყვითელი ნათურებივით ანათებდნენ ეზოს მწიფე კარალიოკები.

ათწუთიან დასვენებაზე ვასწრებდი სკოლიდან მორბენას, კარალიოკებით ჯიბეების ავსებას და უკან დაბრუნებას.

სახლში იშვიათად მხვდებოდა, მაგრამ როცა იყო — „არ ჩამოვარდე, ბაბუ, არ ჩამოვარდე“ — მუდამ ასე მაფრთხილებდა.

გვიან შემოდგომით, როცა კარალიოკი ჩარბილდებოდა და მჭვირვალად ჩაშაქრდებოდა, მთელი კვირა ვკრეფდით ორივენი და ორასლიტრიან კასრებს ვავსებდით საარაყედ...

თეთრი წვერი გულზე ეფინა. თმებსაც იშვიათად იკრეჭდა. მარცხენა ფეხი მუხლს ქვემოთ ჰქონდა მოკვეთილი. პროთეზით დადიოდა. კოჭლობით.

მე ის მაშინ ღრმად მოხუცი მეგონა. არადა, როცა გარდაიცვალა, სამოცისაც არ ყოფილა.

ოროთახიანი სახლი ედგა — დაბალზე. ამ ტიპის სახლებს სამეგრელოში „კუხნა სახლს“ ეძახიან.

ოთხი-ხუთი წლის წინათ დასახლებულა აქ. ვანის რომელიღაც სოფლიდან იყო. აქ როგორ მოხვდა, არავინ იცოდა. იმას კი ამბობდნენ, ნაომარიაო და ტყვეობაც აქვს გამოვლილიო. ციმბირშიც ყოფილა ნაჯდომიო. ზუსტად არავინ არაფერი უწყოდა.

იმ ორი ოთახიდან ერთში თვითონ ცხოვრობდა, მეორეში გასაქანი არ დარჩენოდა — წიგნებით ჰქონდა გამოტენილი. ოთახი დიდი იყო. ახლა რომ ვიხსენებ, ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკაზე მეტი წიგნი ჰქონდა.

ყველა „ბუკინისტს“ ეძახდა. ისე ვალერიანი ერქვა. მისი სახელი მეც გვიან გავიგე. როცა კარალიოკებს ვეზიდებოდი, მუდამ „ბაბუთი“ მივმართავდი.

ყოველ კვირას შეაბამდა ვალერიანი „კაჭკაში“ თავის თეთრ ჭაკს, დატვირთავდა გახუნებული წიგნებით, გადააფარებდა მუშამბას, გადებდა ორთვალას ბორტებზე ხბოსტყავგადაკრულ ფიცარს, აბობღდებოდა ზემოთ და გაუდგებოდა გზას.

სად არ დადიოდა — ნოსირში, გეჯეთში, თეკლათში, ნოქალაქევში... მოივლიდა სენაკის ქვედა ზონის სოფლებს. აბაშის სოფლებსაც არ ტოვებდა. რა მიმართულებითაც არ უნდა ევლო, დილით ჩემს ქუჩაზე აუცილებლად შემოვიდოდა. არ გაჩერდებოდა, გატოპავდა ტეხურის ერთ პატარა ტოტს და გავიდოდა ასფალტიან გზაზე.

აქედან იწყებოდა მისი იმ დღის მარშრუტი...

— ბაბუ, — ვკითხე ერთხელ, — ეს წიგნები ყველა წაკითხული გაქვს?

— რას ამბობ, ბაბუ, ერთი კაცი ამას რაფერ წაიკითხავს!

— აბა, რამდენი წაიკითხავს, ბაბუ?

— ასე, ასი კაცი მაინც უნდა, იმიტომ დავდივარ და ვეძებ იმ ას კაცს, აბა, სიარული კი არ მიხარია...

არასოდეს მიკითხავს, საიდან მოჰქონდა ეს ნახმარი წიგნები.

ერთხელ თვითონ მითხრა, პური ფული ძლივს მრჩება, მაგრამ სახლში რა გამაჩერებსო.

იაფი იყო მაშინ წიგნი. არც პური იყო ძვირი.

— ე, მოდის განათლება! — იძახდნენ ბუკინისტის გამოჩენისას სოფელში.

შორიდან ცნობდნენ ვალერიანის თეთრ ჭაკს და თეთრ წვერს. შორიდან ანათებდნენ თეთრად... წიგნებიანად ანათებდნენ.

არაერთხელ გავყოლილვარ სოფლებში სამოგზაუროდ. შინაც არ მიშლიდნენ. საინტერესო კაცი გახლდათ. თითქმის ყველა წიგნზე შეეძლო, საუბარი — წაკითხულზეც და წაუკითხავზეც; ნებისმიერის ავტორი და მთარგმნელი ხომ იცოდა და იცოდა.

ყველა სიყვარულით ესალმებოდა, სახლში ეპატიჟებოდნენ. უცნობ ოჯახშიც ხშირად მიგვირთმევია ცხელი მჭადი და ყველი... ადესაც უყვარდა, სადღეგრძელოებიც კაი იცოდა...

იმ კვირასო, მითხრა, შენს უბანში უნდა ჩავატარო წიგნებიო... დილით მოდი და ერთად წავიდეთო. აქეთ ფეხით მოდი, იქით კაჭკით წაგიყვან, მეტი რა გინდაო.

— ჩემს უბანში ისედაც ყოველ კვირას არ დადიხარ, ბაბუ?

— ახლა მარტო შენი ქუჩა კი არა, მთელი უბანი უნდა მოვიარო, თან მარტო ქართველი ავტორები უნდა წავიღოთ, სხვა მანდ არ გადის... ჰე, წადი ახლა და არ დაიგვიანო დილას!

გაფაციცებული ვაწყობდი კაჭკაში პარმენ ლორიას, ორდე დგებუაძეს, დავით კვიცარიძეს, ალექსანდრე იაშაღაშვილს, ვანო ურჯუმელაშვილს, იაკინთე ლისაშვილს, თენგიზ გოგოლაძეს და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ავტორს, რომელიც დღეს თითქმის არავის ახსოვს — ჩემს ბავშვობას კი ისინი განაგებდნენ...

გადავაფარეთ წიგნებს მუშამბა, გავდეთ ფიცარი და დავიძარით. აგი შენო, გაზეთში გახვეული კორჟიკი მომაწოდა, გუშინ ვიყიდე და შენ შეგინახეო. კორჟიკი ძალიან მიყვარდა.

ახლა ჩვენ პირდაპირ ლუბას სახლს მივადგეთო, ორი წიგნი მაქვს დატოვებული და აწი წაკითხული ექნება, გზაში მელაპარაკება ვალერიან ბაბუა, ძალიან უყვარს ამ ქალს წიგნებიო.

— არ ყიდულობს, ბაბუ, ისე უტოვებ?

— არა, ბაბუ, რავა მივყიდი?! ერთი ლუბაა, ვინც წიგნებს ნამდვილად კითხულობს, გამოვართმევ წაკითხულს და მივუტანთ ახალს. არ შვება, თორემ ისე დავუტოვებდი!

ლუბა შუახნის ქალი იყო. ჩვენს სამოხიოში ცხოვრობდა. ორმოცდაერთში გათხოვილა და ოთხ თვეში ქმარი ომში წაუყვანიათ. თექვსმეტი წელი ელოდა თურმე, მერე შინ მობრუნებულა... ერთ წელიწადში ისევ გაუთხოვებიათ ვიღაც მატარებლის გამცილებელზე. იმ კაცს საყვარელი ჰყოლია, ერთ თვეში მიუტოვებია ცოლი და რუსეთში გადახვეწილა. ისევ მობრუნებულა ლუბა შინ და საბოლოოდ დარჩენილა მშობლიურ კერაზე.

ეს ამბები ბებიასგან მქონდა გაგონილი.

— ბედდამწვარი შეიქნა ასეთი კარგი გოგო!..

ლუბას უიღბლობას მაინცდამაინც ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ რაკი ბებიას ეცოდებოდა, მეც თანავუგრძნობდი ამ მშვენიერ ქალს.

როცა ჩვენი ძროხები გაშრებოდნენ, ლუბასთან მაგზავნიდნენ ყველის საყიდლად, სხვის ამოყვანილს ბაბუა არ ჭამდა, ლუბა სუფთა ქალიაო, ასე ამბობდა.

მივადგებოდი ჭიშკარს, მაგრამ ეზოში ვერ შევდიოდი. ერთი ფინია ჰყავდა და მეშინოდა.

გამომიტანდა ყავისფერ ქაღალდში გამოხვეულ ერთ წველა ყველს, თან „კუხნის“ წინ დაკონწიალებულ დოლბანდის ტომსიკას გამოაყოლებდა.

— აგი ნადუღია, ბაბუას მიუტანე. ხვალ სკოლაში რომ წახვალ, ტომსიკა ჭიშკარზე დაკიდე, კარგი?

მივაყენეთ ცხენი ლუბას ჭიშკარს. ყმაწვილივით ჩამოხტა ცალ ფეხზე ვალერიან ბაბუა და აღვირი ჭიშკრის ქიმზე ჩამოაცვა. ჩამოიღო ქაღალდის შპაგატით შეკრული წიგნები, გააღო ჭიშკარი და შევიდა.

შევყევი მეც.

გამოგვეგება ლუბა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ვალერიან, ეს რა საყვარელი სტუმარი მომიყვანე! — თავზე ხელი გადამისვა...

ჩანდა, გველოდა ლუბა.

ღომი ჩაზელილი იყო. ალუმინის გობზე მრგვლად მოხარშული ქათამი ყვითლად ანათებდა, მსხვილი, ხოშხოშა მარილი ჰქონდა წაყრილი...

დაბრძანდითო, ლუბამ, ღომს ახლავე გადავზელ მეორედ და ამოვარიგებო...

კაი სქელი სულგუნის ნაჭრები თავისი ხელით ჩაგვირჭო ღომში... პიტნაში გადაკმაზული ნადუღი და ბაჟე შემოამატა მაგიდას. თვითონაც წინსაფარი მოიხსნა და მოგვიჯდა.

— ჰე, ვალერიან, რაღას უცდი, დახსენი მაგი დედალი და დაასხი ღვინო!

* * *

მეათე კლასში ვიყავი.

იმ წელს სკოლას ვამთავრებდი. უკვე ისე გავუშინაურდი ვალერიანს, თითქმის ყოველდღე გავუვლიდი სკოლიდან. ვალერიანი ნაშუადღევს შეაბამდა ცხენს და შემოურბენდა სოფლებს. ერთი-ორი წიგნის გაყიდვას თუ ახერხებდა და გვიან დაღლილი ბრუნდებოდა სახლში.

გული მაწუხებსო, ხელს იდებდა მკერდზე...

ჭიშკრამდე ვერ მივდივარ, ბაბუ, გზაში ორჯერ უნდა შევისვენოო...

ამ კვირასო, მითხრა, კარალიოკები ჩავყაროთ საარყედო, კასრები გამზადებული მაქვს, ამ კვირას თუ არ დავკრეფთ, პანტაპუნტით წყდება და იკარგებაო...

ადრე მივედი.

კარალიოკების ძირას გოდრები დაეწყო. გიდელზე თოკი გამოება და იქვე წამოეწვინა.

ავიტანე გიდელი და ავედი ხეზე. ვიფიქრე, აგერ-აგერ გამოვა-მეთქი. დავტოვე გიდელი ხეზე და შევედი სახლში.

წამოწოლილი იყო. მცივაო, მითხრა, გულზე მიჭერსო.

ახლავე დავუძახებ ბარნაბა ექიმს-მეთქი.

არაო, ბარნაბას კი არა, ლუბასთან გაიქეცი და მოიყვანეო, ჭაკი უკან აბია, მოახტი და წადიო...

კარგი, გავვარდები, აბა-მეთქი და მოიცაო, მითხრა, წიგნებში, ზედა თაროზე დიდი „ვეფხისტყაოსანი“ რომ დევს, ზიჩის ნახატებიანი, ათასი მანეთია შიგ, ჩემი დასამარხი ფული, თუ ვერ მომისწარით, ლუბას მიეციო... კიდევ, ზედ ერთი რვეული ადევს და ისიც ლუბასიაო...

კარგი, ბაბუ, კარგი, უკვე ეზოდან მივაძახე, ცხენს მოვახტი და გავქრი...

* * *

მე და ჩემმა კლასელებმა გამოვასვენეთ ვალერიანი...

ჭირისუფლად ლუბა და მე ვიდექით.

ლუბა სახელდახელოდ გაკეთებულ ფანჩატურში კუბოსთან იდგა, მე ფანჩატურის წინ ვიდექი დამწუხრებული.

მაშინ არ მიფიქრია, რატომ ჭირისუფლობდა ვალერიანს ლუბა, ან მე რატომ მისამძიმრებდნენ მეზობლები!

* * *

დიდი დრო გავიდა ამ ამბებიდან.

ის ზიჩის სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ და ვალერიანის სასოებით

შენახული რვეული სიკვდილამდე ერთი თვით ადრე მე მომიტანა ლუბამ. ეს წიგნი შენ გქონდეს, ეს რვეულიც, მწერალი კაცი ხარ, ეგებ გამოგადგესო.

იმ დღეს წყალტუბო-მოსკოვის მატარებლით მოსკოვს მივემგზავრებოდი, სადაც 2 წელი ასპირანტურაში უნდა მესწავლა. წიგნი თაროზე შემოვდე, რვეული კი უჯრაში შევინახე — ლექსები მეგონა. ვიფიქრე, ჩამოვალ და წავიკითხავ-მეთქი. მერე მივიწყდა და 20 წლის შემდეგ, სოფელში უჯრების გადაქექვისას, მოულოდნელად წავაწყდი.

ვალერიანის დღიური აღმოჩნდა.

ჩანაწერები არ იყო თანმიმდევრული. არ ჰქონდა რამე გამჭოლი ხაზი და სიუჟეტი, მაგრამ მთლიანად ასახავდა ვალერიანის ცხოვრებას.

ამ დღიურმა მოგონებები ამიშალა და ვალერიანის გაცოცხლება ვცადე. რამდენიმე ეპიზოდს დღიურიდან თქვენც წაგაკითხებთ:

1960. 19 იანვარი

დღეს, როგორც იქნა, მოვაღწიე სახლამდე.

გავერანებულა სახლ-კარი!

ბუხარში ცეცხლი დავანთე და მტკივანი ფეხი მივუშვირე.

არ მგონია, ეს ფეხი შემრჩეს. ჯერჯერობით კი ვეყრდნობი...

არც მიფიქრია, რომ აქ დამხვდებოდი...

ოცი წელია გასული. შვილი რომ გვყოლოდა, ეგებ არ წასულიყავი!

1960. 13 თებერვალი

ღამეები არ მძინავს. ჩამეძინება და ციმბირის ტყეებში ვგდივარ, ვათუხთუხებ „დრუჟბას“ და სული კბილით მიჭირავს.

გამეღვიძება და შენზე ვფიქრობ, ხმა ვერსაიდან მოგაწვდინე...

იქ არც რადიო იყო, არც ფოსტა, არც წერის უფლება...საიქიოში ვიყავი.

აქაც გიჟივითა ვარ, აქაც წყვდიადია... არ ვიცი, რა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას, რისთვის მოვდიოდი... ნეტა მოვმკვდარიყავი!

1960. 9 მაისი

ჩემთვის გამარჯვების დღე არ არსებობს.

აქაც მითვალთვალებენ და ყოველ კვირას კომისარიატში უნდა გამოვცხადდე. 2 წელი ასე უნდა ვიწვალო.

ეზო მოვაწესრიგე. ვენახი მინდა ჩავყარო.

ფეხი ძალიან მაწუხებს.

მინდა მოგძებნო, მაგრამ მეშინია.

სად ხარ, როგორ ხარ? ხარ კი, საერთოდ?

1960. 10 დეკემბერი

დღეს გავიგე, რომ გათხოვილხარ და ქმარი არ გამოგდგომია.

თურმე შინ დაბრუნდი და იქ ცხოვრობ, საიდანაც ოცი წლის წინათ ოცი წლის გოგო წამოგიყვანე...

საშინელი ყინვებია, ისევ ციმბირში მგონია თავი!

ცოლიკაური გახმა, არ იხარა... ვერ მოვუარე ალბათ. არც მინდა გაიხაროს, მე აქ ვერ გავჩერდები, როგორმე მანდ, შენთან ახლოს უნდა დავსახლდე, სხვანაირად მოვკვდები, ან თავს მოვიკლავ!

1962. 20 ნოემბერი

როგორც იქნა, შენს სოფლამდე მოვაღწიე.

ფეხი დავკარგე.

მეშინია შენთან შეხვედრის, ეგებ ის არ დამხვდე, ვინც მახსოვს!

დრო ყველაფერს ცვლის და აუბრალოებს.

ვიყიდე პატარა სახლი და დღეს პირველად გავათიე ღამე.

რა ვაკეთო, არ ვიცი. რისი მაქნისია უფეხო კაცი.

ტაიგაში ერთი მოლდოველი დამხმარე მყავდა, თურმე წიგნებს დაატარებდა კარდაკარ...

ცხენსა და საზიდარს ვიყიდი და მეც ბუკინისტობას დავიწყებ, ცოტა ფულიც მაქვს და ეგებ რამე გამოვიდეს...

თუმცა რა ვიცი, ვის გაახარებენ ესენი!

* * *

თვალცრემლიანი ვკითხულობდი დღიურებს.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ლუბა ვალერიანის ნაცოლარი და პირველი და ერთადერთი სიყვარული იყო.

სოფელში ეს არასოდეს თქმულა.

მეც ბავშვი ვიყავი და მათ ურთიერთობებს არ ვუკვირდებოდი, თორემ იქნებ რამეს მივხვედრილიყავი კიდეც.

დღიურში ჩემზეც ეწერა, თან ისე თბილად, გვარიანად ვიტირე!

მოვრჩი მოგონების წერას, ერთი ბოთლი ღვინო და სანთელი წავიღე და ვალერიანის საფლავზე წავედი.

სიხარულისაგან გული კინაღამ გამისკდა — ვალერიანის გვერდით ლუბა იყო დასაფლავებული!

სოფო წულაია

დაბადება

„მე იმაზე მეტად როდი ვარ დედაშენი,
ვიდრე ღრუბელი“...
სილვია პლათი

გამხმარი ხის ძვლებივით აშრიალდა
ქარის შეხება ქალის სხეულზე
და სახლმა, სადაც აკვანს მუდამ სიკვდილის
სუროსფოთლებშემოკრული ხელი არწევდა,
ჩვილის ტირილი გამოისხა მზისფერ მტევნებად.
— ბავშვი საიდან? — კითხულობდა უცნობი მგზავრი,
— ამ ქუჩაზე ხომ კაცს არასდროს არ ჩაუვლია?!.
ამ გზაზე მუდამ აფხიზლებენ დაგეშილ მწევრებს
და თუკი ვინმეს ასახვევთან თვალს შეავლებენ,
მივარდებიან და მჭლე ფერდებით
მტვერსასრუტივით შეისრუტავენ
იმედების და სურვილების კამკამა ბელტებს.
და რა იცოდა უცნობმა მგზავრმა,
რომ ბავშვს, რომელიც ქალს აქამდეც უნდა ჰყოლოდა,
მის გარდა ყველა ქალი აჩენდა,
მაგრამ მაინც ვეღარაფრით ვერ დაიბადა.
მერე ღრუბლებმა გადაწყვიტეს მისი დედობა —
განიერი თეძოები კიდევ უფრო გადაითქვირეს,
ფიქრებიდან და სიზმრებიდან გამოშიგნეს
ყველა სათუო წვიმა და თოვლი,
ყველა გზა და მთა, რომელიც უნდა გადაეტბორათ
და ტკივილების გასაყუჩებლად
ათასობით ცის მტვერი ყლაპეს,
ძლივს გაჩენილი პატარა ბავშვი კი იმ ქალს მისცეს,
მარტო რაფასთან იებივით ჩუმად ჯდომა
და მოლოდინი რომ იცოდა
და დედობისთვის ერთხელაც კი არ უბრძოლია...
ქალს კი, როგორც კი ჩვილს შეხედა,
სიხარულისგან ფრთები დასცვივდა —
ვეღარასოდეს ვერ შეძლებდა სადმე გაფრენას,
ვეღარც იმ კაცთან, სულ რომ ელოდა,
მაშინაც კი, როცა იცოდა, რომ დაივიწყა
და არასოდეს დაბრუნდებოდა.
და იმ წამიდან ყველა ტკივილი
მხოლოდ სიმშვიდის ხმას ასხივებდა
და ყველა იმედს მარტო იმედის სურნელი ჰქონდა —
ეჭვებისა და შიშის ბასრი გემოს გარეშე.
და ყველა გზაზე ბავშვთან ერთად რომ გადაკენკა,
ქაცვის ადგილას ცრემლიანი ია აყვავდა
და ჯოჯოხეთი სამოთხედ იქცა.

გაბრიელს

„მენატრება დედაჩემის პური“.
მაჰმუდ დერვიში

ჩემი ეზოს უნაყოფო ხეებმა —
ცხოვრებაში ტანზე ფოთოლიც რომ არ გამოსვლიათ —
პეპლები გამოისხეს,
ჩემი ოთახის უსახურ ჭაღზე ფერადი ჟღარუნები
თვალებს რიტმულად ახამხამებენ,
ყველა მუქ კაბას ტანზე
ჭრელმა ყვავილებმა გამოაყარა,
ამომშრალი და ძირგათეთრებული
აკვარიუმები ოქროს თევზებით გადაგვევსო;
როცა გამხმარ ხესავით უშნოდ გაფშეკილ,
როცა სიცოცხლეგამოცლილ სხეულზე
შენი პატარა ხელისგულები მეხება,
მგონია, გამხმარ ფიქრებში რძე მიდგება,
მერე სათამაშო ჰარმონიკასავით
ნელ-ნელა იშლება ჩემი სული
და სანამ ისევ შეიკუმშება,
ვცდილობ, რაც შეიძლება ღრმად შეგისუნთქო,
როგორმე მომდევნო ჩასუნთქვამდე რომ გიმყოფინო...
სადაც არ უნდა ვიყო,
რომელი ქვეყნის ცაც არ უნდა მეხუროს თავზე
რკინის მუზარადივით
და რომელი ქალაქიც
არ უნდა მაწვეთებდეს ყურებში უსახურ ხმაურს,
შენი სურნელი ყველგან მესმის,
შენს გულისცემას ყველგან ვაყურადებ,
ვითვლი და ვდარაჯობ...
შენს გაღიმებას ყველგან ვუღიმი...
რაც შენ მყავხარ,
მეჩვენება, რომ ჯერ პატარა, უფანჯრო ოთახში
რამდენიმე საათით ვიყავი ჩაკეტილი,
მერე კი ვიღაც ძალიან ახლობელმა შემთხვევით მიპოვა
და ჰაერზე გამომიყვანა...
შენთან პირველი შეხების წამიდან ისე ვანათებ, თითქოს:
სისხლის და ძვლების,
მარტოობის და მძიმე სამსახურის,
წასრული ტკივილებისა და სიკვდილების ნაცვლად
დინოფლაგელატებისგან შევდგები.
ვერ ხვდები, ეს რას ნიშნავს, არა?
როცა გაიზრდები, აუცილებლად აგიხსნი, შვილო!
მანამდე კი:
ჩვენ სულ გვექნება ერთი ნაჭერი პური,
პური, რომელსაც არასდროს გავყოფთ შუაზე.
რატომ? იმიტომ, რომ ის მთლიანად შენი იქნება.
მე რას შევჭამ?
მე ძირს დაყრილი რამდენიმე ნამცეცითაც შევძლებ
ყრუ შიმშილის გამოკვებას;
იქნებ, ჩვენს პურზე კარაქი და ხიზილალა
ვერ გადაგისვა,
მაგრამ სახლში ერთი ნაჭერი პური სულ გვექნება.
ჩავიცვამ ჩემს ერთადერთ დაბებკილ კაბას,
თავზე გვერდებშემორღვეულ თავშალს წავიკრავ
და პურის ყანების დასალეწად წავალ,
ხორბლის დასაფქვავად წავალ
და წისქვილებს ჩემი წვრილი მაჯებით დავატრიალებ,
მერე ცომის მოსაზელად წავალ,
და პურსაც მე გამოვაცხობ...
გპირდები, ჩვენ სულ გვექნება ერთი ნაჭერი პური
და შენ ვერასდროს იგრძნობ
მასში ჩაღვრილი ჩემი სისხლის და ცრემლის გემოს,
ჩემი ტკივილების გემოს,
უბრალოდ გეგონება, რომ
შენი დედიკოს გამომცხვარ პურს
სულ სხვა გემო აქვს და
ამქვეყნად ყველა პურზე გემრიელია.

გაუგზავნელი წერილები

გიოს

N6
ვამბობ:
— არასდროს მიყვარდი სხვების დასანახად...
უშენო დღეები კი აჯანყდნენ და
ჩემს გადასათელად დაიძრნენ.
ისე მოძრაობდნენ, თითქოს, ვინმემ დაარაპიდა —
ნელა და ტლანქად,
რობოკოპებივით.
ამ დროს კი ჩვენს შორის გაწოლილ ორ ოკეანეს
თევზები ღრღნიდნენ
თავიანთი მდუმარე ლაყუჩებით
და რიფებთან ერთად სიყრუე იწვა ჩემიდან შენკენ,
შენიდან ჩემკენ დაძრულ ყინულმჭრელ გემებს კი
ცვილის საჭრეთლები ჩამოეღვენთათ და
აისბერგებს მიეყინნენ,
მაგრამ მე მაინც გელოდებოდი,
იმიტომ, რომ არასდროს მყვარებიხარ
სხვების დასანახად,
მერე რა, თუ სხვის თვალში ასე ჩანდა.
მერე რა, სხვებს ასე თუ ეგონათ.

N7
ძილის წინ თვალებში ზღვას ვიწვეთებ
და გაფართოვებული გუგებით მარტო იმას ვხედავ,
რისი დანახვაც შემიძლია
და არა იმას, რასაც მინდა, რომ ვხედავდე.
დიდია ჩემი ტკივილი,
იმდენად დიდი, რომ შუქს ისხლიტავს
და მდუმარე წყვდიადში მარტო შენ გხედავ.
— შუქი არ ჩააქრო, ხელი არ გამიშვა! —
გეუბნები
და შენი შეხებებისგან გაცრეცილ სხეულს
სიზმრებში ვაწობ,
მერე აივანზე გაბმულ თოკზე ჩიტივით დავსვამ
და ვცდილობ, დარდისგან ბოლომდე გამოვაშრო.
ჩემზე დიდია ჩემი დარდი,
იმდენად დიდი, რომ კანი ვერ აკავებს
და სხეულის სხვადასხვა ადგილიდან
ზეთივით წვეთავს და იატაკს სვრის.
მინდა, ვერასდროს დავინახო ის,
ვინც შენთან მაშორებს,
მინდა, სარკეში რომ ჩავიხედავ,
ჩემს თვალებს ეჭვის მარცვლები არასდროს დასცდეთ,
მაშინ კი, როცა ცუდად ვიქნები,
მინდა, მოხვიდე და მუხლები დამიკოცნო,
თითებმა ფრთხილად გადაისრიალონ იმ იარებზე,
ჩემმა მკვდარმა ბავშვობამ რომ დამიტოვა...
მინდა, ქვიშიანი ზედაპირი
ხელის გულებით მომისწორო,
იარებქვეშ ჭაობად ჩაგუბებული დარდი და შიში
სიყვარულად გადაადნოს შენი ხელების სიმხურვალემ...
სული შეუბერო ჩემს ტკივილს —
ჩაქრეს.
არ დაუშვა:
მტვრად,
ფერფლად,
მდოგვის მარცვლად,
უნაყოფო ხედ,
დაუმუშავებელ მიწად,
გამოკეტილ ნესტიან ოთახად,
მკვდრებისგან დაცლილ სასაფლაოდ,
მკლავებამოკერილ კაბად,
მტრედებისგან გულგამოკორტნილ პურად
და სხვების გზებად ვიქცე...
იქნებ,
როგორღაც გადაფაროს ეს ტკივილი შენმა შეხებამ,
იქნებ, დარდი ქვიშაზე დაბეჭდილ ნაფეხურებივით
უკვალოდ გაქრეს...
არ დატოვო ჩემი ტკივილი უყურადღებოდ,
არ დაგეზაროს ჩემთვის თოვლში იების ჩარგვა —
გაიხარებენ,
ჩემი მოსმენა არ დაგეზაროს,
არაფერს გეტყვი, უბრალოდ მინდა ვიგრძნო,
რომ მისმენ.

N8
არ მომიყვე შენი უჩემო ამბები,
მეც არაფერს გეტყვი;
უღელივით დავიდგამ უშენოდ გავლილ
ყველა გზას კისერზე
და იმდენ ხანს დავიგუბებ ყელში მდუმარებას,
სანამ არ გადამცდება და არ დამახრჩობს;
ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ
უერთმანეთო ამბები ერთმანეთზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა გვჯეროდეს,
რომ ერთმანეთის გარდა არასდროს არაფერი ყოფილა —
არც სიხარული, არც ტკივილი...
ამიტომ ფრჩხილებით ავყრი ყველა ამბავს —
თითქოს ვიღაცის ცუდად დაგებული ასფალტია
და გეტყვი:
— გელოდებოდი!
შენ კი მეტყვი:
— ვიცი, მოვედი!

სიყვარული

— გქონიათ სექსი სახურავზე, ღრუბლებთან ახლოს? —
მკითხა გოგონამ,
რომელსაც მონდომებით და თავგანწირვით ვუხსნიდი,
რომ შოპენი თან მსუბუქი, თან კი ძალიან ღრმაა,
ამიტომ მისი შესრულებისას კლავიშებს ფრთხილად,
მაგრამ მაინც მყარად და ძლიერად უნდა შეეხო.
ისე მინდოდა, შენთვისაც მომეყოლა ეს ამბავი,
მაგრამ სითამამე და გამბედაობა არ მეყო.
მართალია, ოცდაათს კარგა ხნის წინ გადავაბიჯე,
მაგრამ მსგავს თემებზე საუბრისას
ჯერ კიდევ ვწითლდები,
შენზეც ყოველთვის ისე ვწერ,
თითქოს, არასდროს შემხებიხარ,
თითქოს, არ არსებობ, არც არასდროს არსებობდი,
თითქოს, ძვლებიდან ამოზრდილ წვრილფეხა ხორკლებს
კინეტიკური ქვიშის როლი არასდროს შეუსრულებიათ;
შენთან ისევ ევროპის ისლამიზაციაზე
საუბარი მირჩევნია,
გადაჩადრებულ, გადაბურკებულ, გადანიქაბებულ
საფრანგეთს, გერმანიასა და ბელგიას
უფრო ადვილად და თამამად ვეხები,
ვიდრე შენ,
ან ჩვენს უკვე დიდი ხნის წინ
გადამწიფებულ სიყვარულს.
არც ის მახსოვს, როდის ვისწავლე თვალების დახუჭვა —
ისე დაძინება, რომ ჩემს გვერდით
შენი არსებობით გამოწვეული სიხარულისგან მოგვრილ
უძილობას თავი ძირში არ წაეკბიჩა.
მე ჩვენი უკვე გაზრდილი შვილების
ბუნდოვან მომავალზე
გაცილებით წელგამართული და
თავაწეული გესაუბრები,
ვიდრე შენზე და ჩემზე.
იმედენი ხანია, ერთნი ვართ, ამაზე საუბარი უკვე
ძალიან უადგილო და უხერხული მეჩვენება;
ამასწინათ კი პატარა გოგონამ
სრულიად მოულოდნელად სექსზე მკითხა:
— სახურავზე — მზესა და ღრუბლებთან ახლოს თუ
გქონიათო და ვერაფერი ვუპასუხე;
რაღა დროს ჩემი ასეთებია.
მე და შენ უკვე ისე გავზარდეთ და
დავამწიფეთ ერთმანეთი,
წლებია, შვილები აღარ გვქვია — მშობლები ვართ,
შვილებთან ინტიმურ თემებზე საუბარი კი
ყოველთვის რთული და უხერხულია.

სიკვდილი მიზეზი არ არის

მე დაბერებას ვეღარ მოვასწრებ — ჩუმად მოვკვდები
ძველ უბანში, ჩემს სახლთან ახლოს,
მეგობრები კი შეეცდებიან,
რკინის პატარა ჯვარი აღმართონ იმ ადგილას,
სადაც დავმთავრდი,
ანუ გავგრძელდი მეორე გზიდან
და იმ წამიდან ყველა ნაცნობს და
ყველა უცნობს ვაიძულებ
ძლივს ნასწავლი პირჯვრის წერის
რკინის ჯვართან მექანიკურ გამეორებას;
და მე ვიქნები ყველაზე მშვიდი, ანუ ისეთი,
როგორად ყოფნაც აქ ვერ შევძელი
და იმ დღიდან აღარავის არ დავისიზმრებ,
მეც აღარავის დავესიზმები,
რომ არ ეგონოთ, თითქოს,
მინდა მათი წაყვანა უხორცო სახლში.
და როცა ჩემს ჯვარს დაატყდება
ატმების და ჭერმების თოვლი,
ყველა იტყვის, ვინც კი მიცნობდა, ვისაც ვიცნობდი,
რომ ვაკლივარ მათ ცხოვრებას როგორც სურვილი —
ვერავისთვის ვერ გამხელილი, მაგრამ საჭირო;
ჩემს ლოგინთან ვერ იპოვიან გაბნეულ ფიქრებს,
უძილო სიზმრებს,
ძილში შეკრთომებს,
უსახლო ტკივილს
და მარტოობას
ჩემს ლოგინთან ვერ იპოვიან,
იქ დახვდებათ ძმები გრიმების ზღაპრების წიგნი
და იტყვიან, და თუ მაინც არ იტყვიან, გაეფიქრებათ,
რომ აღარ იყო ამის კითხვის დრო და
არც ადგილი ჩემს ცხოვრებაში.
მათ არ იციან — ან საიდან ეცოდინებათ,
პატარა გოგოს დედობისთვის რომ ვამზადებდი დიდი
ხნის წინათ გამოფიტულ, გამოხრულ სხეულს,
ზოგჯერ ასე რომ უნდებოდა სხვების სიკვდილი, ან
თავის მოკვლა — გადაფრენა ღია ფანჯრიდან.
ჩემს გაფუჭებულ ლეპტოპთან მივლენ,
ბევრს ეცდებიან ჩართვას, მერე რესტავრირებას,
მაგრამ ვერაფერს გახდებიან,
იქ კი უკვალოდ ჩაკვდებიან ჩემი ძველი ჩანაწერები —
დაწერიდან სულ ცოტა ხანში რომ გაცხადდნენ
და ძმრად მადინეს ყველა ამბავი, რაც მოვიგონე
და როგორც კი გამოვიგონე, იმწამსვე ახდა.
ჩემი ქმარი კი, იმის ნაცვლად, მე გამიხსენოს,
გაიხსენებს კაფკას პრაღაში
ჩვენს უკანასკნელ მოგზაურობას —
ქალაქში, სადაც თითქმის არ ვჩანდი,
იმიტომ, რომ ვერ ვისწავლე მთავარი როლის ტანზე
მორგება და შესრულება...
მეორეულ მოგონებებს ამოქექავენ ძველი სკივრიდან
ჩემი მშობლებიც, მეგობრებიც, და-ძმაც
და შვილიც...
დავაკლდები, მაგრამ ადვილად გადაიტანენ
მათ უჩემობას, ჩემს უმათობას...
სულ ცოტა ხანს იხმაურებს საძინებელში ჩემი სუნამო —
კენზო „ჯუნგლე“ —
დაბნეული შეასკდება კედლიდან კედელს,
მერე ისიც დადუმდება იმ კუბოსავით,
ნელ-ნელა რომ ჩამკეცეს და
ჩემოდანივით დამახურეს სახურავი
დაკეცილ თმებზე.
როცა მოვკვდები, ჩემებს მარტო ის ემახსოვრებათ,
რომ ჩამქრალ სულში ზღვების სურნელს და
მიწის სურვილს ვინახავდი,
მაგრამ ვერავინ ვერ გამოიცნობს, როგორ მინდოდა,
ყოველთვის ყველას, ვინც კი მიყვარდა, ვისაც ველოდი,
ჯერ ჩემს თვალებში ჩაეხედა და მერე ეთქვა,
რომ სიკვდილი არაფერია —
რომ სიკვდილი სიყვარულში ვერაფერს შეცვლის!

პოლიეთილენის ჯვრისწერა

როცა პირველად დაგინახე,
ქვის სავარცხელი მთელი ძალით ჩამოვისვი.
უსწორმასწოროდ,
მაგრამ მაინც დაცალკევდა ერთმანეთისგან
ორი მდინარე;
ოქროს თევზები ჩამომცვივდა
და წყლით სავსე გახეთქილი ბუშტებივით
დაეწება ხორკლიანი კიბის საფეხურებს;
ერთ-ერთზე ფეხი აგისრიალდა,
შემომხედე
და იმ წამიდან
მკერდთან დასმული წითელი დაღი
ნიკაპთან ამოსულ ბავშვობის იარის
ცვილისფერი ნაფეხურისკენ
მიიზლაზნება —
თან ერთი სული აქვს,
სამუდამოდ შეეწებოს,
თან ფიქრობს, შეძლებს თუ ვერა,
გამოუვა თუ ვერა მასთან თანაცხოვრება.
სულ მენატრები
და ყოველ ჯერზე თითო ნეკნს ვიცლი,
მზეზე ვაშრობ,
მერე ფილთაქვაში ვნაყავ,
ბოლოს ყავის საფქვავში ვფქვავ,
ნაყენს ვიმზადებ და სულმოუთქმელად ვსვამ —
იქნებ, ერთხელაც, მოგაფიქრდეს
და სამუდამოდ ამოშრე ჩემგან, ან სამუდამოდ დარჩე...
ძალიან გამიჭირდა...
გულსაც უჭირს ჩირქისა და ჭაობის
გემოს ხანგრძლივად სუნთქვა.
აქვე ხარ — პარაფინის შადრევნის მეორე მხარეს,
საწოლის კიდესთან და მეშინია —
ისე თუ მოხდა,
კიდევ ერთხელ ვერ შეგიგრძენი,
ჩემს სხეულზე ფეხი აგიცდება
და ჭერს შეასკდები.
ჩემი ჩალისფერი თმები ჯერ კიდევ
სხვადასხვა ფერის ორი მდინარეა,
მე კი ჯერ კიდევ მათ შესართავთან ვდგავარ
და გელოდები...
ვიცი, რომ მოხვალ...
ან აღარ მოხვალ...
მერე რა მოხდა...
რა მნიშვნელობა აქვს, მოხვალ თუ არა ...
მთავარია, რომ არსებობ...
მეც ვარსებობ...
და იქნებ, ოდესღაც სისხლიდან თითო-თითოდ
ამოვკენკოთ პოლიეთილენის ნარჩენები,
ტკივილისა და ეჭვის ნარჩენები...
მერე გადავადნოთ და გიგანტური
ჯვრისწერის სანთლები დავამზადებინოთ;
დარჩენილი მასისგან ბეჭდები გამოვძერწოთ...
თუ რამე გადარჩა, სხვებსაც ვუწილადოთ...
ჩვენი სიყვარულიც ვუწილადოთ,
იქნებ, როგორ სჭირდებათ.
იქნებ, შევძლოთ ერთმანეთის გადარჩენა,
იქნებ, ღმერთმა კიდევ ერთხელ გადმოგვხედოს,
იქნებ, კიდევ ერთხელ გავმთლიანდეთ...

* * *

ერთმა ნაცნობმა მითხრა:
„ჩემი ნებით და სურვილით
ნამდვილად ვერ გიცნობდი,
თვითონ რომ არ გეთქვა,
ვინ იყავი“ —
მართლაც, როგორ მიცნობდა,
მის წინაშე ადრინდელი
ყოჩაღი კომკავშირელი
გოგონა კი არ იდგა,
არამედ მონაზვნურად
თავსაფრიანი დედაკაცი.

* * *

სალექსიკონო ერთეული:
სინდისიც კარგი საქონელია —
საქონელი და პირ-უტყვი რომაა,
იმიტომ ვერ გუობს ვერავინ.

* * *

რით არ მოგბეზრდათ
„მე ვარ და ჩემი ნაბადი“?!
რა იქნება, დაშოშმინდეთ
და მშვიდად, ბეჯითად
აშენოთ ქვეყანა.

* * *

სუსტი ლექსი:
კატასტროფა —
სტროფი, სადაც
კატამ გადაურბინა
ავტორს
და აუმღვრია რიტმი.

* * *

ვისაც ვეძებდი,
აღმოჩნდა ღმერთი,
მე კი მეგონა,
ადამიანი ამომივსებდა
სიცარიელეს.

* * *

სალექსიკონო:
სამართალი —
იობივით მართალი კაცი,
რომელსაც რკინის ქალამანი
არ სჭირდება.

დებიუტი

ასე დაიწყო ომი

ბიბი ბრეგვაძე

სამი დღის ჩასული ვიყავი სოხუმში. ქალაქი სავსე იყო გვარდიელებით და ათასი ჯურის ხალხით. წვერი ორი კვირის გაუპარსავი მქონდა, გვარდიელები კიდევ კიტოვანის ზღვაზე გასვლიდან „ფორმაში“ იყვნენ. ქალაქში, ასე თუ ისე, იშოვებოდა ყველაფერი და დიდად სროლებიც არ იყო. დილით ავტობუსებში ავეყარეთ უძილოები და გულრიფშისკენ გაგვიშვეს. გადანაწილებაო, ვითომ. ჯანდაბას მაგათი თავი! ასეთი არეული „კანტორა“ არსად მინახავს, ერთ დღეში გაგენერლებული „სასტავი“ კამანდრობდა. ჩასულებს თავი „დასტოინად“ გვეჭირა, მაგრამ ღამე კანტიკუნტად ატეხილ სროლებს მაინც ნევროზულად ვითვლიდით გულში. ავტობუსი გაბუღული იყო, ჩახუთული და საშინლად აყროლებული. გულში გავიფიქრე: ალბათ, მეც ესე ვყარვარ-მეთქი. თემიკოს გავხედე, თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული და სათვალე ცხვირზე ჩამოკიდებული, წარბები შეკრული. ჯაყჯაყი არ მოწონდა. ხელი მივარტყი, გამომხედა:

— ვიბანაოთ, ხო, რომ ჩავალთ?

— კი, გოგოებიც ავყაროთ, — შემომცინა, — რა ბანაობა აგიტყდა?!

აღარ ვუპასუხე, ჩავფიქრდი. მთელი ცხოვრება აქ დავდიოდით დასასვენებლად, ახლა ავტომატი მეჭირა და რასაც მთელი ცხოვრება ვუყურებდი, ვეფერებოდი და გულს მიჩქარებდა, ის უნდა დამეცხრილა დიდი მონდომებით, ჟანგბადით გატენილი ჰაერი კიდევ დენთის და სისხლის სუნით გაგვეჯერებინა, შეგნებულად თუ შეუგნებლად. გულზე ეს სიმძიმე ვერ მოვიხსენი, თან რაღაც „ჟილკაც“ გამჩენოდა და ერთი სული მქონდა, როდის ატყდებოდა დიდი ამბავი. მოკლედ, გაორებული ვიყავი.

ბანაკთან მალე მივედით, ჰაერში ცეცხლის და საჭმლის სუნი იდგა. ფორმიანებთან ერთად რამდენიმე თოფიანი ადგილობრივი იდგა, რეზინის ბოტებით. ხის ქვეშ გაბურძგნული ტიპი იწვა, ფეხზე გაეხადა და ავტომატი ხეზე მიეყუდებინა. რომ დავაკვირდი, ავტომატი უფრო ცუდად გამოიყურებოდა, ვიდრე თვითონ. ცოტა ხანში ქალები და მოხუცები მოვიდნენ, ყველას შეშინებული თვალები ჰქონდა, თითქოს ჩვენგან ელოდნენ შველას. ზვიადის მერე ეს „დედების დადგომა“ და ჭკუის დარიგება აგრესიას იწვევდა, ამიტომ მალე დავიფანტეთ. ცოტა ხანში ტანკი ამოგრუხუნდა, ისეთ შავ ბოლს უშვებდა, ვისაც ჩაუარა, ყველა გაჭვარტლა. ორ წუთში ნივა ამოგრიალდა და „რესკად“ დაამუხრუჭა, გეგონება ბარნოვზე იყვნენ. გადმოლაგდნენ დაწკეპილები, მძიმე ნაბიჯებით, ორასი რაციით და ტაოტიანი „სტეჩკინებით“. თემიკოს გავხედე, იმ გაბურძგნული ტიპის ჩანთაზე ედო თავი და „აკიმარებდა“. გულში გავიფიქრე: ამის ნერვები მომცა-მეთქი. უცებ პატარა ბიჭს მოვკარი თვალი, 9-10 წლის იქნებოდა. შორტები და დახეული კეტები ეცვა, პარკი ეჭირა და ნასუფრალს ქექავდა. ეგრევე მივაჭერი:

— რა იყო, გშია?

შეშინებულმა ამომხედა, ალბათ ავტომატმა და ჩემმა რეაქციამ დააბნია, პარკი გაშალა და ძვლები დამანახა.

— ლეკვისთვის მინდა.

— ვაა! — გამიკვირდა, — რამხელაა?

— თვენახევრის, განახო? — გაუხარდა.

— მიდი, აბა! რა ჰქვია?

— რემბო.

გულიანად გამეცინა. აი, რას ნიშნავს კონფლიქტის ზონა, ლეკვიც კი რემბოა. ბიჭუნა გავარდა, ცოტა ხანში აქოშინებული და აწითლებული მოვიდა გულზე მიხუტებული ლეკვით. ამაყად მიყურებდა და უნდოდა, მეც მოვფერებოდი. გამოვართვი და მუცელზე დავიწვინე. რემბო მყნოსავდა; მერე ნიკაპზე ენა ამისვა და პატრონს გახედა. რა გქვია-მეთქი, ვკითხე ბიჭუნას. ვალერიო. ანუ, ვაკო-მეთქი, გადავუკეთე თბილისურად. არა, ვალერიო. „ბაკლაშკა“ ამოვიღე და წყალი დავლიე, მესიამოვნა. პატარა ვალერას გავხედე, იმან გვერდზე გაიხედა. მივხვდი, მაგრად წყუროდა. აჰა-მეთქი. არა, იყოსო — მორცხვად მითხრა. აიღე, რა გერიდება-მეთქი და რომ გამომართვა, ლამის ბოლომდე ჩაცალა. რემბოს არ უნდა-მეთქი, ვკითხე. კი, წავიყვან ცოტა ხანში და დავალევინებო. ჩანთიდან შლემი ამოვაძვრინე, ცოტა წყალი ჩავასხი და მივაწოდე ვალერას. ფეხებს შორის ჩაიდგა და ლეკვს თავი ჩააყოფინა, ისიც ჩაემხო თავფეხიანად და აათხლუპუნა პირი. ყურებამდე გაღიმებული ვუყურებდი, ნიავი უბერავდა და ბალახის სუნი მოჰქონდა. მივხვდი, ამდენხნიანი დაძაბულობის შემდეგ პირველად მომეშვა.

ვინ რას შეგარგებს, ცოტა ხანში რამდენიმე გასროლა მოისმა და გრძელი ჯერიც მიჰყვა ერთდროულად რამდენიმე ავტომატიდან. მისვენებული ბანაკი შეფუცხუნდა, ყველა წამოიშალა, ვერ გავიგეთ, რა ხდებოდა. დაახლოებით ოც წუთში ზურგზე მოკიდებული ორი დაჭრილი მოიყვანეს, უფორმოები იყვნენ. ერთს მარცხენა მხარში ჰქონდა მორტყმული, ძვალი ჩამსხვრეოდა და შოკისგან კანკალებდა; მეორე შედარებით მსუბუქად იყო და მეგრულ-ქართულად იგინებოდა. ხალხი დაეხვია, ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა ამბავს. სოფლის განაპირას სახლი რომ იდგა, არ არიან მაგენი კარგებიო, იძახდა. სახლის გადასაწვავად წასულან მთვრალები და იმას ავტომატი ჰქონია. ეზოს მიუახლოვდნენ თუ არა, მიუშვია ამათთვის, ორიც ეგრევე დაუჭრია. გაიქცა, გაიქცაო, ყვიროდა და თვალებს ატრიალებდა. თემიკომ ხელკავი გამიყარა და გამიყვანა. მოგიტყუანთ წეს-ჩვეულებებიო — სოფლელების გასაგონად თქვა. უცებ ვალერა დავინახე, შორს იდგა, ზურგით, ეგრევე მივირბინე. ლეკვი მიხუტებული ჰყავდა გულზე და გადიდებული თვალებით სივრცეში იყურებოდა. ინტუიციით გავიხედე და სოფლის ბოლოს, ქედზე, სახლი დავინახე, ბოლი ასდიოდა. გული შემეკუმშა, ფეხები მომეკვეთა, თემიკო ჩაიკუზა და ჩაჯდა, უცებ მივხვდით, რაც მოხდა, მაგრამ ტრაგიკულობას ვერ ვიაზრებდით. ვალერამ მუდარის თვალებით გამომხედა და მკითხა: ჰო გაიქცაო? პირი გამშრალი მქონდა და თავი დავუქნიე. თვალებში ეწერა ბავშური გულუბრყვილობა, ვერ მიხვდა, ვის რა დაუშავა. ნელი ნაბიჯებით წავიდა, ჩემი შლემი თავზე ეხურა. თემიკომ ამომხედა. თვალებში ჩანდა, ომი რომ დაიწყო.

რომა

ერთი კვირით სოფელში წავედი, ჩემი ჭკუით ფსიქიკა უნდა დამეწყნარებინა. მეზობელი მყავდა, ბავშვობის მეგობარი თამაზი — რომ გაიზარდა, მამა დემეტრე გახდა. ცოტა ღიპი დადებოდა, რაც არ მინახავს, ლოყებიც აწითლებოდა, მაგრამ ისევ ისე ეჭუტებოდა ცალი ლოყა სიცილის დროს. სოფელში ცხოვრობდა, სოფლურად, დიდი გრუხუნა ჯიპი ჰყავდა და ქართული ნაგაზი. ცოლი ადრევე შეირთო. ბავშვობიდან უყვარდა ნათია, ლექსებსაც წერდა და მდინარეზე დასალევად ჩასულებს გვიკითხავდა, ოღონდ სახელს არ ახსენებდა, „მზის გულს“ ეძახდა. ჩასული არ ვიყავი, მამაოს უფროსი შვილი დამადგა, მამაო გიბარებსო. გულში გავიფიქრე, დაიბარე ბებიაშენი-მეთქი, მაგრამ ცოტას მივლაგდები და გადმოვალ-მეთქი, არ ვაწყენინე. ფეთიანი ქალივით ვალაგე სახლი, გეგონება, შვილს ვათხოვებდი. პირველ სართულზე ლოგინი გავიშალე და გაჭვარტლული ბუხრისთვის შეშა შემოვიტანე, ტრადიციასავით მქონდა, გავიდოდი ეზოს გარეთ და გზიდან ვუყურებდი ხოლმე, ბოლი როგორ ამოდიოდა. ეს ტრადიცია იმ დროიდან მაქვს, ტელეფონები ერთ წერტილში რომ იჭერდა და თითქმის რაიონში ჩასვლა რომ გჭირდებოდა დასარეკად. ვუყურებდი ჩემს მონჯღრეულ სახლს და უცებ ვერ მივხვდი, იქ საერთოდ რას ვაკეთებდი, რა მინდოდა. შორიდან ნიკოლოზი დავინახე, მამაოს შუათანა ბიჭი. ჯინაზე ნიკუშას ვეძახდი და ისიც ხაზგასმით ნიკოლოზზე რეაგირებდა მარტო. მორიდებულად მოვიდა, გელოდებაო მამაო. ჰო, აი წავიდეთ-მეთქი. გზაში რა უნდა მელაპარაკა, სკოლა, ნიშნები და შეყვარებული ვკითხე და ისეთი დაბღვერილი პასუხები მივიღე, რა შენი საქმეაო, დაახლოებითო. საღოლ მამაო, გულში გამეცინა, რა კარგი „პალაჟენია“ დაგიყენებია სახლში-მეთქი. ძალიან თუ დავთვრებოდი, ვიცოდი, წვერს დავაწინკნიდი და მეორე დღეს მთელი რიტუალები დამჭირდებოდა შემოსარიგებლად. მოკლედ, როგორც თორმეტი წლის ბავშვებს, ისევ ისე გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ იმასაც ჰქონდა თავისი უცნაურობები, ეგრე კი არაა! ერთხელ სიმთვრალეში ნახევარი ქორწილი ნახევარი რაიონის დეპუტატებით ანათემას გადასცა. მე მაგ რაღაცნაირი „ადამიანურობის“ გამო მიყვარს, სხვებს — მარტო ანაფორის და წვერის გამო. მამაო ჰამაკში დამხვდა გართხმული, პატარა მაგიდა ედგა ხილით, ქოსაც აშვებული ჰყავდა დასანახად და ვიღაცა გახუნებულსაროჩკიან, საბჭოთადროინდელ სათვალიან ბიძას მშვიდი სახით რაღაცას უხსნიდა. იმას სახეზე ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მამაომ სიტყვა არ ჩააკვეხებინა. მე რომ დამინახა, ბოლომდე გაიღიმა, ლოყაც ჩაეჩუტა, ხელით ანიშნა ბიძას, მაცადეო და ისიც გაიტრუნა, თან ყურადღებით დამაკვირდა. ხალხში შეხვედრა სულ მიტყდება: იმდენად მიყვარს, მხარზე ვერ ვკოცნი, გემრიელად მინდა მოვხვიო ხელი და მაგრად შევაჯანჯღარო. მაგრამ, ჰა! ჩავრთე მთელი ჩემი სერიოზულობა და გავაბით აქეთურ-იქეთური. ცოტა ხანში ნათია გამოვიდა, თეძოებში დამსხვილებულიყო, ხელები ისევ წვრილი ჰქონდა. გადამკოცნა, ცოლშვილი მომიკითხა. უცხო კაცთან გამიტყდა, თორემ კინაღამ ვთქვი, ცოლი სხვას გადავაბარე-მეთქი. სიგარეტის მოწევა მომინდა, მაგრამ მამაოს ჭკუის დარიგების თავი არ მქონდა და ჯიბეში სიგარეტის კოლოფი ნერვიულად მოვჭმუჭნე. ჩემი მრევლია ერთი ბიჭი, რომა, კარგი ბიჭია, მაგრამ ნატანჯიო. ეს ნატანჯი, ალბათ, ციხე-ციხე ბოდიალს ნიშნავდა. ძალიან მეზარებოდა მამაოც, რომაც, ნათიაც, ეს ემზარი თუ ვიღაცა „შაში კოლა“ ბიძა და მამაოს ალიბაბას ორმოცი ყაჩაღივით შვილებიც. ჩემთვის წყნარად წამოწოლა მინდოდა. ბინა გავყიდე თბილისში, ერთი შვილს ვუყიდე, ერთიც მე დამრჩა. თვრამეტის რომ გახდება, მივცემ, იქამდე გავაქირავებ. აბა, რა ვქნა, ცხოვრება გაძვირდა, ძმაო! ღვინომ ორ-სამ ჭიქაში კარგად წაიღო, ეს ბიძა პოლიტიკაზე ლაპარაკობდა. ნერვები წაგლეჯვაზე მქონდა. ცხოვრებას თითქმის ნოლიდან ვიწყებდი და ამას კიდევ მარტო ის ადარდებს, ზემოთ რას ფიქრობენ! უცებ ეზოს კარის ხმა მოისმა და მასპინძელლოო, დაიძახა ვიღაცამ. ვერანდაზე ვისხედით და წესიერად არ ჩანდა, ვინ მოვიდა. რომა მოვიდა, ალბათო, თქვეს და დაფაცურდნენ. კარი გაიღო და ბიზონივით ტიპი შემოვიდა, შავტუხა, წვრილი თვალებით. თითქოს, დააბნელა მთელი ოთახი. ვუყურებდი და ვერ ვიხსენებდი. ხელი ჩამოვართვი. კარგად დამაკვირდა და ჩაეღიმა. რაღაცის ნიშანი იყო. მარჯვენა ყურის ზედა ნაწილი აჭრილი ჰქონდა და სახეს უფრო საზარელს ხდიდა. დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. აბა, როგორ ხარო, ჰკითხა მამაომ. რომამ ჩუმად დაიწყო ლაპარაკი:

— 10 000 მაკლდება, სამინისტრომ უარი მითხრა, ბიუჯეტი აღარ გვაქვსო.

— გელასთან იყავი? — მძიმედ ამოიხვნეშა მამაომ. რომამ თავი დაუქნია და ჩაეღიმა.

— ანუ, ვერაფერი?

— არაფერი.

— ნუ გეშინია, გამოჩნდება რამე.

— ვიცი, არც მეშინია, — ღიმილი არ სცილდებოდა სახიდან.

მე და ემზარა ჩუმად ვიყავით, ცოტა ხანში მოყვა მამაომ, შვილი ჰყოლია ლეიკემიით ავად, 50 000 ევრო შეგროვდა, მაგრამ მაინც აკლდებაო. გამოვძვრებიო, მტკიცედ იძახდა მაინც. ვიცნობ მე ეგეთებს, ისიც ვიცოდი, ვინც იყო. გურიის მხედრიონიდან იყო, ნელ-ნელა გამახსენდა ყველაფერი. ბებიაჩემის და ასწავლიდა სკოლაში, ნახევარი სამეგრელო ჰყავდა აწიოკებული. ერთი სამჯერ „ომონმა“ მთელ გურიას დაარტყა რეიდი მარტო იმიტომ, რომ ეს დაეჭირათ. შვიდი წლის გოგო და თორმეტი წლის ბიჭი ჰყავდა. უცებ საშინლად შემეცოდა, აღარ იყო ისეთი საშიში, უფრო დაჭრილ დათვს ჰგავდა, ნელა რომ სუნთქავს. გული დამიმძიმდა და მალევე წამოვედი, ისინი ლაპარაკობდნენ, ვიცოდი მამაოსთან დასამშვიდებლად იყო მისული და ხელი აღარ შევუშალე.

ორ დღეში თბილისში წამოვედი, მომბეზრდა სოფელი. ცხოვრებაც იგივე რიტმში ჩაჯდა, დღეები დღეებს ჰგავდა. დრო, რომელსაც უნდა გავფრთხილებოდი, წყნარად გავფლანგე. მამაოს არ დაურეკავს, დიდად ესე არც ვკონტაქტობდით. შემოდგომაზე ისევ ვაპირებდი ჩასვლას და მის ნახვას მაინც ვერ ავცდებოდი. წელიწადში ერთხელ რამდენიმე დღე გვყოფნიდა მოსაფერებლად.

მარიამობაზე ძალიან ბევრი დავლიე, სახლში ძლივს მივბანდურდი და ტელევიზორი ჩავრთე. მეოთხე თუ მეხუთე „ნიუსი“ იყო, გურიაში საქართველოს ბანკის ყაჩაღობა გახსნესო. გამეღიმა გულში, მეზობლის ყანასავით გაჰქონდათ ბანკები. პოლიციის შენობის კიბეებზე სპორტულებში ჩაცმული კაცი აჰყავდათ, ხელები წინ ჰქონდა შეკრული, სახეს მალავდა, მაგრამ ათლილი ყური ეგრევე მომხვდა თვალში. გადავახვიე, ნაღდად ეგ იყო. სიგარეტს მოვუკიდე და მამაოსთან დავრეკე. გვიანი იყო, მაგრამ უეჭველი ვიცოდი, არ ეძინებოდა:

— დამლოცე, მამაო!

— ღმერთმა დაგლოცოს, აბა, როგორ ხარ, დაკარგულო?

— მამაო, ნუცას ამბავი მაინტერესებს, — ეგრევე ვაჯახე.

— აბა ნუცა, რომასი? — გაკვირვებული ხმა ჰქონდა.

— ჰოო, როგორაა?

— კარგად, გერმანიაშია, მკურნალობს, ყველაფერი მოგვარდა, ძალიან ცოტა დარჩა.

— ნაღდად ყველაფერი მოგვარდა?

— კი! — მტკიცედ მითხრა, — შენ რა იცი?

— არაფერი, ტელევიზორში ვნახე, ყურით ვიცანი. მაგას რა ეშველება?

— საშველი რა ჭირს? პატიოსნად აგებს პასუხს ყველაფერზე, — ამოიხვნეშა.

— ანუ, გადარჩა ყველა.

— ნუცა კი, რომასთვის ვლოცულობ.

რომა, რომა... ყოჩაღ, ძმაო!. ჩავფიქრდი: ოთხმოცდათექვსმეტი წელი იყო, გურიაში „ომონის“ რეიდები დაიწყო, იარაღის მასიური ამოღება ხდებოდა. ყველა აწიოკებული იყო. სკოლის წინ „ნივიდან“ გადმოაგდეს რომა და რომას ცოლი. ორივე ძირს დაყარეს და ცემა დაუწყეს, ხალხმა ყვირილი მორთო და სპეცრაზმელებმა ავტომატები გადატენეს. რომა გაშმაგდა, კონდახებს ურტყამდნენ და ვერ გააჩერეს. ხალხმა ცოლი გამოგლიჯა ხელიდან სპეცრაზმს და რომაც მოდუნდა. ერთ-ერთი ნიღბიანი ხელში „მაკაროვით“ გაკავებულ რომასთან მივიდა და საფეთქელთან იარაღის ტარი ჩაცხო, ყურის ნაწილი ჩამოეკიდა. გასავათებულმა ცოლმა თავიდან დაიწყო კივილი, ამაზე რომამ ამოხედა და სამშვიდობოს გასული ცოლი რომ დაინახა, მძიმედ ჩაიღიმა, სხეული მოადუნა. იმ დღეს რომა პირველად ჩაბარდა...

ბიჭები

ციხის კარი გაიღო. ჯაბას ამნისტია მონაგონი იყო, ისეთი ხალხი გამოვიდა გარეთ. მე და ლუკა მოთმინებით ველოდით ბესოს გამოსვლას. არც გვეგონა, ესე თუ გაგვიმართლებდა და ნიკუშას მკვლელს ორ წელიწადში გამოუშვებდნენ. იცოდა ნეტა, რა ელოდა? დაიჭირეს თუ არა, ბიჭები რიგ-რიგობით დავდიოდით ბესოს სასამართლოზე, ნიკუშას დედას დავყვებოდით, ხელი გვქონდა ჩაკიდებული და ბესოს თვალებში ვუყურებდით, ყოველ ღამე მესიზმრებოდა მისი დამცინავი მზერა, ფეხებსაც ვერ მომჭამთო — შუბლზე ეწერა. არცერთი ზედმეტი მოძრაობა არ გაგვიკეთებია, არც მიგვინიშნებია, რა ელოდა, პირში წყალი ჩავიგუბეთ და სისხლის დასალევად მოვემზადეთ — თითქოს მარხვას ვიცავდით და ლომისობით უნდა გაგვეხსნილებინა. ყველა არხი აჩვენებდა ფართოდ გაღებულ ციხის კარს და სპორტულებში გამოსულ ბედნიერ პატიმრებს და უფრო ბედნიერ ახლობლებს. საქართველო ზეიმობდა, ჩვენ კიდევ გაქვავებული გულებით ერთმანეთს თვალს ვარიდებდით — ვიცოდით, გადადებული გვქონდა ყველაფერი, ზუსტად ისე, როგორც ნიკუშა გადადებდა ჩვენს გამო თავს.

ხმები მოგვდიოდა ბესოზე, არც ვჩქარობდით. „ნაგლი“ იყო და მთავრობაც ხელს აფარებდა. ვერ ვიტყვი, ქალაქში თავისუფლად დადიოდა-მეთქი, მაგრამ ჩვენ დავიწყეთ უკვე მორიდება, ვცდილობდით, დროზე ადრე არ გადავყროდით. აგვისტოს ბოლოს ლუკა და გიგო ჩამოვიდნენ მესტიიდან, გიგოს მამის ავტომატი და გადადებული „მაკაროვები“ ჩამოიტანეს. ბესოს ეზოში ბინა ჩემმა ბიძაშვილმა გვაქირავებინა. სადარბაზოს ორივე მხრიდან ჰქონდა გასასვლელი. ბინაში ავზიდეთ ყველაფერი. ყველანი ერთ ქუჩაზე გავიზარდეთ და თავიდან ბოლომდე ვიცოდით, საიდან საით აჯობებდა გაქცევა. გასაქცევად რომ გაგვიხდებოდა საქმე, ვიცოდით და იმედი გვქონდა, გიგოს ნათესავები აფხაზეთიდან გაგვაპარებდნენ. მოკლედ, კინოში ვიყავით, ოღონდ, ძალიან ცუდ კინოში. ბინაში ღამე ავდიოდით, სინათლეს არ ვანთებდით, საფრთხეს ვგრძნობდით და თითქოს ძალა გვემატებოდა, ათასჯერ დაშლილ და აწყობილ იარაღს ხელს წამოვავლებდით და ფსიქიკაც გვიწყნარდებოდა. ბესო უკვე თავისუფლად დადიოდა, გოგო აკითხავდა მანქანით დილაობით და კუს ტბაზე ადიოდნენ, აივნიდან დედამისი პირჯვარს წერდა, ეს ხელს დაუქნევდა და მანქანაში ჯდებოდა, მაგის მსახიობი... 10 სექტემბერს გიგომ, მეტის გადადება არ შეიძლებაო, თავი აღარ გამოგვეყოფა უკვე არსადო — სვანურად ჰქონდა გაჭედილი და ჩვენც, წამხედურობით თუ ჯინით, ვეთანხმებოდით. მეორე დღეს დაიგეგმა ყველაფერი ის, რაც უკვე დიდი ხნის დაგეგმილი გვქონდა და უბრალოდ შესრულება აკლდა. ლუკამ ტელეფონები სახლში წაიღო და მალევე მოვიდა, ორი ბოთლი არაყი და „რედბულები“ მოიტანა. მოკლედ, 11 სექტემბრისთვის ვემზადებოდით. მთელი ღამე ერთი და იმავეს ვლაპარაკობდით, თითქოს გამოცდაზე გავდიოდით და არაფერი არ უნდა შეგვშლოდა. „აბაროტის“ შემდეგ ისევ ბინაში ვბრუნდებოდით, ტანსაცმელები და იარაღები ჩემს ბიძაშვილს უნდა წაეღო, მაცივარი სავსე იყო და რამდენიმე დღე აქ დავრჩებოდით, პანაშვიდების და დაკრძალვის შემდეგ, ეზო რომ დაცარიელდებოდა, ღამე სვანეთში წავიდოდით, იქიდან ორ დღეში აფხაზეთში და ჰაიდა, მოსკოვში...

ღამე საშინელი სიცხე იყო, სულ გავიხადეთ და მარტო საცვლებით ვისხედით, დაძაბულობისგან ყველაფერი გვიჭერდა. გამზადებულ იარაღებს არ ვეკარებოდით, თითქოს გვეშინოდა, რამე არ გაგვეფუჭებინა. არაყი ერთ საათში გამოვცალეთ, მაგრამ ისევ ფხიზლები ვიყავით. სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდით და პირი გამშრალი გვქონდა. ლუკას შევხედე და შუშის თვალებით ტელევიზორის ციმციმს უყურებდა, გიგო დანის წვერით ყველს სერავდა, მერე იგრძნო ჩემი მზერა, დანა „ტრუსიკზე“ შეიწმინდა და დაკეცა, გამიღიმა და მკითხა:

— ჰა, ჟიმჟიმი ხომ არ გაქვს?

ლუკამ შუშის თვალებით ახედა, უცებ გამოფხიზლდა და თვალები გაუმკაცრდა.

— დედას მოვუტყნავთ! — მტკიცედ გაიმეორა, ისედაც ასჯერ ნათქვამი.

— ძაან არ დავცხრილოთ, „მალალეტკურად“ არ გვინდა.

— იმან რო დაგვასწროს?! — ჩამეცინა უცებ. ზოგადად ყველას იმის გვეშინოდა, რომ დაუგეგმავი რამე არ მომხდარიყო, ისეთი, რაც გათვლილი არ გვქონდა. ყველაზე ძალიან მეშინოდა, ვინმე არ შეგვფეთებოდა სადარბაზოში, ამიტომ სადარბაზოდანაც უნდა გვესროლა რამდენიმე ტყვია, რომ თუ ხალხი იქნებოდა, დაფანტულიყო.

— მე არ მომხვდება, — გიგო სავარძელში არხეინად გადაწვა, — ქუდბედიანი ვარ.

— ქუდბედიანი თუ ქურასბედიანი? — ლუკას და მე გაგვეცინა, გიგო მოიღრუბლა.

— დავიძინოთ რა, ცოტა, თორემ დილას დაგვენძრევა.

— დილას ბესოს დაენძრევა, — ჩავილაპარაკე, უფრო ჩემი თავი გავამხნევე, ვიდრე ვინმეს დავემუქრე.

ტახტზე გადავწექი და თვალები დავხუჭე. სიმთვრალე და თავის ტკივილი ერთდროულად ვიგრძენი. ადვილად წამაკიმარა, ძილბურანში ფიქრი იყო თუ სიზმარი ვერ ვარჩევდი. ნანა მესიზმრებოდა, ნიკუშას დედა. თავის სამზარეულოში იჯდა თითქოს და იმეორებდა, დედამისს ბოდიში მაინც მოეხადაო, თვითონ დაღუპა თავისი შვილი და მეც გამაუბედურაო. ვერ ვხვდებოდი, რას გულისხმობდა, რაღაც არასტანდარტულს ნიშნავდა ეგ სიტყვები ჩემთვის. გამოვფხილზდი, ლუკა წამოდგა და სამზარეულოში შევიდა. მესმოდა, წყალი როგორ დალია. თვალებს არ ვახელდი, მაგრამ ყველაფერს ვხედავდი. მალე წისქვილში ჩაგვაგდებდნენ და ყველაფერი ელვის სისწრაფით დატრიალდებოდა.

გიგო წამოჯდა და ტელევიზორი ჩართო ხმამაღალზე, ლუკა უხმოდ მივიდა პულტთან და ცოტა ჩაუწია.

უკვე გათენებულიყო...

სათითაოდ გადავივლეთ, წინასწარ ნაყიდი და გამზადებული ტანსაცმელები ჩავიცვით, იარაღი მაგიდაზე დავალაგეთ და მეასე ღერს გავუკიდეთ. ბესოს გოგო არ ჩანდა, დედამისი ერთხელ გამოვიდა აივანზე და სარეცხი გაფინა. მთელი სხეული მომიდუნდა, მაგრამ ტვინი გამალებით მუშაობდა. გოგო მოვიდაო — ლუკამ წამოიყვირა და წამოვცვივდით, იარაღს ვეცით. შევაყენე და საათს გავხედე. ვიცოდი, რამდენიმე წუთში ჩამოვიდოდა. ჯერ დედამისი აივანზე გამოდიოდა და მაგით ვხვდებოდით, რომ ბესო კიბეებზე იყო. დედამისი გამოვიდა, უხმოდ შემოვტრიალდით სამივე და კარისკენ წავედით, კარს ღიას ვტოვებდით. ლუკამ გაიხედა „გლაზოკში“ და ჩუმად გააღო. აბა, ღმერთი ჩვენსკენო, ჩაილაპარაკა და ჩვენც დაბუჟებულები გავყევით. გული გიჟივით მიცემდა, ცოტაც და გამეგლიჯებოდა. ბესო გამოვიდა სადარბაზოდან, ხელი დაუქნია დედამისს და მანქანაში შეხტა. ძუნძულით გამოვედით სადარბაზოდან და ჩვენ ჩვენი ადგილები დავიკავეთ, დედამისმა რაღაცა იკივლა, ყურები დაგუბებული მქონდა, მაგრამ ადგილზე გავიყინე, ბესომ ღვედის გახსნა დაიწყო თუ იარაღისკენ წაიღო ხელი, არ ვიცი. ტანზე დავუმიზნე და გამოვკარი, შეახტუნა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა, ხელები გაასავსავა და ამ დროს ლუკას „კალაშნიკოვიც“ აკაკანდა. გიგომ მანქანასთან მიირბინა და კარი გამოაღო, ბესოს პირიდან სისხლი სდიოდა, იმ გოგოს შევხედეთ და მხარში იყო მსუბუქად დაჭრილი, შოკისგან ხმას ვერ იღებდა. გიგომ, ზედ დაგაკლავ, თუ რამეს იტყვიო და სამივემ მოვხიეთ სადარბაზოსკენ. სადარბაზოდან ბესოს ფანჯრებს ავხედე, არავინ ჩანდა, დედამისი ხო არ მოკვდა-მეთქი, გავიფიქრე და ბინაში შევცვივდით. შარვალს ვეცი და გახდა დავიწყე. იატაკზე ერთ ადგილას ვყრიდით, რაც გვეცვა, უხმოდ, „ზონდერების“ მოძრაობით და გაურკვეველი შიშნარევი სიამაყით. ახალ ტანსაცმელს ვეცით და ჩავიცვით. ოფლი შემაშრა, მაგრამ შოკიდან ვერ გამოვდიოდი. გიო რომელზე მოვაო — ჩემ ბიძაშვილზე მკითხეს. ტელევიზორში რომ გაიგებს, ეგრევე გამოაწვება-მეთქი. ეზოდან ხალხის ჩოჩქოლი ისმოდა. ვგრძნობდით, სადარბაზოში როგორ დარბოდნენ. პატრულის და სასწრაფოს სირენები სულ უფრო მატულობდა და მატულობდა. ლუკა ფანჯრიდან უყურებდა ყველაფერს და ჩუმად გვიყვებოდა დანახულს. „მენტები“ დარბოდნენ მეზობლობაში და ყველას კითხავდნენ. რა თქმა უნდა, არავის არაფერი დაუნახავს, მაგრამ ორი აზრი არი იყო, პირველი ეჭვმიტანილები ჩვენ ვიყავით. თუ არ გამოვჩნდებოდით, ძებნას გააძლიერებდნენ. გიო კი ისევ არ ჩანდა. მთელი დღე არაფერი არ გვეჭამა, ჩაის ჭიქებში „ანაკომის“ სუფები გავიკეთეთ და ძალისძალით შევხვრიპეთ. ხმას არ ვიღებდით, არ ვლაპარაკობდით, ახალი ამბებიდან ახალ ამბებზე ვრთავდით და პოლიტიკოსებს ვუსმენდით. ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა, რომ ამნისტიით არ უნდა გამოსულიყო ასეთი მკვლელი. გამთენიისას ძილი მომერია და ჩამეძინა, ბესო მესიზმრებოდა, ოღონდ ჩემს ეზოში. თეთრი სისხლიანი პერანგი ეცვა, თვალები ჩაშავებოდა. სალაპარაკო მაქვსო, დამდევდა და მეც ვემალებოდი. სულ სველმა გავიღვიძე და აბაზანაში შევვარდი, გული მერეოდა და მუხლებზე დავეცი. ლუკა მედგა უკან, რა გჭირსო. გიო როგორ არ მოენძრა-მეთქი — ჩავილაპარაკე — როდემდე უნდა ვისხდეთ იარაღებით სახლში-მეთქი. ჩაიარა უკვე ყველაფერმა, აქამდე აგვიყვანდნენ, რო რამეო, დღეს უკვე პანაშვიდები იწყებაო — მძიმედ თქვა.

იწყებოდა ბესოს პანაშვიდები და ჩვენი სინდისის ქენჯნაც. ვიცოდი, მთელი ვაკეერის ნაბიჭვრობა აქ შეიკრიბებოდა, ზუსტად იგივე „სასტავი“, ვინც ნიკუშას პანაშვიდებზე იყო. ოთახში მივწექი გვერდულად და კარი გამოვიკეტე, თვალები დავხუჭე და ისევ ბესო დამიდგა თვალწინ ჩაშავებული თვალებით. მოდი, დამელაპარაკეო და გავიღვიძე ისევ გულის რევის შეგრძნებით, მაგრამ არ წამოვხტი, პანიკას უნდა მოვრეოდი, არ უნდა შეეტყო არავის. ფანჯარა შევაღე და შევისუნთქე სუფთა ჰაერი. მივხვდი, სულ სველი ვიყავი და ეგრევე მივხურე, არავის არ უნდა დავენახე. მაისური ავიღე სკამიდან და სახე შევიმშრალე, მერე გადავიცვი და დავწექი. ჭერში ვიყურებოდი. ეზოში ნელ-ნელა ბირჟები დგებოდა. ტელევიზიებიც მოდიოდნენ და იყო ერთი რია-რია. შუა დღისას, ჭამის მერე, ისევ ამერია გული. ლუკა დამუნჯებული იყო, გიგო — პირიქით, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, გალიაში დამწყვდეულ მხეცს ჰგავდა. ეზოში გიო დავლანდე, ესალმებოდა „სასტავს“. მადლობა ღმერთს, გამოჩნდა! პანაშვიდზე ავიდა, ეტყობა იქაც „დაბირჟავდა“. იმათმა ხომ არ დაითრიესო, შეშინებულმა მკითხა გიგომ. არა, ეგ ისეთი შენძრეულია, ტრაკი რომ არ ჰქონოდა, არ მოვიდოდა-მეთქი და დავმშვიდდით. გიო სადარბაზოდან გამოვიდა ვიღაცა ტიპთან ერთად ლაპარაკ-ლაპარაკით და ეზოდან გავიდა. მიხვდი, თავი ძალიან ფრთხილად ეჭირა. უკვე ღამე იყო და შიმშილმაც შემაწუხა. გიგომ ბევრი ყიყლიყოები შეწვა. მშვიდად მივირთვით, ნელა და აუღელვებლად. გიოს დანახვამ დაგვამშვიდა ყველა, ისეთ დონეზე დაგვამშვიდა, რომ ძილი მომერია და ტახტზევე მივწექი. ეგრევე ჩამეძინა და ისევ ეზო დამესიზმრა: დავდიოდი ფეხბურთის ბურთით იღლიაში და სადარბაზოებს ვუყურებდი, უცებ უკნიდან ხელი ვიგრძენი და გვერდზე გავხტი. ბესო იყო, სისხლიანი პერანგით, ხელებიც გაშავებული ჰქონდა თვალებთან ერთად და მომისმინეო, უკან დავიხიე და ყვირილი დავუწყე: რა გინდა, თავი გამანებე, შემეშვიმეთქი. დედაჩემს ბოდიში მაინც მოუხადეო. შენ მოგეხადა ნანასთვის ბოდიში და ცოცხალი იქნებოდი-მეთქი — ვუღრიალე. დედაჩემს მოუხადე ბოდიშიო — მიმეორებდა გაუჩერებლად და სახეში რტყმამ ნელ-ნელა გამომაფხიზლა. ლუკა და გიგო მაფხიზლებდნენ შეშინებულები. მივხვდი, ხმამაღლა ვყვიროდი და დარცხვენილი წამოვდექი. გიგომ წყალი მომაწოდა და სიგარეტს მოვუკიდე. რას ვყვიროდი-მეთქი და არაფერს, პროსტა ხაოდიო. ძალიან შემრცხვა. ბესო დამესიზმრა-მეთქი. ბიჭები ჩუმად მისმენდნენ და იატაკს იყვნენ ჩაშტერებულები. უცებ ლუკამ ხმადაბლა ჩაილაპარაკა: ბოდიში რომ მოეხადა ნანასთვის, მე ვაპატიებდიო. გიგო მოწყენილი დაეთანხმა: აბა, რას დაიღუპა თავიო. სამივე მივხვდით, რომ ერთ ქვაბში ვიხარშებოდით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ გაბუნია

უმარილო ქვეყანა

აკაკი ბაძრაძის საჯარო ლექციებზე ბევრი ხალხი იკრიბებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს. პოპულარული იყო ახალგაზრდებში. ვიცოდით, 8-9 წლის წინ ხელისუფლებამ ლექციების წაკითხვა რომ აუკრძალა. 1981 წლის აპრილში სტუდენტებმა ბატონი აკაკის უკან დაბრუნება მოითხოვეს, მაგრამ უშედეგოდ. ისტორიისა და ხელოვნების კომუნისტური იდეოლოგიისგან თავისუფლად გააზრება მაშინ უცხო ხილი იყო, რადგან პროფესორ-მასწავლებლები ძირითადად დაშტამპულად აზროვნებდნენ. ბატონი აკაკი რაღაც ახალს გვთავაზობდა. მისი აზრით, ხელისუფლება მწერლობას უკვე კარგა ხანი იყო, რაც მათრახისა და ტკბილეულის მეთოდით (სასჯელისა და პრივილეგიების მონაცვლეობით) ათვინიერებდა; ის საჯაროდ საუბრობდა ისეთ თემებზე, რომელთა ხსენებაც უძრაობის პერიოდში აკრძალული იყო: მაგალითად — დასავლური მოდელის უპირატესობაზე კომუნისტურთან შედარებით; კერძო საკუთრების მნიშვნელობაზე თავისუფალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში. მის ლექციებში განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის მამოძრავებელ ძალებზე გამოთქმული შეხედულებები მხიბლავდა. მეფის ჟანდარმერიის ხსენებისას, ბაბუას სახე ამომიტივტივდებოდა ხოლმე, რომელსაც მხოლოდ სურათებიდან ვიცნობდი, რადგან ის 59-ში გარდაიცვალა, მე კი 62-ში დავიბადე.

ბავშვობიდან ვიცოდი, ილიას მეფის ჟანდარმერიაც რომ ემტერებოდა და ენ-კა-ვე-დეც, რადგან მამა ხშირად მიყვებოდა პოლიგრაფისტ ბაბუაზე, წიწამურის ტრაგედიის შემდეგ ილიასთან ნაცნობობის გამო ორჯერ რომ გაუჩხრიკეს ბინა, ჯერ მეფის ჟანდარმერიამ, მოგვიანებითაკი უკვე — ენ-კა-ვე-დემაც. სკოლაში გვასწავლიდნენ, ოქტომბრის რევოლუცია პარტიებმა და ხალხმა მოახდინაო. თურმე რომ არა ლენინის მიერ ჩატარებული პარტიის ყრილობები, რევოლუცია არც მოხდებოდა. აკაკი ბაქრაძის აზრით კი, ეს არ შეეფერებოდა სინამდვილეს, რადგან ცალკეული პიროვნებები (ლენინი, სტალინი, კამო...) და რუსი ხალხი ვერ ამოატრიალებდა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ იმპერიას, პეტრე პირველის მიერ შექმნილი საიდუმლო პოლიცია გადამწყვეტ მომენტში რევოლუციონერთა მხარეს რომ არ გადასულიყო.

იმ პერიოდის ამბებზე მამაც მიყვებოდა — სწორედ მისგან ვიცოდი, მეფის ჟანდარმერიისა და ჩეკას მოქმედების სტილი დიდად რომ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

— ორივეს ერთნაირად სძულდა ილია. შესაძლოა, ჩეკას უფრო მეტადაც. თვით გარდაცვლილის აჩრდილისაც ეშინოდათ. მეტიც, 1937 წლამდე ხალხის მტრად იყო გამოცხადებული. ბაბუაშენს ორჯერ გაუჩხრიკეს სახლი და ორჯერ დაუწვეს წიგნები. ჟანდარმერიას რამდენიმე წიგნი გადაურჩა, მაგრამ ენ-კა-ვე-დეს ვეღარ. ჩხრეკის შემდეგ ნაძალადევის სახლის ეზოში უნთებდნენ კოცონს და ილიას ნაჩუქარ ავტოგრაფიან წიგნებს ცეცხლში უყრიდნენ. სწორედ ამას ნანობდა სიკვდილის წინ, არადა იმავე წელს სრულიად ჯანმრთელი ქალ-ვაჟი დაკარგა, ორმოცი წლის ქალიშვილი — თრომბით, ორმაცდახუთის ვაჟი კი — გულის შეტევით, — მიყვებოდა მამა.

ის ხუთ დედმამისშვილში ნაბოლარა იყო. ბაბუამ სწორედ მის ხელში დალია სული — მაპატიე ილია, შენ ნაჩუქარ წიგნებს რომ ვერ გავუფრთხილდიო, კვნესოდა თურმე. — სიკვდილის წინ ჩემი უფროსი და-ძმის სახელები არც უხსენებია, — უკვირდა მამას.

მე კი ეს უცნაურად არც მეჩვენებოდა, რადგან სოფლიდან თბილისში ჩამოსული თხუთმეტი წლის ბიჭი ილიამ შეიფარა, რომელიც მალე მისი მფარველი და სულიერი მამა გახდა. ბაბუა დროებით ათიოდე წლით უფროს ბიძაშვილ კალისტრატე ცინცაძესთან ცხოვრობდა, სწორედ მას ჩააკითხა თბილისში 1893 წელს. თავიდან ფიქრობდა, ცოტა ხნით დავრჩები, მერე კი სოფელში დავბრუნდებიო, თუმცა მამა კალისტრატემ ურჩია, ილიას სტამბაში მიდი, იქნებ დაგასაქმოსო.

ვინ ხარ და სად ცხოვრობო, უკითხავს ილიას.

— თბილისში რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი, მამა კალისტრატე ცინცაძის ნათესავი ვარ, მინდა თან ვიმუშავო და თან ვისწავლო...

— რომელ ეკლესიაშია?

— დიდუბის, კიევის სასულიერო აკადემია დაამთავრა და მღვდლად სწორედ ახლახანს აკურთხეს.

— ძველი სემინარიელი იქნება, — უთქვამს ილიას და ჩაფიქრებულა, ვინ იცის იქნებ ლაღიაშვილი გაახსენდა, მერე კი ექვსიოდე წლის წინ ვერაგულად მოკლული დიმიტრი ყიფიანიც.

ასე იყო თუ ისე, მამა კალისტრატე კარგი მრჩეველი გამოდგა, ბაბუამ სამსახური იშოვა. სილვესტრი (სილიბისტრო) ჯერ დამხმარედ აიყვანეს, მერე კი პოლიგრაფისტადაც.

— პირდაპირ ქუჩიდან მივიდა, რატომღაც კარგი თვალით შეხედა, შესაძლოა, გვარმა გაბუნიამაც გაჭრა, — მიმტკიცებდა მამა.

იქნებ მართალიც იყო. ნატო გაბუნია, ცნობილი მსახიობი, ქართველ თავადებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თურმე მომაკვდავ გრიგოლ ორბელიანს შუაღამისას ნატოს მოყვანა უთხოვია ილიასთვის, სხვა არაფერი მინდა, ნატომ მიმღეროსო. ილიამ თხოვნა შეუსრულა, კარეტით მოუყვანა ნატო... და უმღეროდა თურმე ლამაზი ქალი პოეტ-გენერალს განთიადამდე, ვიდრე სიმღერით არ შეეგება სიკვდილს...

ეს თემა ყოველთვის მაინტერესებდა. შემთხვევას არ გავუშვებდი, უფროსი თაობიდან ვინმეს არ გამოვლაპარაკებოდი ნატოს შესახებ, ვინ იცის, იქნებ მასზე რაღაც ახალი შემეტყო. ასე მოხდა მაშინაც, ზურაბ ქაფიანიძეს რომ შევხვდი გაგარინის მოედანთან „ბაბუს დუქანში“, ახლა ლომბარდად და მაღაზიად რომაა გადაკეთებული. გავეცანი, მეც გაბუნია ვარ-მეთქი, თქვენი მეუღლის მოგვარე. მაგიდები რომ შევაერთეთ, ასეთი რამ მიამბო:

— ერთხელ მწერლებმა ვაჟას თხოვეს, ნატოსთვის რაღაც ეთქვა. ოპერის ლოჟაში ორი ბილეთი უყიდეს, თავისუფლად რომ ესაუბრათ ერთ მეტად მტკივნეულ თემაზე. ვაჟა დათანხმდა. ის საღამო უცნაურად დასრულდა. ვაჟა თურმე ისე მოიხიბლა ნატოს ფიზიკური სიახლოვით, რომ სიტყვაც ვერ დაძრა, შუბლზე ოფლი ასხამდა და ნატრობდა, ოპერა მალე დასრულებულიყო. ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისთვის უთქვამს, ახლა კი ვხვდები, რა დღეშიცაა ის ხალხი, ნატო რომ აჯადოვებსო.

მამას ძალიან მოსწონდა ეს სახელი, არა მხოლოდ მსახიობ ნატო გაბუნიას გამო, არამედ ბებიისაც, რომელიც დოდაშვილის ქალი იყო. თბილისში ჩამოსულ, გაქართველებულ რუს ჩინოვნიკს გაყვა მერე ცოლად და ალექსანდრაც შეეძინათ. საშა ბებო პახომოვას გვარის ქალი იყო (დედით დოდაშვილი). რუსებს ვერ იტანდა, საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ რომ დაიწყებოდა — „ფუ, სუკინ სინ“ — იტყოდა და ტელევიზორს თიშავდა. სწორედ იმ პახომოვა-დოდაშვილის ქალს ჩაესიძა მერე ბაბუა, რომლისგანაც ხუთი შვილი შეეძინა — იმ ხუთს ათი, ათს კი დაახლოებით ორმოცდაათამდე შვილი და შვილიშვილი.

იმ თაობის ხალხი პატიოსანი იყო. მართალია, ბოლშევიკებმა ღმერთი წაართვეს, მაგრამ სიყვარული ვერ — ძალიან მტკიცე ოჯახები ჰქონდათ. ერთმანეთს თვალებში შესციცინებდნენ. ჩვენს გვარში ორჯერ არავინ დაქორწინებულაო, ამაყობდა მამა. ბაბუა მოგვიანებით ოქროს ფონდის დირექტორად დანიშნეს და, როგორც თანამდებობის პირს, სამსახურის მანქანაც გამოუყვეს, მაგრამ არასოდეს უსარგებლია. დღეს რომ ჯიპებზე ერთი ამბავია ატეხილი, მეცინება და კვლავ ბაბუა მახსენდება, მაინც ტრამვაით დადიოდა თურმე სამსახურში. მძღოლი კი გვერდით მიყვებოდა, ფეხით მოსიარულესაც და ტრანსპორტში ასულსაც. რა ექნა, სამსახურს ხომ არ დაკარგავდა? უბნელები იცინოდნენ თურმე ამ უცნაური სურათის დანახვისას, შეხედეთ, სილიბისტრო ისევ ფეხით მიდის, მძღოლი კი უკან მისდევსო. მეც ვიცინოდი, თუმცა მესმოდა, რატომ აკეთებდა ამას. წინამურში მოკლული ილია ახსენდებოდა ალბათ, რომელმაც მშობელ მამაზე უკეთ უპატრონა. ის უნდა მიეჩნიათ ხალხის მტრად და მოეკლათ, სილიბისტრო კი — დაეწინაურებინათ?! სამსახური კიდევ ჯანდაბას, ხუთი შვილი ხომ უნდა ერჩინა, მაგრამ მანქანა? არა, ნამდვილად არ იყო ღირსი, ამ პრივილეგიით ესარგებლა!

ბაბუას მეორე სათაყვანებელი ადამიანი კალისტრატე ცინცაძე გახლდათ. ხშირად იმეორებდა თურმე, „ვეფხისტყაოსანი“ და ეკლესია ერთმანეთთან სწორედ მან შეარიგაო. „ვეფხისტყაოსანს“ რატომ ემტერებოდნენ-მეთქი, მიკვირდა. არაეკლესიური სულისკვეთების ნაწარმოებად მიაჩნდათ, ერეკლე II-ის დროს მოღვაწე ანტონ კათალიკოსი მზისა და მთვარის ფარულ თაყვანისცემას ხედავდა პოემაში, მპასუხობდა მამა. „ვეფხისტყაოსანი“ ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი წლისას მიკითხავდნენ, ასე რომ, ის ჩემი ბავშვობის ნაწილი იყო.

განსაკუთრებით ზაფხული მიყვარდა, მოუთმენლად ველოდი, როდის მოვიდოდა დედა სამსახურიდან, რათა ჩემ საყვარელ სარწეველა სკამზე მოვკალათებულიყავი ეზოში, პატარა აუზთან და მომესმინა. ყურში სასიამოვნოდ ჩამესმოდა შოთას ლექსის მუსიკა. დედა შერჩევით მიკითხავდა ეპიზოდებს, რაღაც-რაღაცებს ახტებოდა. როცა დაასრულებდა, თავიდან იწყებდა. სკოლაში წასვლამდე პოემის შემოკლებული ვარიანტი უკვე რამდენჯერმე მქონდა მოსმენილი. მოგვიანებით წიგნების გადაკითხვა დამჩემდა. მამა დამცინოდა, „მაუგლის“ ზეპირად სწავლობო?! მე კი მაინც ვკითხულობდი, რადგან ყოველ ჯერზე რაღაც ახალს ვპოულობდი. ეს პროცესი ახლაც გრძელდება. მხოლოდ ორი-სამი წლის წინ მივხვდი, პრომეთე და მაუგლი რაღაცით რომ ჰგვანან ერთმანეთს. მაუგლიმ ხომ მხოლოდ ცეცხლის არსში ჩაწვდომის შემდეგ დაამარცხა შერ-ხანი? ვერც პრომეთე მოიმოქმედებდა რაიმე მნიშვნელოვანს ცეცხლის გატაცების გარეშე. ცეცხლის სტიქიის არსში წვდომა ორივესთვის ინიციაციის მსგავსი მოვლენა იყო. აი, რა მნიშვნელოვანი დეტალების აღმოჩენა შეიძლება წაკითხულის გადაკითხვისას.

ლიტერატურის სიყვარული კი „ვეფხისტყაოსანით“ დაიწყო.მართალია, მაშინ ზღაპრად აღვიქვამდი, თუმცა სიუჟეტს ვიმახსოვრებდი. ერთხელ დედას გავუბრაზდი კიდეც, ავთანდილისა და ასმათის გაცნობის ამბავს რატომ გადაახტი-მეთქი. გაოცდა, თუმცა გაახსენდა, რომ ჩვილობიდანვე საოცარი მეხსიერება მქონდა. სულ დამავიწყდა, მეთქვა, რომ გენიოსად მივაჩნდი, ისევე როგორც ყველა დედას თავისი შვილი. იწერდა კიდეც ჩემს ბავშვობისდროინდელ გამონათქვამებს. თურმე ჭამისას „ჩიტო, ჩიორას“ მიკითხავდა. ერთხელ სიტყვა „ხელეჩო“ გამოუტოვებია, სწორედ იმ ეპიზოდში, მელა ჩიტს რომ ემუქრება, ხელეჩოს და წალდუნას მოვიტან, ბარტყს თუ არ გადმომიგდებო. „ხეჩეჩოსა?!“ — ვამბობდი და ვტიროდი, მაშინ წლინახევრის არც ვიქნებოდი.

გენიოსობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სიზმრებს ნამდვილად უჩვეულო სიზუსტით ვიმახსოვრებდი, სამი წლის ასაკში ნანახსაც. მაშინ ჯერ ვეძისში არც ვიყავით გადმოსულები, ნაძალადევში ვცხოვრობდით. სწორედ იქაური ეზო მესიზმრა და საოცრად ლამაზი პატარა გოგონა,

რომელიც მიწაყრილზე გამავალი კიბის ორმოდან გამოძვრა და მეთამაშეობდა, თუმცა მოულოდნელად ვანო ბაბუა გამოჩნდა (დედის მამა) და ნიჩბით მიწა მიაყარა, ცოცხლად დამარხა. მოგვიანებით, როცა დედას მოვუყევი, გაფითრდა — სწორედ მაშინ მომეშალა მუცელიო, მითხრა.

— ორი-სამი თვის ფეხმძიმე ვიქნებოდი, შენ წაიქეცი და ტიროდი. როცა აგიყვანე, ვიგრძენი, რომ ნაყოფი მომწყდა. ძალიან ცუდადად გავხდი, სასწრაფო გამოვიძახეთ. იქვე, ნაძალადევის სახლის ეზოში დამარხა მამაჩემმა. ის, რაც დაუბადებელი ბავშვისგან დარჩა. იქნებ გოგონა იყო, უმცროსი და გეყოლებოდა ახლა. ვანო ბაბუამ ორმო ნიჩბით სწორედ იმ კიბესთან ამოთხარა, შენ რომ გესიზმრა.

კიდევ ერთი გასაოცარი სიზმარი ვნახე, ოღონდ უკვე თბილისის ომის წინ, ასე 30-31 წლის ასაკში. მაჯის საათს დავცქეროდი, უცებ ისრები გველებად იქცნენ, უკუღმა დატრიალდნენ და ერთმანეთს კბენა დაუწყეს, მე კი განზე გავდექი, მათი კუდები სახეში რომ არ მომხვედროდა. ეს სიზმარი, როგორც მოგვიანებით მივხვდი, უკუღმართი დროების დადგომას მოასწავებდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. ღმერთმა (თუ ჩემმა მფარველმა ანგელოზმა) იმ უკუღმართ დროებას გამარიდა. მანქანა დამეჯახა და წელიწადზე მეტ ხანს სახლიდან არ გავსულვარ (სამ ადგილას მოტეხილი ფეხის გამო). თორემ, შესაძლოა, რომელიმე პარტიაში გავწევრიანებულიყავი და უნებლიეთ სამოქალაქო ომშიც მიმეღო მონაწილეობა. საბედნიეროდ, ვერც ერთ პარტიაში შესვლა ვერ მოვასწარი...

აი, ასეთ უცნაურ სიზმრებს ვხედავდი, ჩემთვის „ვეფხისტყაოსანიც“ ხილვასავით იყო, რადგან ზრდასრულ ასაკს რომ დავუბრუნდი, როგორც კარგად ნაცნობსა და მშობლიურს, ისევე დავიწყე მისი გახსენება, როგორც სიზმრის. სკოლაში გამიმართლა, მშვენიერი მასწავლებელი შემხვდა — ელენე სურგულაძე. მართლაც გამორჩეული პედაგოგი იყო. „შვლის ნუკრის ნაამბობს“ ისე აგიხსნიდა, აგატირებდა.

ჩვენ გაკვეთილებზე ტელევიზიაც კი მოდიოდა, რაც კომუნისტურ ეპოქაში იშვიათად ხდებოდა. ელენეს საყვარელი მოსწავლეები ვიყავით მამუკა ფაჩუაშვილი და მე. სამწუხაროდ ქრესტომათიის წიგნი არ იყო ისეთივე კარგი, როგორიც მასწავლებელი. მას კომუნისტური იდეოლოგიის კვალი ეტყობოდა. არც კლასიკოსების თხზულებები იყო რიგიანად გაშუქებული. შოთამ რაფინირებული ადამიანები დაგვიხატაო, გვიბეჭდავდნენ თავში. მძინარე ადამიანის მკვლელი ტარიელი ვერანაირად ვერ იქნებოდა ჩემთვის რაფინირებული, ის „დინასტიური ქორწინებების“ მომწყობებზე გაშმაგებული უფრო ჩანდა (შმაგი კი მიჯნურს ნიშნავდა არაბულ ენაზე — „მიჯნური შმაგსა მიქვია არაბულითა ენითა“, გვმოძღვრავდა შოთა), და აი, ტარიელი (გაშმაგებული მიჯნური) სარაინდო წესების დარღვევით კარავში მძინარე სტუმარს (უცხო ქვეყნის უფლისწულს) მიპარვით კლავს. რა მძვინვარება იგრძნობა სიტყვებში:

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ,
ჩავაკარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა
შევუტაკე.“

პოემის არც ერთ ეპიზოდს არ გამოუწვევია ჩემში ისეთი გაორება, როგორც ხვარაზმშას შვილის მკვლელობის ამბავს. მკითხველის პოზიციიდან მეც ვერ ვეგუებოდი იმ აზრს, რომ ქართველ თუ ინდოელ ქალს (მითუმეტეს მეფეს) უცხოტომელზე ათხოვებდნენ, თანაც უსიყვარულოდ. ამას ვერც რეალურ ცხოვრებაში შევეგუე, რადგან გოგონას, რომელთანაც ვმეგობრობდი, სწორედ უცხოეთში წასვლის წინ ვთხოვე ხელი. ახლა კმაყოფილი ვარ, გერმანიაში რომ არ წავიდა, ასევე სამი შვილის მამობით და იმითაც, რომ ვაჟებს მამისა და ბიძაჩემის სახელები ქვიათ (დავითი და დიმიტრი), ერთადერთ გოგონას კი ნატალია — ჩემი დიდი ბებიის საპატივსაცემოდ და არა გრეტხენი, რომელიც ქეთის (ჩემი მომავალი მეუღლის), გერმანიაში წასვლისა და გათხოვების შემთხვევაში, თავისი ქალიშვილისთვის შეიძლებოდა დაერქმია.

რუსთაველით აღფრთოვანებული ვიყავი, ჩემი საყვარელი ქალი ძალით რომ გაეთხოვებინათ, თანაც ქვეყნის ინტერესების საზიანოდ, ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი-მეთქი, გავიფიქრებდი ხოლმე. თუმცა არც მძინარე ადამიანის მიპარვით მოკვლა მესახებოდა კეთილშობილურ საქციელად. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „მაჰაბჰარატა“ წავიკითხე. არიელთა რაინდული კოდექსი არათუ მძინარის, ბრძოლიდან გაქცეული ადამიანის მკვლელობასაც კი საშინელ ცოდვად მიიჩნევდა. რელიგიური თხზულების ერთ-ერთ წიგნში საუბარი იყო იმის შესახებ, თუ როგორ დასაჯა ღმერთმა ვიშნუმ მძინარე ადამიანის მკვლელი, დიდხანს არ გააჩერა სამსარაში, მალევე მოავლინა ამქვეყნად მახინჯ ჰერმოფროდიტად. ანუ არასასურველი ინკარნაციით დასაჯა. რატომღაც „მაჰაბჰარატას“ ამ ეპიზოდის გახსენებისას მუდამ II მსოფლიო ომის მონაწილე არტილერისტებსა და მფრინავებზე ვფიქრობდი, მძინარე ქალაქებს რომ ბომბავდნენ. ინდუიზმის ლოგიკით ისინი სექსუალური გადახრებისა და პათოლოგიების მქონე ადამიანებად უნდა შობილიყვნენ მომდევნო ინკარნაციაში. მათი სამსარიდან ამოსვლისა და ხელახლა შობის თარიღი კი საეჭვოდ ემთხვეოდა სექსუალური რევოლუციის დაწყების წლებს. ნეტა რას იტყოდნენ ამის შესახებ ინდოელი გურუები — აი, თურმე რა დღეში ვყოფილვართ-მეთქი, მეცინებოდა. თუმცა მალევე ვუბრუნდებოდი რეალობას. აღმოსავლური მისტიკით ზედმეტად გატაცება სახიფათო იყო, რადგან ადამიანს წარმოსახვების ილუზიაში ხვევდა. აიძულებდა ეფიქრა, ვინ უნდა ყოფილიყო წინა ცხოვრებაში თვითონ, ან ესა თუ ის ადამიანი, რასაც ფანტასტიკის სფეროში გადაყავდი. თანაც „ვეფხისტყაოსანს“ არანაირი კავშირი არ ჰქონდა ინდუიზმთან. ტარიელი მხოლოდ პირობითად იყო ინდოელი — რუსთაველი ქართულ სინამდვილეზე წერდა, ქაჯების ტყვეობაში მოხვედრილ ნესტანზე, რომლის პროტოტიპიც თამარი იყო.

მამასთან საუბარმა კიდევ ერთი მუდმივი პროგრამა ჩამიდო თავში, სამუდამოდ შემაძულა ჟანდარმერიაც, ენ-კა-ვე-დეც და ზოგადად სპეცსამსახურებიც. ისინი დღესაც რომელიღაც გლობალისტური ძალის შექმნილად მეჩვენება. ვინ იცის, რამდენჯერ მიკამათია მეგობრებთან; მათ შორის, ისტორიკოსებთანაც. ვუმტკიცებდი, ყველაფერი ნათელი არაა ილიას მკვლელობის დამკვეთებთან დაკავშირებით-მეთქი. მამასთან დაწყებული დიალოგი დღესაც გრძელდება. ნათელია, რომ ილია სოციალ-დემოკრატების დაქვემდებარებაში მყოფმა წითელი ბრიგადის წევრებმა მოკლეს, მაგრამ ვისგან იმართებოდა ეს პარტია? მეგობართა უმეტესობას სოციალ-დემოკრატია რუსულ მოვლენად მიაჩნდა, თუმცა არსებობდა განსხვავებული აზრიც.

— არც მარქსი იყო რუსი, არც ენგელსი და არც ლენინი. რევოლუციური იდეები რუსებს თავზე მოახვიეს, — მიმტკიცებდა მამა გიორგი, ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი.

— თუმცა კომუნისტური წყობა ისე შეიტკბეს, რომ თვით 80-იან წლებში ახალდაქორწინებული წყვილები ლენინის ძეგლთან გადიოდნენ სამახსოვრო სურათების გადასაღებად. თან ამას გულწრფელად აკეთებდნენ, საკუთარი სურვილით. მაშინ როცაკომუნისტებს უკვე ყველა დასცინოდა, საქართველოშიც და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ბელადის სახელს ფიცულობდნენ. მიღებულიც კი იყო ასეთი გამოთქმა, ლენინს გეფიცები, არ გატყუებო. ჩვენ კი, აბა, ილიჩის ძეგლთან რა გაგვიყვანდა?! ქორწილის დღეს სურათებს ან ქორწინების სახლში ვიღებდით, ან რომელიმე ძველ ტაძართან და მონასტერთან, — ვეპასუხებოდი მამაოს.

მამა გიორგი, მამა ცოტნე და მე ხშირად ვსაუბრობდით საქართველოს წარსულსა და მომავალზე. მამა გიორგის აზრით, აშკარა მტერზე საშიში ფარული, მოტყუებით მოსული მტერი იყო. ხოსრო მირზამ უფრო ავნო საქართველოს, ვიდრე თემურლენგმა, ჯალალედინმა და შაჰ აბასმა ერთადო, იტყოდა.

— მუსლიმმა ბაგრატიონმა, ხოსრო მირზამ, ძვირფასი საჩუქრებითა და სამეფო კარზე თანამდებობების დარიგებით გადაიბირა და გახრწნა ქართველი თავადები, ცხოვრების წესი შეუცვალა. ისინი დამპყრობლის დასმულ მეფესთან თანამშრომლობდნენ და ხელფასსაც კი იღებდნენ მისგან. სწორედ მის დროს დაიწყო ქართველი ახალგაზრდებით მასობრივი ვაჭრობა, რომლებსაც აღმოსავლეთის ბაზრებში ყიდდნენ. ქართველები გამდიდრების მიზნით ერთმანეთს იტაცებდნენ. მოჩვენებითი აღმშენებლობის პარალელურად მკვიდრდებოდა უცხოური ცხოვრების წესი. ქართულის ადგილს იკავებდა ირანული მუსიკა და პოეზია. ვრცელდებოდა მამათმავლობა და ნარკომანია. ასასინების წაბაძვით დაკვეთილი პოლიტიკური მკვლელობებიც გახშირდა. ირანმა სწორედ მშვიდობიანობის დროს მიაღწია საწადელს, დაიმორჩილა და გადააგვარა საქართველო. და რომ არა ბახტრიონის აჯანყება, შეცვლილი დემოგრაფიული მდგომარეობის გამო, ვინ იცის, იქნებ საქართველოს ძირძველ ისტორიულ კუთხეს, კახეთს, აღარც ეარსება.

დღესაც მსგავსი რამ ხდება, სწორედ მშვიდობიანობის დროს ნადგურდება ჩვენი ქვეყანა, ქართველები თავიანთ მიწებსა და ბაღ-ვენახებს საკუთარი ნებით ყიდიან უცხოელებზე. ახალგაზრდები კლუბურ ნარკოტიკზე დასვეს, განადგურდა მწერლობა და კინოხელოვნება. ისეთ მწერლებს აპიარებენ რუსთაველის ქვეყანაში, რომ ქართველ კაცს პოეტი და პოეზია შეაძულეს. ის, რაც კომუნისტებმა 70 წლის მანძილზე ვერ შეძლეს მწერლობის ეგრეთ წოდებული მოთვინიერებით, ფსევდოლიბერალებმა სულ რაღაც 10 წელში მოახერხეს. სულიერება იკარგება, ეროვნული იდეაც, ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, სიდუხჭირეს რომ ვერ ვუძლებთ. ქვეყანა ქართველებისგან იცლება, მათ ადგილს კი უცხოელები იკავებენ.

— კონკრეტულად ვინ მართავს ამ პროცესებს? — ვიკითხე მე.

— გლობალისტები, — მიპასუხა მამა გიორგიმ, — ისინი რამდენიმე ცენტრიდან იმართებიან. ვერავინ იტყვის, რომელია მათ შორის ყველაზე ძლიერი. გავიხსენოთ თუნდაც ჰიტლერი. მან ბრიტანეთზეც გაილაშქრა და საბჭოთა კავშირზეც. რუსულ სტეპებში ჩახოცა ელიტარული გერმანული დივიზიები. რას ეძებდა იქ? ცხვირწინ ჰქონდა შვეიცარიის ბანკი, რომლის სეიფებშიც ფულიც იდო და ოქროს ზოდებიც. რატომ ვერ გაბედა შვეიცარიაში შეჭრა, მაშინ როცა ლონდონს ბომბავდა და მოსკოვსაც, საკონცენტრაციო ბანაკებს აშენებდა და ყველანაირ კანონს არღვევდა — დაწერილსაც და დაუწერელსაც? საქმეც ისაა, რომ სტალინიცა და ჰიტლერიც გლობალისტების შექმნილები იყვნენ ერთმანეთთან საომრად. ორივეს მილიარდერ ჰარიმანების ოჯახი აფინანსებდა.

— ვიცი, მამაო, ვიცი. ავერელ ჰარიმანს ფოტოც კი აქვს გადაღებული საქართველოში. 1925-1928 წლებში ჭიათურის მარგანეცის კონცერნის ერთ-ერთი მმართველი იყო. სტალინს პირველი ხუთწლედები დაუფინანსა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სსრკ-სა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობაც არ არსებობდა. ავერელის ძმა როლანდი კი ერთ-ერთი იყო იმ ცნობილი საბანკო კავშირის დირექტორთაგან, ნაცისტური პარტიის დონორ ფრიც ტისენს რომ აფინანსებდა. ორპოლუსიანი მსოფლიოს შექმნა, ეს გლობალისტების ცნობილი სტრატეგიაა. აომებენ ერთმანეთთან ორ მხარეს, გამარჯვებულები კი თვითონ რჩებიან. ჰარიმანების ოჯახი ამის მაგალითია. მამლების ჩხუბი მოაწყვეს, ავერელის ფალავანი სტალინი იყო, რონალდის – ჰიტლერი. შეაჯახეს ერთმანეთს ორი მამლაყინწა, რის შემდეგაც თვითონ გახდნენ დომინანტები. II მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებული შტატები ჰეგემონ სახელმწიფოდ იქცა. სხვათა შორის, ჯორჯ ბუში უფროსის მამა, პრესკოტ ბუში, რონალდ ჰარიმანის პარტნიორი იყო იმ ბანკის დირექტორთა საბჭოში, ტისენს რომ აფინანსებდა. ძმები ჰარიმანები იელის უნივერსიტეტში სწავლისას გაწევრიანდნენ საიდუმლო საძმოში „თავის ქალა და ძვლები“, თავის დროზე ამ გავლენიანი ორგანიზაციის წევრები იყვნენ ტეფტები, ბუშები, როკფელერები... ტოლსტოის პერსონაჟი, რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად წარმოჩენილი გრაფი პიერ ბეზუხოვიც, ამ ორგანიზაციის წევრია, პიერის სახე კი ცნობილი დეკაბრისტის მოდელზეა აგებული, გაჭაღარავებული მეუღლესთან ერთად რომ ბრუნდება გადასახლებიდან. ტოლსტოის ასე სურდა დაეწყო რომანი, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ფარული ორგანიზაციის წევრებზე დღეს უკვე მთელ მსოფლიოში ღიად საუბრობენ. მხოლოდ რიტუალებია გასაიდუმლოებული. ზოგიერთ ქვეყანაში მასონობის მუზეუმებიცაა გახსნილი. საიდუმლო ორგანიზაციების თემას ეხებოდნენ ისეთი დიდი მწერლები, როგორებიცაა: რედიარდ კიპლინგი, ალექსანდრე დიუმა, ლევ ტოლსტოი, ჯერომ სელინჯერი, ჯეიმზ ჯოისი, უმბერტო ეკო... ამერიკელები აღიარებენ მარკ ტვენის, გერმანელები გოეთეს, რუსები კი პუშკინისა და დეკაბრისტების მასონობას, მხოლოდ ჩვენ ქართველები ვართ ამ მხრივ უმწიკვლონი... ჩვენთან თურმე არანაირი საიდუმლო ორგანიზაციები არ არსებულა და ეს მაშინ, როდესაც „ქართლის ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ მირიან მეფიდან ვიდრე ვახტანგ გორგასალის გარდაცვალებამდე სულ თოთხმეტი ეპისკოპოსი გვყავდა, რომელთაგანაც მხოლოდ რვა იყო „წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი“, ხოლო დანარჩენებს მემატიანე მწვალებლებად მოიხსენიებს. ვინ იყვნენ ეს „შემშლელნი წესისანი“? ისტორიკოსები მათ მანიქევლებად მიიჩნევენ. მანიქეველი იყო ცოტნე დადიანის თანამედროვე ჰერეთის ერისთავი ვინმე შოთა კუპარიც. ლაშა-გიორგი კი სუფიებთან მეგობრობდა და მათ რიტუალურ ცეკვებშიც მონაწილეობდა... თუმცა თემას გადავუხვიეთ, შენი აზრით, მამაო, ილიას მკვლელები რომელიმე დასავლური ცენტრიდან იმართებოდნენ?

— საქმეც ისაა, რომ მხოლოდ ილია არ მოუკლავთ, — მიპასუხა ყოყმანით, — იმ პერიოდში იმპერიის მასშტაბით ორასამდე რჩეული მოკლეს, რათა მოედანი მოესუფთავებინათ ცრუ ელიტისთვის. რას ფიქრობ, მაინც რატომ გაუსწორდნენ ასე სასტიკად ნიკოლოზ II-ს, ილიას, სტოლიპინს, რასპუტინს? რატომ მოკლეს მოგვიანებით კირიონ II? ვინ დაგეგმა სისხლიანი კომუნისტური ექსპერიმენტი? არის კი წესიერად შეფასებული რუსეთის ისტორიული როლი საქართველოსთან მიმართებაში? კომუნისტების დროს დითირამბებს უმღეროდნენ რუსებს, თვით მზეც ჩრდილოეთიდან ამოდიოდა. თუმცა ახლა ნომერ პირველ მტრად გვყავს გამოცხადებული. იქნებ ჯობდა რაღაც შუალედური პოზიცია აგვერჩია?

— რუსეთთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია, — ჩაერთო საუბარში მამა ცოტნე, — მართალია აჭარა დაგვიბრუნა, მაგრამ არც ჩვენ დავრჩით ვალში. გერმანიასთან ომში 300 000 ქართველზე მეტი დაიღუპა. ასეთი მსხვერპლი ომში მონაწილე ზოგიერთ დიდ ქვეყანასაც არ გაუღია. ასე რომ, ვალი გადახდილია. ჩვენ სისხლით მოვიპოვეთ თავისუფლება. რუსეთს არ უნდა წაერთმია ჩვენთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო. ამით ყველაფერს ხაზი გადაუსვა. ილიას მკვლელობასთან დაკავშირებითაც ყველაფერი ნათელია. ის სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს, წითელმა ბრიგადის წევრებმა. რა მნიშვნელობა აქვს, სად წარმოიშვა სოციალიზმი?

— ნაწილობრივ გეთანხმები, თუმცა განსხვავებულ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება, — თქვა მამა გიორგიმ.

— ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მმართველი ცენტრის გეოგრაფიულ მდებარეობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ილიას მკვლელები კონკრეტულად არც რუსეთიდან იმართებოდნენ და არც დასავლეთიდან, — აღვნიშნე მე, — ბოროტებას ეროვნება არ გააჩნია, არც სისხლიანი რევოლუციების ორგანიზატორებს, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებს, რომლებიც არც არაბები იყვნენ და არც ინდოელები. ილია კაცობის სიმბოლო იყო, დაგვიტოვა კიდეც ასეთი რიტორიკული კითხვა; „კაცია ადამიანი?!“ რაც შეეხება კირიონ II-ს, ის და მისი მსგავსნი რომ არა, ქვეყანა უმარილო იქნებოდა, რადგან სწორედ ისინი აძლევდნენ გემოს ამ მატერიალისტური აზროვნებით წაბილწულ ქვეყნიერებას. ასე რომ, ილიასა და კირიონ II-ის მკვლელობების დამკვეთები არც რუსები უნდა ყოფილიყვნენ, არც ქართველები და არც ევროპელები. ეს ის ხალხი იყო, რომელთაც უკაცო და უმარილო ქვეყნის აშენება ეწადათ...

მამიდა

იმ ეზოში მუდამ კოინდარი ბიბინებდა, ვარდები, გიორგინები, ნარგიზები და სხვა ყვავილები ყელყელაობდნენ გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ალაგ-ალაგ ხეხილი იდგა, ერთგან ვაზის პატარა ხეივანიც გაფურჩქნულიყო. სამზადიდან სახლამდე ბეტონის ვიწრო ბილიკი სწორედ ამ აყვავებულ ეზოს ჰკვეთდა. მამიდა ამ ბილიკზე გადი-გამოდიოდა მუდამ აჩქარებული ნაბიჯით — ვენახსა და ბოსტანს უვლიდა, ქათმებს საკენკს უყრიდა, წყაროდან წყალი მოჰქონდა. სამზადშიც ძირითადად ის საქმიანობდა, რადგან რძალი, საოცარი ხელის ქალბატონი, მთელი დღე საკერავ მანქანას უჯდა, ვინაიდან ჩვენი მხარის ყველა ქალსა თუ ქალიშვილს მხოლოდ მისი შეკერილი კაბები მოსწონდა... მისი წყალობით მე და მამიდას შვილიშვილი, მეცხრე-მეათე კლასელი ბიჭები, ჩვენზე უფროს ქალიშვილებს სიამოვნებით ვათვალიერებდით. თან ისიც გვხიბლავდა, რომ ისინი დღისით იმ ოთახში ისინჯავდნენ ახალ კაბებს, სადაც ჩვენ ღამით ვიძინებდით. ზოგიერთის, მეტად მოწონებულების, ანარეკლებს სარკეშიც კი ვეძებდით. მათი აჩრდილები დაფარფატებდნენ ჩვენს ფიქრებსა თუ სიზმრებში და ბოლოს იმერეთის მზიან ზეცას ერწყმოდნენ ბავშვობის დღეებთან ერთად...

მამიდა სამი მყავდა, უფროსი ჩვენს სოფელში, ახლოს იყო გათხოვილი, მონაგარში ჩამჯდარი. უმცროსიც, რომელზეც ამბობდნენ, ყველაზე ლამაზი იყოო, ჩვენსავე სოფელში ყოფილიყო გათხოვილი და უდროოდ წასულიყო ამ ქვეყნიდან. ახლაც მგონია, რომ ჩვენს ეზოში მოსული ტყის იები ჩემი უმცროსი მამიდის მოშენებულია...

ამჯერად მესამე მამიდაზე მოგითხრობთ. ის მეზობელ დიდ სოფელში იყო გათხოვილი და ჩვენთან რადგან რვაწლიანი სკოლა იყო, საშუალოს დასამთავრებლად მათთან გადავედი. მამიდა კარგად მოწყობილ ოჯახში, შვილთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობდა. მას დიდი წვალება ჰქონდა გამოვლილი. მეტად მშრომელი, ენერგიული, მოსიყვარულე, ამასთანავე მკაცრი, მაგრამ ყველას გამკითხავი იყო... ამის მაგალითად კი ერთ ამბავს გავიხსენებ: ერთხელ მეზობლად მცხოვრებმა ქვრივმა კაცმა რუსი ქალი მოიყვანა შინ — უცოლოდ ვეღარ გავჩერდებიო. მისმა ახლობლებმა და მეზობლებმა ახალმოყვანილს უნდოდ შეხედეს, ცხვირი აუბზუეს. არადა, ის საწყალი ქალი მოყვანისთანავე ავად გახდა — ლამის ლოგინად ჩავარდა. მეზობლებმა არ გაიხედეს მისკენ — ეგ უწესო ქალი იქნება, ადგეს და წავიდესო. მამიდამ თქვა, გაჭირვებულს დახმარება უნდაო — ახალმოყვანილის მქირდავებს მკაცრად დაუცაცხანა, ყოველ დღე სადილ-ვახშამი გადაჰქონდა ავადმყოფთან, შვილივით უვლიდა და მალე ფეხზე დააყენა. საბოლოოდ ის ქალი მართლა დაადგა თავის გზას და წასვლისას მხოლოდ მამიდას გამოემშვიდობა ცრემლმორეული. მამიდამ წყარომდე ჩააცილა და სამგზავრო ფულიც ჩაუდო ჯიბეში...

მთვარეულის გოლო მგზავრობა

შუაღამით ამდგარა და წასულა, დადგომია თოვლიან გზას მთებისკენ... ფეხზეც არ ჩაუცვამს, მხოლოდ წინდები ეცვაო. ან რას ჩაიცვამდა, ქალამნებს ამოისხამდა ვითომ მძინარე კაცი? თუ ბანდულებში გაუყრიდა ფეხს, იმასაც შეკვრა-ამოსხმა უნდოდა... სოფლის ზემოთ საყანეში რომ ასულა, თავის ნაკვეთში ყორე უშენებია ერთხანს (ამას კი ნამდვილად ადასტურებენ და ყორე თუ უშენებია, ქალამნებსაც ამოისხამდა, ალბათ). ჰო, თოვლში, თან რომ თოვდა კიდევ... მერე გზას დადგომია და ძველ სალოცავთან მისულა. კარგა ხანს უბორიალნია იქ, ჩამომჯდარა კიდეც, სანთლების ასანთებ ადგილას მდგარა. არა, სანთელი არ აუნთია, მაგის კვალი არ უნახავთ. ვერც აანთებდა იმ თოვაში, თუ არ გადაეფარებოდა ზედ...

მერე შედგომია ფერდობს. თოვლში, ნაკვალევზე შეუტყვიათ, რომ ნაეკლესიარს გაცდენილი შემობრუნებულა უკან, დამდგარა ერთხანს. ვითომ პირჯვარი გადაიწერა?..

მაღლა მთაში დიდი გამოქვაბულია, იქ ხომ არ აპირებდა ასვლას? ან კი ჰქონდა იმის აზრი, რომ რამეს უნდა შეფარებოდა თოვლის გამო? სიცივე რომ ეგრძნო, ხომ უნდა გამოღვიძებოდა?.. ვინ იცის, იქნებ უკვე სულად მავალს, ათბობდა კიდეც სუფთა, უკაცრიელი და იდუმალი თოვლის სამყარო!..

ალბათ, ყველა ადამიანს დაუდგება ხოლმე ასეთი დრო — ამ სოფლიდან გაცალკევების, რაიმე სიწმინდესთან ზიარების თუ ზეციერისკენ ლტოლვის. განსხვავება მხოლოდ ისაა, ვინ როგორ, რა მდგომარეობაში ან რის ფასად ეძლევა ამ ლტოლვას...

ჰოდა, შედგომია ფერდობს, უვლია დიდხანს თოვლში. იმ მთისთვის უქცევია გვერდი, სადაც გამოქვაბულია. ტბის თავზე ნაძვნარიან ფერდობზე აბობღებულა, ერთხანს დიდი ნაძვის ქვეშ შემყუდროვებულა. მერე აჰყოლია მაღლა, შიშველ კლდეზე ასულა... და იქ დარჩენილა... იქ უნახავთ საძებრად წასულებს დათოვლილ კლდეზე მიყინული... ჰო, თოვლში კვალს რომ არ გაჰყოლოდნენ, ძალიან გაჭირდებოდა მისი ნახვა, ალბათ, ვერც ნახავდნენ...

როცა ზამთრით გადათეთრებულ იმ მინდორსა და ტყეებს წარმოვიდგენ იქაურ ძველ სალოცავთან ერთად, უცნაური გრძნობით სავსე წარსულის ადამიანების გახსენებას ვცდილობ, ის მაინტერესებს, მათი ცხოვრების გზაზე, რა იყო უჩვეულო, განსაკუთრებული და გამორჩეული — სიწმინდესთან, მარადიულთან და ამაღლებულთან ნაზიარები...

ესეც ვითომ გამორჩეული, ერთი ჩვენებური მთვარეულის ამბავია...



ნიყვი სოკოთა მეფეა

„იმერეთს სოკონი
მრავალნი სხვადასხვანი,
გარნა ნიყვი არს,
რომელი აღმოხდების სპეტაკის
ბუდით, მერე გასქდების
და არს სოკო ნარინჯი მას
შინა, ფრიად გემოიანი“...

ვახუშტი ბაგრატიონი
აღწერა სამეფოსა საქართველოსა

ნიყვი — სოკოთა მეფე, ყველაზე გამორჩეული სოკო სილამაზით, გემოთი და ყუათიანობით. მოდის ზაფხულსა და შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოში, უმეტესად იმერეთში... ოკრიბაში ზოგჯერ სოკონითელს ეძახიან, გურიაში — სოკოკვერცხას, სულხან-საბა კვერცხიგულად მოიხსენიებს...

ჩვენი ქვეყნის გარეთ მოდის ალაგ-ალაგ გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ინდოეთში, ამერიკაში... ევროპულ ენებზე მეფის სოკო ჰქვია...

ნიყვი მას მერე მომაქვს შინ, რაც ფეხი ავიდგი... ჩემი სახლის მაღლა, ტყემდე, თითქმის გზის პირას ერთი კვინცხის ბუჩქია, იმის ქვეშ ვნახულობდი ხოლმე. სულ პატარა რომ ვიყავი — ვნახავდი ერთს, დავავლებდი ხელს და გამოვიქცეოდი შინ გახარებული. მოვიტანდი, მერე ისევ ავიდოდი და იქვე მეორეს ან მესამეს აღმოვაჩენდი... მერე მაღლა და მაღლა დავიწყე ასვლა ფერდობზე და მეტი მომქონდა ხოლმე...

შემოდგომის ნიყვობისას მშობლები გამაღვიძებდნენ ადრე, სკოლაში წასვლამდე, აირბინე, იქნებ ნახოო... ავედი ერთხელ ბინდში, არის პატარა კუნელის ძირას ორი ცალი, დიდი კუკურები, უკვე გაშლილები... დავიძახე — ერთი, ორი!.. ავიყვანე, წამოვიღე, დედაჩემი მეუბნება სიცილით, რომ დაიძახე, იმდენი გვეგონა, მამას კალათით უნდოდა ამოსვლაო...

თუმცა კალათისთვის დაძახებაც დამჭირვებია. ერთხელ, მოზრდილი ვიყავი მაშინ, ავდექი ადრე, დავიბანე პირი და წავედი ტყისაკენ, ისე რომ არც არავის გაუგია შინაურებს. ავედი ჩემს ტყიან ფერდობზე, რამდენიმე ცალი ნიყვი ვნახე. გადავედი მეორე მხარეს, მივედი სამ მუხასთან და რას ხედავ — მოწითლებულია მიწა. დიდები, გაშლილები, ბევრი. არა, კალათი არ მიმქონდა ხოლმე, თუ შორს არ მივდიოდი. დავუძახე იქიდან ჩემს ძმას, კალათი ამოიტანე-მეთქი, გაიგო მთელმა სოფელმა ფერდობიდან ჩემი გადმოძახილი. გამომეხმაურა ძმაც, ამოვიდა გახარებული კალათით, მე ლოგინიდან ამდგარიც არ მეგონეო, მითხრა... ცოტა დააკლდა კალათის გავსებას და წავედით სხვაგან, გავავსოთ იქნებო... დავადგით მართლაც თავი. ჩემს ძახილზე, გამოქცეულა ბევრი ტყისაკენ, მაგრამ ჩვენ ვინღა მოგვასწრებდა რამეს?..

ერთხელაც გვიან ავდექი, ზაფხულის დილას ძილი გამოვიყოლე, თუ დამეზარა ლოგინის მიტოვება. თერთმეტი საათი იქნებოდა, გავწიე ჩემი ტყიანი ფერდობისაკენ, ნიყვისთვის, რა თქმა უნდა. დედა სამზადში საქმიანობდა, მამა ფარდულში მუშაობდა — დამცინავად შემომხედა და ჰო, მიდი, ნახე, ბევრი დაგხვდება, მოიარეს უკვე მეზობლებმა მუხნარი, სანიყვე ადგილებიო... ვნახოთ, იქნებ დარჩათ რამე-მეთქი, ვთქვი დარცხვენილმა. ავაბიჯე გზიდან ტყის პირზე და... ვხედავ მაშინვე, ხუთიოდ მეტრში ბუჩქში წითლად მოჩანს რაღაც... მივედი, რა თქმა უნდა, ნიყვია, დიდი, ძალიან დიდი, თან სქელი, ავიყვანე გახარებულმა... ჰო, ჩვენ სოკოს, განსაკუთრებით ნიყვის, აღებას მიწიდან „აყვანას“ ვეძახით, აქაც ჩანს მისი მნიშვნელობა, მის მიმართ სათუთი დამოკიდებულება და ძვირფასად მიჩნევა... სრულიად შეუსაბამოა ნიყვზე თქვა, „მოვკრიფეო“ ან „შევაგროვეო“. ერთ ცალზე ვამბობთ — ავიყვანეო, ბევრზე ვიშოვეო... ჰო, სწორედ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩანს ამ სიტყვებში... ჰოდა, ავიყვანე, მოვიარე სხვა ადგილებიც, მაგრამ აღარ იყო მეტი, სხვასაც ხომ უნდოდა, მეზობლებმაც ხომ მოათვალიერეს იქაურობა? საკმარისი იყო ესეც, ჩამოვედი შინ ათიოდე წუთში, დაინახა მამაჩემმა — სად იყოო, როგორღა დარჩა იმ ხალხსო, თან რა დიდიაო! — გაუკვირდა, გაეხარდა, შემაქო... დედაჩემიც გახალისდა, გარეცხა მაშინვე, დაანაწილა და დააწყო ტაფაზე, — გაავსო თითქმის დიდი ტაფა — შეწვა და ნიგოზში მოამზადა, ოჰ, ძალიან კარგია ნიგოზშიც...

ჩემი ტყის თავზე, მომცრო მინდორზე ერთხელ პატარა საკარტოფილე შემოვღობე, დავამუშავე, დავთესე, მაგრამ გათოხნის დრო რომ მოვიდა, არ ვიყავი სოფელში. მამაჩემი ასულიყო გასათოხნად. ყანის შუაში პატარა კუნელის ბუჩქი დამრჩა ამოუძირკვავი და იმის ქვეშ ანათებს თურმე წითლად დიდი ნიყვი... ჯერ გაკვირვებია, ყანაში ნიყვს რა უნდაო? იმ ადგილას არ მოდიოდა ადრე, მიწა რომ გაფხვიერდა მერე ამოსულა. ჰო, მისულა ახლოს და სხვებიც უნახავს, პატარები — ყანაც გაუთოხნია და ნიყვიც უშოვია იმავე ყანაში. საკარტოფილე მალე მოვშალე იმ ადგილას, ცოტა მოდიოდა, სამიოდე წელი მქონდა. სამაგიეროდ ახლა ნიყვი მოდის კარგად. ვფიქრობ, მიწის დამუშავება მოუხდა, მეც ბევრს ვნახულობ და მეზობლებიც...

რადგან მამაჩემი ვახსენე, აქვე მოვიტან მის მოგონებას გერმანიაში ნაპოვნ ნიყვებზე. მამაჩემი, ბიქტორ გიორგის-ძე ჩიღვინაძე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო, სამწლიანი სავალდებულო რომ დაამთავრა საბჭოთა ჯარში, დაბრუნდა შინ და სამ თვეში ომიც დაიწყო. ბრძოლით იარა ჩრდილო კავკასიიდან გერმანიამდე. ჰოდა, გვიყვებოდა ხოლმე: გერმანიაში რომ შევედით, მუხნარში ვართ დაბანაკებული და ერთხელაც გავიარე ტყეში და ვხედავ, მოფენილია ნიყვებით, გამიხარდა, მოვაგროვე, მერე ამხანაგებიც მოვიხმარე, კიდევ მოვძებნეთ და მოვიტანეთ ბანაკშიო. ჩემთან ძირითადად რუსები იყვნენ, მეკითხებოდნენ, რა სოკოა, არ მოგვწამლოს, თორემ ვერ გადაგვირჩებიო. მე დავამშვიდე, დავანთეთ დიდი კოცონი, შევწვით ზოგი ნაკვერჩხლებზე, ზოგი რაზეც მოგვიხერხდა და სიამოვნებით მოვირთვით. ყველას ძალიან მოეწონა და დამიწყეს ქება, ყოჩაღ, ქართველოო...

ნიყვზე ადრე მიდიან ხოლმე, თითქმის გათენებამდე, მე შეიძლება ადრე არ წავიდე, მაგრამ ჩემი წილი ყოველთვის მხვდება, შუადღესაც რომ წავიდე, ყოველთვის მინახავს ხოლმე დალოცვილი ტყე, ჩემი მშობელი და ახლობელი... უფრო მეტად დილით ავალ ხოლმე სახლის ზემოთ ფერდობზე, მუხნარსა და მის ნაპირებზე, ვნახავ იმდენ ნიყვს, საუზმედ მაინც რომ მეყოს... ნახვა უფრო საამოა, ვიდრე მირთმევა, მონადირის ჟინია აქაც... ნახევარ საათში უკვე შინა ვარ, გავრეცხავ, დავაწყობ ტაფაზე, შევწვავ, მეზობლებსაც დავუძახებ ხანდახან, შევექცევით და ვაქებთ, ვაქებთ, ვაქებთ მთელი ცხოვრება — ოჰ, როგორიაო, ოჰ, რა გემრიელიაო, შემწვარ ქათამს გადადებ გვერდზე ამის პატრონიო, შემწვარ გოჭსაც გადადებო, ჰა და ჰა, ჩვენებური კალმახი თუ შეედრება მარტოო, თუმცა კალმახს თავისი ადგილი აქვს და ნიყვს თავისიო, არა, კალმახსაც სჯობიაო, ამის ფასი არაფერიაო — ვაქებთ და არ გვწყინდება მისი ქება, არ გვწყინდება, იმსახურებს და იმიტომ...

წიგნების სუნი

დედის ხსოვნას

ასე, 12 თუ 13 წლის ვიქნებოდი, ზაფხული იწურებოდა, სოფლის მაღაზიაში სასკოლო წიგნები მოეტანათ. დედაჩემი ყოველთვის ცდილობდა, რომ ყველა წიგნი ეშოვა ჩემთვის. ახლაც გაქცეულა, რიგში ჩამდგარა სასწრაფოდ და ყველა ახალი წიგნი მოუტანია... საიდანღაც მოსულს ჩემს ოთახში მაგიდაზე დამხვდა ახალი სახელმძღვანელოები ქაღალდის, წებოს, მუყაოს სპეციფიკური სუნით. როგორ გამახარა მათმა დანახვამ, როგორ მესიამოვ-

ნა მათი სუნი, როგორ მომხიბლა მათმა ფერადმა ყდებმა! — მთელი ზაფხული ჩემს მთებსა და ტყეებში ნახეტიალები ამ სიახლემ აღმაფრთოვანა — ავიტაცე წიგნები და გულში ჩავიკარი... და სამუდამოდ წიგნებთან დავრჩი — ისე წავიდა ჩემი ცხოვრება... სკოლის შემდეგ უნივერსიტეტი, მერე გამომცემლობებში მუშაობა და წიგნები, წიგნები, წიგნები... ხანდახან მეც ვწერ რაღაცას, ჩემი ნაწერებიც იქცნენ წიგნებად და ასე მოვდივარ მათთან ერთად... ჰო, ის მთები და ტყეები არასდროს მავიწყდება, იქ ხშირადა ვარ, მათ ჩემს წიგნებშიც ნახავთ...

სალოცავის წყარო

მოილაპარაკეს სოფელში: მაღლა, ძველ სალოცავთან რომ კარგი წყაროა, ის ჩამოვიყვანოთ და დავირიგოთ ეზოებშიო.

წყაროები სხვებიც მრავლად იყვნენ იმ ტყიან ფერდობზე, მაგრამ მაინც იმას ამჯობინებდა ყველა.

— არ ივარგებს ეგ საქმე, ის წყარო სალოცავისაა. მისგან მოშორებით, ფერდობზე, სოფელთან უფრო ახლოს სხვა წყაროებიცაა, — შეახსენა კაცებს მარიამმა.

— კარგი, ბებო, გვაცალე საქმეო, — ჩაიღიმეს მეზობლებმა.

— გაცლით, მაგრამ ტყუილად მოცდებითო, — თქვა მოხუცმა.

წყაროს ადგილას პატარა ავზი გააკეთეს, გაჭრეს არხი, ჩააწყვეს მილები და შეიყვანეს სალოცავის წყალი ეზოებში.

ერთ დღეს კარგად იდინა, მეორე დღეს დაიკლო, მესამე დღეს წანწკარითღა მოდიოდა, მერე სულ შეწყდა. მილი არსად ჩანდა გახეთქილი. სათავეს მიადგნენ და ნახეს, რომ დამშრალიყო წყარო.

გაუკვირდათ. მოშორებით მონახეს სხვა წყარო. სალოცავის წყაროს კი მილები მოხსნეს და... რამდენიმე დღეში ისევ წამოვიდა მხიარული რაკრაკით...

ჩვენიანები გრაკალის მკითხავთან

დილის ბინდში დადგომია მოხვიდან შორ გზას დანაკარგით შეწუხებული სამი კაცი. ათანასს ჩაუვლია დარისპანისთვის, უფრო დაბლა ანთიმოზი დახვედრიათ, გაღმიდან მომავალი. მაგრამ სანამ ანთიმოზამდე მივიდოდნენ, ჩიღვინაძეების წყაროსთან დარისპანს წაფიფქულ ყინულზე გაცურებია ფეხი, მძიმედ დაცემულა და უნებურად წამოუძახნია:

— ოჰ, იმ მკითხავის დედაც ვატირე, ის რომ არა, ეს ხომ არ მომივიდოდაო!..

— მკითხავმა რა დაგიშავა, კაცოო?! — უთქვამს ათანასს და წამოუყენებია თეძონატკენი თანამგზავრი

ნახევარი დღის მერე ჩაუღწევიათ მოხველებს გრაკალში და მკითხავის ეზოში ბლომად გამწკრივებული ხალხის რიგის ბოლოში დამდგარან.

ცოტა ხნის შემდეგ გულთმისანი გარეთ გამოსულა და დაუძახნია:

— ანთიმოზ, შენი საქმე საჩქაროა, დრო არ ითმენს, თან შორიდან ხარ ჩამოსული, შემოდი ჩემთან, ათანასიც გამოიყოლე. შენ კი, დარისპან, ამ დილით სულ ტყუილად რომ შემაგინე, აქ შემოსვლას ვერ ეღირსებიო.

გაკვირვებიათ შორიდან ჩასულებს, საიდან იცის ჩვენი სახელებიო. ანთიმოზს და ათანასს დანანებით შეუხედავთ შეცბუნებულ-გახევებული დარისპანისთვის და უსიტყვოდ დაძრულან მკითხავისკენ.

დაუსვამს მაგიდასთან მოხველები მკითხავს, წაიხემსეთ, სანამ ვისაუბრებთ, დაღლილი იქნებითო. მოსაკითხზე მადლობა უთქვამს და გვერდით მიუდევს.

— თქვენს ღორებს ნუღარ მოძებნით, ჩემო ათანას, შეჭმულია უკვე და ახლა მე რომ მომპარავების სახელი გითხრა, ისინი არც ზარალის გადამხდელები არიან და ტყუილად მტრობა ჩამოვარდება თქვენს შორისო... შენი ცხენი ქედის გადაღმა ამა და ამ სოფელში, ამა და ამ კაცს ყავს, ჩემო ანთიმოზ, ხვალ დილით გასაყიდად მიჰყავს, უნდა გადაუსწრო, თორემ მერე ვეღარ მიაგნებო...

დამშვიდობებიან მადლიერებით მკითხავს მოხველები, თან მორიდებით უთქვამთ, იქნება დარისპანს აპატიო და მიიღოო, მაგრამ არ ექნა, მაგის გასაჭირს მე მაინც ვერ ვუშველიო...

ანთიმოზის ვაჟი მეორე დღის დილას იმ დროს მისულა ქურდთან, შეკაზმული ცხენი რომ უნდა გაეყვანა ეზოდან. დახვედრია ჭიშკარში და უკითხავს:

— გეტყობა, გასაყიდად მიგყავს ეგ ცხენი და მე ხომ არ მომყიდიო?

გაკვირვებია იმას, ვინაა ეს უცხო კაციო, მაგრამ უთქვამს ფასი.

— კაი, მარა ჩემი რომაა ეს ცხენი, არ უნდა დამიკლო ცოტაო? — გასცინებია სტუმარს, მერე დაუმტკიცებია სხვადასხვა ნიშნით, მართლა მისი რომ იყო ცხენი, მოუკიდნია აღვირისთვის ხელი და გამოუწევია.

გახევებულა დამხვდური. ამას შეცოდებია ის უკეთური კაცი, ამოუღია, რაც ჯიბესი ფული ჰქონოდა, მიუცია და თან გაუფრთხილებია, მსგავსი რამ აღარ გაბედოო.

აღდგომელა გლოველი
მოხვაში დარჩენილი ამბები. ბუჭუ კუჭაშვილის ნაამბობი

უძლიერესი რაჭველი ვაჟკაცი, ცნობილი და დაუძლეველი თამადა, შქმერელი აღდგომელა გლოველი მეოცე საუკუნეში ცხოვრობდა. მასზე საოცარი თქმულებებია დარჩენილი, ერთ კოკა ღვინოს სვამდა თამადობამდე ან სუფრის მოლევის შემდეგ...

ჩვენთან, საჩხერის რაიონის სოფელ მოხვაში, აღდგომელას ქალიშვილი ჰყავდა გათხოვილი ოქროპირ კუჭაშვილზე და მათი ხშირი სტუმარი იყო. ერთხელ მარტო ახლადმოყვანილი პატარძალი დახვედრია შინ, ოჯახის სხვა წევრები და მათ შორის აღდგომელას ქალიშვილი, მოშორებით მდებარე ვენახში ყოფილან სამუშაოდ. პატარძალი მარჯვედ დატრიალებულა, უცებ კარგი სუფრა გაუშლია სტუმრისთვის და ზედაც ღვინით სავსე მოზრდილი დოქი შემოუდგამს. ცოტა ხანში სამზადიდან შესულს კიდევ რაღაც შეუმატებია და თან დოქისთვის წაუვლია ხელი, დაისხით ბატონოო. მაგრამ დოქი ცარიელი შერჩენია. ვაიმე, ცარიელი დოქი მომიტანია, ბოდიშიო, უთქვამს შეცბუნებულს. არა, შვილოო, გაღიმებია აღდგომელას, ეგ სამწყურვალოდ (წყურვილის მოსაკლავად) დავლიეო. გაკვირვებულ პატარძალს ისევ შეუვსია დოქი. აღდგომელა მარტო ხომ არ დაიწყებდა ქეიფს, კარგად უსადილნია, რამდენიმე ჭიქით პატარძალი და ოჯახი უდღეგრძელებია და მადლიერებით დამშვიდობებია მასპინძელს.

*

აღდგომელა საზანაოში მიდიოდა თურმე, იქ ღვინოს ყიდულობდა ხოლმე. გზად ზოდელ კაცს დამგზავრებია, გვარად გიორგაძეს, რომელსაც ღვინო მიჰქონდა გასაყიდად ფუთნახევრიანი ტიკით. აღდგომელას ლაპარაკი გაუბამს, გაუცვნიათ ერთმანეთი და მერე უკითხავს, რამდენია შენი ღვინო და როგორ ჰყიდიო? ფუთნახევარიაო, უთქვამს გიორგაძეს. ჰოდა, მე მომყიდე ბარემ, ფულიც მაქვს აგერ ჯიბეში და თან ძალიან მოწყურებული ვარო. ზოდელს უთქვამს, წყურვილის მოსაკლავად ისე დაგალევინებ, შე კაცოო. არა, მე წყურვილს ცოტა არ მომიკლავს, ეგ ტიკი სულ უნდა დავცალო, ჯობია მომყიდოო. ზოდელს გასცინებია, შენ თუ ამას სულ დალევ, არაფერი მინდა შენი, ღმერთმა შეგარგოსო. კარგიო, უთქვამს აღდგომელას, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოსო, უთქვამს და მოუყუდებია პირზე ტიკი, დაუყვანია ნახევრამდე, ერთი შეუსვენებია, მეორე სადღეგრძელოთი ღვინის პატრონი და თავისი თავი უდღეგრძელებია, დაუცლია ტიკი და დაკეცილი მიუცია პატრონისთვის.

გაკვირვებულა ზოდელი, ბოლოს უკითხავს, თამადობა თუ გეხერხებაო? გამორჩეული თამადა ვარო, გასცინებია აღდგომელას. მაშინ ერთი სათხოვარი მაქვს, ამ შაბათს შვილის ქორწილი მაქვს, ახალ მოყვრებს ცნობილი თამადა მოჰყავთ, აბაშიძე, თუ კარგად ითამადებ და იმასაც დაათრობ, ორი ცხენის საპალნე ღვინოს გაგატან რაჭაშიო. კარგიო, უთქვამს აღდგომელას, იმასაც დავათრობ და ქორწილის შემდეგ დამატებით ერთ ჩაფ ღვინოსაც დავცლიო. მართლაც დათქმულ დღეს სტუმრებია ოჯახს, კარგადაც უთამადნია, აბაშიძეც დაუთვრია და ბოლოს ყველას გასაკვირად ერთი ჩაფი კიდევ დაუყოლებია... მასპინძელს აუკიდნია ორი ცხენისთვის დათქმული საპალნე და სტუმარს მადლიერებით დამშვიდობებია.

*

ერთხელ აღდგომელას სოფელ სარეკში გამოევლო. იქაურები ქეიფობდნენ თურმე და შორს მიმავალი მგზავრიც მიუწვევიათ. სუფრასთან ღვინით სავსე ჩაფი მდგარა, გაგონილი ჰქონიათ მისი ამბავი და შეუთავაზებიათ, თუ დაცლი, ას მანეთს მოგცემთო. დავცლიო, უთქვამს აღდგომელას. დანიძლავებოდნენ სარეკლები — თუ ვერ დაცლი, შენ უნდა მოგვცე ასი მანეთი, თან წვეთი არ უნდა დაგექცესო. კარგიო, უთქვამს, დაქცევა რომ არ დამაბრალოთ, დიდი ძაბრი მომეცით, პირში ჩავიდებ და თქვენ ჩაფით ჩამასხით ღვინოო. ასეც მოქცეულან, ჩაუდევს პირში ძაბრი, ასხამენ სარეკლები და სვამს აღდგომელა. გაკვირვებულები არიან, სად ჩასდის ამ ოხერს ამდენი ღვინოო... რომ შეჩერებულან, ამოუხედავს აღდგომელას, — გათავდა, აღარ არისო? — უკითხავს. გათავდა, გახეთქა შენი მუცელიო, უთქვამთ გულშემოყრილებს, არ ელოდნენ მისგან ჩაფის დაცლას თურმე, მიუციათ იქვე შეკრებილ-ნასესხები ასი მანეთი და წამოსულა შქმერელი გოლიათი გამარჯვებული...

აღდგომელას სახელი და საქმენი ცნობილი იყო ხალხში. ჩვენში ვინმე ბევრ ღვინოს ან თუნდაც წყალს რომ დალევდა, ეტყოდნენ ხოლმე, რა იყო, შე კაცო, აღდგომელა ხომ არა ხარო?..

„ყმაწვილი ქალი არვის იკარებს“...

რაჭაში, მრავალძალში გადავედით ზემო იმერეთიდან, მოხვიდან, მთელი ოჯახი — მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი ძმები და მე. მოვილოცეთ სოფლის თავზე მრავალძლის წმინდა გიორგის სალოცავი, შესაწირი შევწირეთ და მერე სოფელში ჩავედით ახლობელთან. ნაწვიმარზე მზემ გამოანათა და თვალისმომჭრელად აალაპლაპა ფერდობს შეფენილი სახლების სახურავები... სოფლის თავში ჭიშკრიდან შუახნის ქალი გამოვიდა, შედგა, ერთი მოგვხედა და ჩვენ წინ დაადგა სველ გზას. მამაჩემი უცნობს დააკვირდა და მერე თავისთვის ჩაილაპარაკა, ეჰ, წასულა ამის დროც უკვეო... ვისი დრო წასულაო? — ჰკითხა დედაჩემმა. ვისი და იმ ქალბატონის, ეგერ ჩვენს წინ რომ მიცუხცუხობსო, უპასუხა მამამ...

ამასობაში წინ მიმავალი ქალი ისევ შედგა, შემობრუნდა, ჯერ ყველას მოგვავლო თვალი, მერე მამაჩემს დააკვირდა და რომ მივუახლოვდით, ღიმილით ჰკითხა:

— ვიქტორი არ ხარ, ბატონო, შენ?..

— ჰო, მე ვარ, თალიკო, ველარ მიცანი?

— გიცანი, რავა არ გიცანი, — ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, — შენი ცოლ-შვილი იქნებიან ესენი, ხომ? — ისევ შეგვავლო თვალი თალიკომ.

— კი, ჩემი ცოლ-შვილი გახლავს, თალიკო, შენ ვერ მოგახედე ჩემსკენ და უცოლო ხომ არ დავრჩებოდი! — უთხრა ღიმილით მამაჩემმა.

— ეჰ, კარგი იყო, მომეხედა, ჩემო ვიქტორ, ამაყი ვიყავი, ვითომ არავის ვიკარებდი და დავრჩი ასე...

— რავა, არ გათხოვილხარ, თალიკო?

— არა, არ გავთხოვილვარ, დამღუპა ჩემმა სიამაყემ, ამიხდა შენი სიტყვები, გახსოვს როგორ მომილექსე? – „ყმაწვილი ქალი არვის იკარებს, რომ დაბერდება მწარედ ინანებსო“...

— მახსოვს და ნამდვილად არ მეგონა, თუ შენისთანა კარგი გოგო გასათხოვარი იქნებოდა ისევ, — უთხრა მამაჩემმა, — მარა მომავალი წინ გქონია, იმედი არ უნდა დაკარგო, თალიკო...

— კაი ადამიანი ხარ შენ, ისევ გულს მიკეთებ, გაიხარე მაგ შენ ცოლ-შვილში, ჩემო კარგო, შეგეწიოთ მრავალძლის წმინდა გიორგი!..

კიდევ ისაუბრეს ცოტა ხანს და დავემშვიდობეთ რაჭველ შინაბერას...

ლალი ავალიანი

ვანლერ დაისელის დაბრუნება

ახლახან პოეტ ვანლერ დაისელის ხელახალი „აღმოჩენის“ მომსწრენი გავხდით. შემდგენელ-რედაქტორის, ლევან ჟვანიას დიდი ძალისხმევით გამოიცა მისი ორი წიგნი: 2018 წელს — „მზის სისხლი“, დღემდე ყველაზე სრული კრებული, ხოლო 2019 წელს — „გადამტყდარი რკალი“, ფაქტობრივად, რჩეული ლექსები. „მზის სისხლს“, გარდა ვანლერ დაისელის ადრე გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ლექსებისა, წერილებისა და ესეებისა, თან ახლავს ლევან ჟვანიას ვრცელი წინასიტყვაობა; შსს არქივში მოპოვებული დოკუმენტები; ბოლოსიტყვაობის სახით, ლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსი — ადა ნემსაძისა და ნინო ხოფერიას უაღრესად საინტერესო წერილები: „ვანლერ დაისელი და მისი „სომნამბულები“ და „ვანლერ დაისელის „ანტითეატრი“. აღსანიშნავია იკონოგრაფიული მასალაც — პოეტის მიერ გამოცემული წიგნაკების გარეკანი, ფოტოები და სხვა. ეჭვს არ იწვევს ძველი წიგნაკების გაფორმების სიახლოვე ფუტურისტულ-კუბისტურ მხატვრობასთან. ამ მხრივ გამორჩეულია „გადამტყდარი რკალიც“: მის შინაარსს ჩინებულად მიესადაგა გარეკანი, „ქართველი პოლონელის“, ცნობილი ფუტურისტი პოეტის, ილია ზდანევიჩის უფროსი ძმის, ერთ დროს ავანგარდიზმით გატაცებული მხატვრის, კირილე ზდანევიჩის გრაფიტით შესრულებული ნახატი „ვენერა“.

თავის დროზე გალაკტიონმა გამოარჩია ვანლერ დაისელის 1929 წელს გამოცემული წიგნი „ბალადა დაღუპულ ვეფხვზე“, ისიც შენიშნა, რომ „ამ წიგნში დასაფასებელია პოეტის მისწრაფება წიგნის ლამაზად გამოცემისათვის, ყდის შერჩევა...“ მართლაც, ასეა.

შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებული ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძის) სახელი მისი სავარაუდო გარდაცვალებიდან (1932) ტოტალიტარიზმის მძვინვარების დაცხრომამდე, ეგრეთ წოდებულ პერესტროიკამდე, შემოინახა „ბალადამ ტფილისთან მოკლულ ვეფხვზე“, დაწერილმა 1928 წლის მაისში (შესაძლოა 26 მაისის გასახსენებლადაც); ეს იყო აშკარა ანტისაბჭოთა ლექსი, „რეპრესირებული“ თუ „დახვრეტილი“ პოეზიის (რევაზ კვერენჩხილაძე) თვალნათლივი ნიმუში. გალაკტიონმა ზემოხსენებულ ჩანაწერში პიეტეტიც გამოამჟღავნა ბალადის მიმართ — „მრავალი ადგილებია პირდაპირ კლასიკური“ — თუმცა ისიც დასძინა, „ეს ყველაფერი თეთრი ძაფებით შეკერილი პოლიტიკაა... მაგრამ საბოლოო ანგარიშში უსათუოდ — კონტრრევოლუციონურიაო“.

→

ლალი ავალიანი

ვანლერ დაისელის დაბრუნება

დასასრული

სწორედ ეს საბედისწერო ლექსი გახდა ჩეკას მიერ ისედაც მიზანში ამოღებული ვანლერ დაისელის დასასრულის დასაწყისი: „1930 წელს (შესაძლოა, 1929-შიც) მეტეხის ციხის კედლები ახეხინეს... ბალადაში (დაიბეჭდა 1929 წელს) 1924 წლის აჯანყების ჩახშობისას დახვრეტილ ვალიკო ჯუღელს გულისხმობდიო (ვალიკო ჯუღელი — დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო გვარდიის შტაბის უფროსი, შემდეგში — სარდალი)“ (რ. კვერენჩხილაძე, „წამების გზა“, წ. I, 2014). ვიქტორ გაბესკირიას მონათხრობიდან: „ვანლერმა მითხრა — პოემა ვეფხვზე კი არ დამიწერია, მე ვალიკო ჯუღელი მედგა თვალწინ, როცა ვწერდიო“.

ივანე ბაბუაძე მენშევიკების თანამოაზრეობის გამო პირველად ბათუმში, 1922 წელს დააკავეს, თუმცა ხელწერილით გაათავისუფლეს; მეორედ — 1923 წელს თბილისში ორი თვით იყო დაპატიმრებული; მესამედ — 1925 წელს თბილისშივე მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით (მასალა შსს არქივში მოიძია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა, ფილოლოგიის დოქტორმა ადა ნემსაძემ). ამჯერად მისი დაკავება უკვე ერთიანად პოეზიასა და ორგანიზატორულ საქმიანობაში დანთქმული ვანლერ დაისელის მიერ სალიტერატურო ორდენის — „სომნამბულების“ დაარსების მცდელობას დაემთხვა. ეს იყო აშკარა ანაქრონიზმი, დონკიხოტური, თავზეხელაღებული, „ავანტიურისტული“, იმავდროულად, გულუბრყვილო გაბრძოლება რადიკალური მოდერნისტული გამომწვევი სახელწოდების ჯგუფის შექმნისათვის, რაც მხოლოდ მარცხით შეიძლებოდა დასრულებულიყო.

1925 წლის 27 იანვარს თბილისის საზოგადოებას აფიშით ეუწყა ახალი ლიტერატურული ორდენის დაარსება: „ექსტრაორდინალურათ. სომნამბულები ტფილისში. საქართველოში ჩვენ ვაწყობთ პირველ პროცესიას, ეს არის „პოეტები ბალდახინზე“. დარწმუნდით, რომ საჭიროა კატასტროფა: ანთება: გადარევა. ეს არის ავადმყოფ მსოფლიო ხერხემალის გადატეხა „სომნამბულებით“. ამისთვის ჩვენ მოგვაქვს „ბალდახინი“ ტფილისიდან. დარწმუნდით: იწამეთ: იხილეთ: პირველი ჩვენება პოეზიის ჟრუანტელის იწყება „სომნამბულების“ გამოცხადებით: ჩვენი ჭრილობა: დავმარცხდებით (ცხადია, კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს „დავამარცხებთ“ — ლ. ა.) უთუოდ ყველა პოეტებს, და მიმართულებებს. შეიძინეთ თვითმკვლელობა. 30 იანვარს დასაღამოვდება არაჩვეულებრივად.“ ხელისმომწერნი იყვნენ: შანგო პოლიუს, ვანლერ დაისელი, კლიმენტი თევზაძე და დავით ფერაძე. ზემოხსენებულ „უწყებას“ მოჰყვა უფრო ვრცელი „წესდება“, თუმცა „სომნამბულების“ პათოსი უფრო გამოკვეთილად აფიშიდან ცნაურდება. აფიშის ტექსტი თითქმის მთლიანად ეფუძნება ალუზიებს თუ რემინისცენციებს „ცისფერყანწელთა“ რიტორიკიდან.

ფსევდონიმი „დაისელი“, უეჭველია, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსთა ციკლით „დაისები“ არის ინსპირირებული. შესაძლოა, ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად ავტორმა „ვანლერიც“ „ვალერიანს“ მიუახლოვა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ცისფერყანწელთა“ ერთ-ერთ ლიდერს, ვალერიან გაფრინდაშვილს, აქვს ლექსი „სომნამბულა“, კიდევ უფრო საცნაური გახდება ვანლერ დაისელის უპირობო პიეტეტი მის მიმართ.

მწერალმა დათო ტურაშვილმა, რომელსაც არასდროს გაუმჟღავნებია ქედმაღლური დამოკიდებულება XX საუკუნის „საბჭოთა ავტორებად“ უსამართლოდ მონათლულ შემოქმედთა მიმართ, საქართველოსა თუ ქართული ლიტერატურის ისტორიათა ჩინებულად მცოდნემ და პოპულარიზატორმა, ტელეგადაცემაში გულისტკივილით მოიხსენია ვანლერ დაისელი და წარადგინა მისი ახლადგამოცემული „მზის სისხლი“ (2018). ერთ-ერთმა თანაწამყვანმაც შეაწია სიტყვა მივიწყებულ ავტორს, თუმცა მისი ფსევდონიმის წყაროდ ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ დაასახელა — ჩემი აზრით, სრულიად უმართებულოდ.

აფიშა, ფაქტობრივად, მათი პირველი დეკლარაცია გახლდათ. უკომენტაროდ მოვიხმობ ოთხიოდე პარალელიზმს:

1. „საქართველოში ჩვენ ვაწყობთ პირველ პროცესიას, ეს არის „პოეტები ბალდახინზე“ — შდრ. ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსს „ოთახი ბალდახინი“ ან კოლაუ ნადირაძის პოეტურ კრებულს „ბალდახინი“ (1920 წელი, ქუთაისი);

2. ყოველი სიტყვის შემდეგ დასმული ორი წერტილი — საჭიროა კატასტროფა: ანთება: გადარევა... დარწმუნდით: იწამეთ: იხილეთ: — გრიგოლ რობაქიძის ორთოგრაფიასაც გვაგონებს და შინაარსით პაოლო იაშვილის „პირველთქმის“ პათოსსაც ეხმიანება.

3. „...მსოფლიო ხერხემალის გადატეხა „სომნამბულებით“ თითქმის ციტირებაა პაოლოსა და ტიციანის ლექსების თუ ესეების ფრაგმენტებისა, სადაც „ხერხემალის გადატეხის“ პრივილეგია მხოლოდ მათ მაესტროს — გრიგოლ რობაქიძეს აქვს მინიჭებული.

4. „შეიძინეთ თვითმკვლელობა“ — შდრ. ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსს „ბოჰემის მონოლოგს“: „სამარცხვინოა პოეტისთვის სხვა კარიერა, გარდა თვითმკვლელობის“.

მომდევნო, უფრო ვრცელი დეკლარაციის „წესდების“ ანალიზისას ადა ნემსაძე სამართლიანად დაასკვნის: „როგორც ვხედავთ, „სომნამბულების“ ესთეტიკურ შეხედულებებში რაიმე გამოკვეთილ მხატვრულ მეთოდსა და წერის სტილზე საუბარი არაა. ამ დროს ქართული მოდერნისტული სივრცე სავსეა სიმბოლიზმის, დადაიზმის, ფუტურიზმის, კონსტრუქტივიზმის, ექსპრესიონიზმისა თუ იმპრესიონიზმის ელემენტებით... შეიძლება ითქვას, ეს ტენდენციები ქართულ პოეზიაში უკვე იყო, ხოლო კონკრეტულად მათ მიერ შემოტანილი სიახლეების შესახებ საუბარი დღეს შეუძლებელია, რადგან მათ არ დასცალდათ მთავარი: მხატვრული პროდუქციის შექმნა“.

პირველი ლიტერატორი (აგრეთვე, ჩინებული ტელედოკუმენტალისტი), რომელმაც ლიტერატურულ მუზეუმში დაცული, ვანლერ დაისელის ყველასგან მივიწყებული არქივის მასალები შეისწავლა ნინო ხოფერია იყო: „თუკი ვანლერ დაისელის შემოქმედებას მისივე ეპოქის თანამედროვე ესთეტიკისა და აზროვნების არეალში მოვიაზრებთ, ლიტერატურულ გემოვნებას და კონტექსტებს ამავე საზომით განვიხილავთ, დავინახავთ უსამართლოდ დავიწყებულ ნაწილს მთელისას, რასაც შეიძლება პირობითად მეოცე საუკუნის დასაწყისის ავანგარდისტული ხელოვნება ვუწოდოთ“.

ორივე ლიტერატორი მიგვანიშნებს „სომნამბულების“ მიერ პოეზიის „მოციქულობის“ კადნიერ განცხადებას; „წესდება“ 12 „სომნამბულას“ წარმოგვიდგენს, მათ შორის ერთადერთ ქალბატონს — თამარ ცერცვაძეს. უეჭველია პარალელიზმი „ცისფერი ორდენის“ 13 წევრთან ცამეტი ასურელი მამის ანალოგიით; ნაწილობრივ გავიზიარებ ადა ნემსაძის მოსაზრებას: „ჯგუფის წევრთა რაოდენობა და გენდერული შემადგენლობა კიდევ ერთხელ აახლოებს მათ „ცისფერ ორდენთან“. გენდერული შემადგენლობის თვალსაზრისით „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი პირწმინდად მასკულინური იყო.

1929 წელი საბედისწერო აღმოჩნდა როგორც ვანლერ დაისელის, ასევე „სომნამბულებისათვის“; ისედაც განწირული ორდენის დაარსების იმედიც საბოლოოდ დასამარდა. პოეტი გადაასახლეს შორეულ ჩრდილოეთში: მეტეხის ციხე, მოსკოვის „ბუტირკა“, მურმანსკი, არხანგელსკი... ასეთი იყო მისი „საშინელი ეკლიანი გზა“ (ვანლერ დაისელის წერილი ტერენტი გრანელის არქივიდან).

1932 წლის 8 თებერვალს დაწერილი „შეწყალების თხოვნის“ შემდეგ ვანლერ დაისელი უკვალოდ ქრება...

რეპრესირებულ მწერალთა თავდაუზოგავი და პირუთვნელი მემატიანის, რევაზ კვერენჩხილაძის თქმით, ჩრდილოეთში გადასახლებულ პოეტს დისთვის, ეკატერინე ბაბუაძისთვის შემოუთვლია — სანამ არ მოგწერთ, არაფერი გამომიგზავნოთო. გადასახლებიდან დაბრუნებული ერთ-ერთი ამხანაგის მონათხრობით, ვანლერ დაისელი, პირველი წარუმატებელი ცდის შემდეგ, კვლავ საზღვარგარეთ გაქცევას გეგმავდა; 1968 წლის რეაბილიტაციის ცნობაშიც არ არის მითითებული გარდაცვალების თარიღი.

* * *

ახლა მწარედ ვნანობ, რომ თავის დროზე არშემდგარი „სომნამბულების“ ერთ-ერთ წევრს, შესანიშნავ ლიტერატორს, პროფესორ გაიოზ იმედაშვილს, მრავლისმომსწრე და მრავლისმნახველ პიროვნებას, რომლისგანაც მრავალი ლიტერატურული „ჭორი“ მომისმენია („ის, რაც დღეს ჭორია, ხვალ შეიძლება გახდეს ლიტერატურული ფაქტი“, — ვიქტორ შკლოვსკი), არაფერი ვკითხე ვანლერ დაისელზე; იგივე მეთქმის „ცოცხალ ენციკლოპედიაზე“, პროფესორ სოლომონ ხუციშვილზე, რომელიც პოეტს ყოველთვის „საწყალ ვანლერ დაისელად“ მოიხსენიებდა. მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მან დაწერა „ბალადა ტფილისთან დაღუპულ ვეფხვზე“, იყო „ცისფერყანწელთა“ შემოქმედების მიმბაძველი, დახვრეტილი 1937 წელს (ასე მეგონა).

დღევანდელი თვალსაწიერიდან კი ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი — უწინარეს ყოვლისა, ვანლერ დაისელის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის შექმნილი ვითარება.

1924 წლის შეთქმულების არნახული სისასტიკით ჩახშობის შემდეგ საბოლოოდ დასამარდა ხელოვანის თავისუფლების ილუზია ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ამის ნათელსაყოფად მშრალი სტატისტიკის მოხმობაც იკმარებდა: „ცისფერყანწელებს“ 1924 წლის შემდეგ არცერთი პერიოდული ორგანო არ გამოუციათ. იგივე ბედი ეწია „აკადემიური მწერლობის“ ჩინებულ ჟურნალებსაც. ეს კი ქართული მოდერნიზმის იძულებითი აღსასრულის დასაწყისს მოასწავებდა. ასეც იყო: საქართველოს ანექსიის შემდგომ ბოლშევიკებმა „თავი მოიკატუნეს“ (აკაკი ბაქრაძე), სამიოდე წელი ინტელიგენციისა და ხელოვანთა მიმართ მძლავრ წნეხს ჯერხნობით მოერიდნენ. ამას შორს გამიზნული ამოცანა ჰქონდა: რეჟიმი თანდათანობით ძალას იკრებდა და თანამოაზრეთაც რაზმავდა — „წითელი პროფესურისა“ და „პროლეტარული მწერლობის“ წახალისების გზით. ქართული მოდერნიზმის ზეობა ინერციით ჯერ კიდევ გრძელდებოდა; ქართულმა ფუტურიზმმა ორი ძირითადი ჟურნალი („H_2SO_4“, „ლიტერატურა და სხვა“ — 1924-25) გამოსცა, ფირნიშად აიფარა ლოზუნგი: „ჩვენთვის ყველაზე დიდი სიტყვა არის ოქტომბერიო“, რამაც მხოლოდ ერთხანს გაახანგრძლივა მათი არსებობა.

სწორედ ასეთ დროს ცდილობს ვანლერ დაისელი თვითდამკვიდრებას, მისი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური გეზი ჯიქურ ეწინააღმდეგება „უნდობარი ხანის“ მოთხოვნებს.

ახლახან გამოცემული მისი კრებულები სულ სხვა რაკურსით წარმოგვიჩენს თვითნაბად პოეტს. იგი ქართული მოდერნიზმისა და ავანგარდიზმის გავლენაშია მოქცეული, შეუპოვარი, იდეურად ნონკონფორმისტი და ბოლომდე გაუტეხელია. მის საუკეთესო ლექსებში წარმოჩენილია ავტორი, რომელიც, „ცისფერყანწელების გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, ფლობს ჭეშმარიტი პოეტის „ნერვს და ფოსფორს“. სწორედ ამ თვალსაზრისით შესწავლას საჭიროებს ნოვატორი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ლევან ჟვანიამ ვანლერ დაისელის მეორე კრებულში „გადამტყდარი რკალი“ (2019) 29 რჩეული ლექსი შეიტანა: „29 ლექსით პოეტის ამქვეყნად გატარებული 29 წლისთვის გვინდოდა ხაზგასმა“.

კრებული პოეტის 1924 წლით დათარიღებული ერთ-ერთი საუკეთესო ლექსის სათაურით არის სახელდებული. საჭაშნიკოდ გთავაზობთ ამ ლექსს:

გადამტყდარი რკალი

როცა მე მსურდა, ეს იყო მაშინ,
ლანდების რხევა სიზმრით ამეკლო.
მწვანე ფოთლები სცვიოდა ქარში
და ტრაურს ღვრიდა რუხი სამრეკლო.
ღამე. სიჩუმე და ავგაროზი
მიჰქონდა სიზმრებს
ყვითელ მინდორში.
ჩვენ ვქვითინებდით სასაფლაოზე
და მეხვეოდი ქალწული ნორჩი.
გვიცავდა ფიცი უსათნოესი
და სიბრალულის ალერსით ხედვა.
ჯვარზე გაკრული სწუხდა იესო
და კვიპაროსებს ქარი არხევდა.
მაგრამ დაიწვა ის ლოცვა ნაზი,
ლურჯი სიზმრების თეთრი თვალები.
ეხლა ქარია სასაფლაოზე
და ჩემს სულში კი... თებერვალები.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004